საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№45 (421)
6 - 12 დეკემბერი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მკვდარი მკვდარს აეკიდაო — ლუსტრაცია პარლამენტსა და სინოდში
10

# სახურავზე გიჟია

2





საქართველოს ორგზის პრეზიდენტი, ოდესის ერთგზის ღუბერნატორი, ფსიქიატრიული კლინიკის სამარტოო პალატის არშემდგარი პაციენტი და დემოკრატიის არშემდგარი შუქურა დღეს სახურავიდან სახურავზე დარბის, მურაბის ქილაზე გადარეული კარლსონივით, ხოლო ამ საყოველთაო ეროვნულ სირცხვილს, სახელად მიხეილ სააკაშვილს, მთელი დუნია ქართველებისა და საქართველოს სახელ მიიჩნევს...





## ფარსიკომედია



## «მეცნიერული ბიძინიზმი»
6

4
## არასრულწლოვნების მკვლელობაში ბრალდებულ პირებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ ტესტი მარიხუანის მოხმარებაზე

# ნარმანიას 19 კოკისია
3



მამა გიორგი (რაზმაძე):
8
## ვინ იცავდა და მფარველობდა მიხეილ სააკაშვილს თავის დანაშაულებრივ გარემოცვასთან ერთად?! ვინ ახსადებდა: ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ლგბტ-ების უფლებები მსოფლიოში დაცული იყოსო?! ესენი არიან ჩვენი მეგობრები?!

„აგვიხსნან, რა კავშირი აქვს ნარკომანიის ლეგალიზებას დემოკრატიასთან, და მეორეც, არსებობს რამე კვალიფიციური მეცნიერული კვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ რომელიმე ნარკოტიკი მავნებელი არ არის? ან რას ნიშნავს „ადამიანის პირადი ავტონომიით დაცული სფერო“?

## მიაქციეთ ყურადღება, რას ასწავლიან თქვენს შვილებს
11

„საიას სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეებს „ბოზებში სიარულის“, ათაშანგის რაობის, ადრეული ორსულობისა და აბორტის ანაბანაში გაარკვევს“

„ტრენინგები ჩაუტარეს პედაგოგებს და პირდაპირ უთხრეს, რომ ბიჭს არ უნდა დაუძახონ ბიჭი, გოგოს — გოგო“

## «მონიე პლანი, იყავი ბამბუჩა»...
5



## ხელისუფლებას, რომელსაც «ბირჩი» თუ «ლეღვის ფოთოლი» ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე სასამართლოს უგებს, დიდი დღე არ უწერია

## პრემია ჩვენი არსობისა, მომეც ჩვენ დღეს...
4


არჩილ თალაკვაძე
237 354 ლ.


თამარ ჟვანია
197 307 ლ.


ირაკლი შოთაძე
117 000 ლ.

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**4 საათს გაგრძელდა სააკაშვილის პატიმრობა და ამ ხნის განმავლობაში მიდიოდა დაპირისპირება სააკაშვილის მომხრეებსა და სპეცრაზმს შორის, და სამართალდამცველებმა ვერ ან არ მოახერხეს სააკაშვილის ტერიტორიიდან გაყვანა. ბოლოს ის მხარდამჭერებმა მიკროავტობუსიდან გამოიხსნეს და ისიც ჩვეული, არაადეკვატურად გაბადრული სახით, მხარდამჭერებთან ერთად, უკრაინის რადისკენ დაიძრა. მხარდამჭერთა მიერ სააკაშვილის პატიმრობიდან „გამოხსნის“ შემდეგ სოციალურ ქსელში ასეთი ფრაზა გაჩნდა: ეტყობა, მაკეინმა გაილვიძაო...**

# ფარსიკომედია, ანუ სახურავზე გიჟია

**საქართველიოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 5 დეკემბერს, დაახლოებით 11 საათზე, კიევში დააკავეს. მანამდე უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის სპეცრაზმმა იმ სახლში, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი ცხოვრობდა, ჩხრეკა ჩაატარა. დაკავებამდე სააკაშვილმა მის სახლთან შეკრებილ მხარდამჭერებს შენობის სახურავიდან მიმართა.**

„სახურავზე გიჟია, გიჟი! – დაიძახა ვილაცამ. მთელი უბანი ფეხზე დადგა. ქუჩა თავიდან ბოლომდე ხალხით გაივსო...

— ჩემო შვილო, ჩემო საყვარელო, ჩემო ჭკვიანო, ჩამოდი ძირს! — ეხვეწებოდა დედა გიჟს.

— სოფლის თავად თუ არ ამირჩევთ, აქედან გადმოვვარდები! — პასუხობდა გიჟი. მეხანძრეებმა თადარიგი დაიჭირეს და ქვევით დიდი ხალიჩა გაშალეს. ცხრა მეხანძრე გაშლილი ხალიჩით დარბოდა სახლის ირგვლივ — რა ვიცით, გადმოხტომა სად მოეპრიანებაო. იმდენი ირბინეს, არაქათი გამოელიათ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე.

— ძალიან გთხოვ, ძმობილო, ჩამოდი ქვევით! — ეძახდა გიჟს კომისარი. მის ხმაში მუქარაც იგრძნობოდა და მუდარაც.

— სოფლის თავი გამხადეთ და ჩამოვალ, არადა, თავს მოვიკლავ, ჩამოვვარდები, — პასუხობდა გიჟი. ცუდად იყო საქმე.

— ჩამო, ძმაო! ჩამო, თუ კაცი ხარ...

— ერთი ამას დამიხედეთ! თქვენ გინდათ, მე ჩამომიყვანოთ ძირს და თვითონ ახვიდეთ მაღლა? არ გამოვა...

გიჟმა ხელი ცხვირთან მიიტანა, თითები გაშალა და დაიტრიალა.

— ვერ მოგართვით! რა საქმე მაქვს იმ ხალხთან, გიჟი რომ მინისტრი გახადა...

— პრემიერმინისტრად ამირჩიეთ, თორემ გადმოვვარდები და თავს მოვიკლავ, – აყვირდა გიჟი.

— კი ბატონო, კი ბატონო, პრემიერმინისტრი ხარ, ჩამოდი!“...

გიჟი, რომელსაც სინამდვილეში მხოლოდ ფსიქიატრის ჩარევა და მკურნალობა სჭირდებოდა, იმპერატორის ტიტულით ჩამოიყვანეს სახურავიდან. ეს კიევში სააკაშვილის დაკავებისას არ მომხდარა. ეს გიჟი თურქი მწერლისა და დრამატურგის, **აზიზ ნესინის,** მოთხრობა **„გიჟი მაღლა ავიდა!“-ს** გმირია, თუმცა გვარ-სახელები რომ შევურჩიოთ პერსონაჟებს, ძალიან ჰგავს სააკაშვილის სახურავზე ასვლისა და მისი იქიდან ჩამოყვანის, ერთი შეხედვით კომიკურ, თუმცა ტრაგიკულ ამბავს, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ფარსის სახით გამეორებული სააკაშვილის დაკავებისა და მისი სასწაულებრივად გათავისუფლების ისტორია, შესაძლოა, იმით დასრულდეს, რომ უკრაინელებმა სახურავიდან **პოროშენკოს** შემცვლელი, „ნეზალეჟნაის“ ახალი პრეზიდენტი ჩამოიყვანონ...

უკრაინის გენერალური პროკურატურის ოპერატიული მუშაკები და სპეცრაზმის წარმომადგენლები 5 დეკემბერს დილიდანვე მივიდნენ ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის, **მიხეილ სააკაშვილის,** დასაკავებლად. ბინის ჩხრეკისას მიშა კორპუსის სახურავზე ავარდა და იქიდან გადმოხტომითა და თვითმკვლელობით იმუქრებოდა. სახურავიდან მან მხარდამჭერებსაც მიმართა, — არ დაუშვათ, კორუფცირებულმა ხელისუფლებამ უკრაინა საბოლოოდ გაანადგუროსო.



მოლაპარაკებამ (დაახლოებით ისე, როგორც ეს **აზიზ ნესინის** ცნობილ მოთხრობაშია) სააკაშვილთან არ გაჭრა და ის სპეცრაზმმა სახურავზე დააკავა. სახურავიდან ჩამოხსნილი პოლიტიკოსი მიკროავტობუსში ჩასვეს და მოვლენათა განვითარების ეპიცენტრმაც „კრიშიდან“ მიწაზე გადაინაცვლა, რაც უდავოდ შეღავათი იყო სამართალდამცველებისთვის — იოლი ხომ არ არის, სახურავზე მორბენალი ექსპრეზიდენტი, რომელიც თვითმკვლელობით იმუქრება, ისე ჩამოიყვანო, თავი იმპერატორი ეგონოს და თან არაფერი დაუშავდეს. მართლა უხერხული განცდა იყო, სპეცრაზმელები შენი ქვეყნის ყოფილის პრეზიდენტის სახურავიდან უვნებლად ჩამოხსნას რომ ცდილობენ და ამას თვალს მსოფლიოს მედია ადევნებს.

**4 საათს გაგრძელდა სააკაშვილის პატიმრობა და ამ ხნის განმავლობაში მიდიოდა დაპირისპირება სააკაშვილის მომხრეებსა და სპეცრაზმს შორის, და სამართალდამცავებმა ვერ ან არ მოახერხეს სააკაშვილის ტერიტორიიდან გაყვანა. ბოლოს ის მხარდამჭერებმა მიკროავტობუსიდან გამოიხსნეს და ისიც ჩვეული, არაადეკვატურად გაბადრული სახით, მხარდამჭერებთან ერთად, უკრაინის რადისკენ დაიძრა. მხარდამჭერთა მიერ სააკაშვილის პატიმრობიდან „გამოხსნის“ შემდეგ სოციალურ ქსელში ასეთი ფრაზა გაჩნდა: ეტყობა, მაკეინმა გაილვიძაო...**

„მინდა, ვუთხრა დედაჩემს, სანდრას, ნიკუშას, რომ ყველაფერი წესრიგშია, ჩვენ ამათ ყოფას ვუტირებთ, ადრე თუ გვიან – ყველა ოლიგარქს, ყველა ხალხის მძარცველსა და დამამცირებელს უკრაინასა თუ საქართველოში. ფარჩაკები ვერ მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე. მე ვარ გამარჯვებული ქართველ და უკრაინელ ხალხთან ერთად. ნახეთ, როგორ დამიდგნენ უკრაინელები. უიარაღოდ დაუპირისპირდნენ პრეზიდენტის შეიარაღებულ პირად გვარდიას, რომელმაც, უშიშროების სამსახურებთან ერთად, ჩემი დაკავების ოპერაცია განახორციელა“, — განაცხადა სააკაშვილმა.

უკრაინის პროკურატურა მიხეილ სააკაშვილისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობას მოითხოვს. ამის შესახებ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა **იური ლუცენკომ** განაცხადა. „საუბარი არ მიდის დეპორტაციაზე ან ექსტრადიციაზე. ხვალ პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების სახით მიხეილ სააკაშვილისთვის შინაპატიმრობას მოითხოვს“, — განმარტა ლუცენკომ. **თუ არც დაპატიმრებას აპირებდით, არც დეპორტაცია იგეგმებოდა, და არც ექსტრადიციაზეა საუბარი, მაშინ ის ბალმასკარადი, რომელიც კიევის ქუჩებში ხდებოდა და ახლაც ხდება, რატომ იყო საჭირო?! რატომ შეუქმენით მიშას წამებულის იმიჯი და რატომ გახადეთ გმირი მისი მხარდამჭერების თვალში? — ამ შეკითხვებს, ალბათ, პოლიტიკური პროცესების განვითარება გასცემს პასუხს.**

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, მიხეილ სააკაში- ►

# «იმედის გმირები»

## აფერუმ, ჟურნალისტიკის კორიფეებო! აფერუმ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებო!

**მაშინ, როდესაც სრულიად საქართველო ვერაზე სადისტურად მოკლულ 16 წლის ბიჭებს დასტირის, როდესაც ეს ტრაგედია ყველა ოჯახის ტკივილად იქცა, როცა მთელი საქართველო გლოვობს, ტელეკომპანია „იმედი“ ქართველი გეის გათხოვებას ზეიმობს. მეტიც, „იმედმა“ ჟურნალისტი აფრინა ამერიკაში, რათა უფრო დეტალურად ეჩვენებინა, რა ბედნიერად ცხოვრობენ ახალდაქორწინებული პედერასტები. გეიპროპაგანდაც ამას ჰქვია. აფერუმ, ჟურნალისტიკის კორიფეებო! აფერუმ თქვენ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებო!**

საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს, ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის გმირები“, რომელიც, ობიექტურად რომ ვთქვათ, კარგი პროექტი იყო, თუმცა დაიხურა. დაიხურა, რადგან როგორც ჩანს, „იმედი“ აღარ თვლის საჭიროდ, საზოგადოებას სულიერი, ზნეობრივი ადამიანების გმირობის ისტორიები გააცნოს, სამაგიეროდ, ახალი „გმირი“ ჰყავთ — ქართველი გეი, რომელიც იტალიელზე გათხოვდა.

მოდი, დეტალურად განვიხილოთ „იმედის“ აღტაცება გეიქორწინებით. მას შემდეგ, რაც ჩოხაში გამოწყობილმა ქართველმა მამათმავალმა ამერიკაში იქორწინა, ტელევიზიამ შანსი არ გაუშვა ხელიდან, რომ მომხდარზე სიხარულით ესაუბრა. ჯერ „იმედის დილისა“ და „ქრონიკის“ წამყვანმა **ნუცა ქავთარაძემ** (მსახიობ **გოგი ქავთარაძის** შვილიშვილი) მიულოცა გეიწყვილს ქორწინება, ბედნიერება უსურვა და დასძინა, რომ ყველას აქვს სიყვარულის უფლება. ამის შემდეგ „იმედის დღის“ ეთერში „იმედის კვირის“ ჟურნალისტმა გვახარა, რომ კვირის შემაჯამებელ გადაცემაში ვნახავდით სიუჟეტს ქართველის გეის ქორწინებაზე და ორივე „გმირის“ (ასე მოიხსენია მამათმავლები „იმედის“ ჟურნალისტმა) ჩაწერა მოახერხა. ჰოდა, „იმედის კვირამაც“ 7-წუთიანი სიუჟეტი მიუძღვნა ჰომოსექსუალი „გმირების“ ქორწინებას. გადაცემის წამყვანმა შესავალ სიტყვაში თქვა, რომ თურმე ჩოხაში გამოწყობილი პედერასტის გათხოვებას საზოგადოების მცირე ნაწილის გაღიზიანება მოჰყვა და დასძინა, რომ რეპორტაჟის „გმირმა“ ეს სამოსი საგანგებოდ შეარჩია. **კი მაგრამ, როდიდან მიიჩნევა ჰომოსექსუალების დაქორწინება გმირობად? პედერასტიაა თქვენთვის გმირობა? თქვენ დაადგინეთ გმირობის თანამედროვე კრიტერიუმი თუ პროდიუსერებმა და ხელმძღვანელობამ დაგიდგინეს?** გეიქორწინებით აღტაცებული ჟურნალისტებისა და წამყვანების აზრი ნაკლებად მნიშვნელოვანია, საკითხავი




ისაა, **რატომ ეწევა გეიპროპაგანდას ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ტელევიზიის ეთერში?! ყველას კარგად ახსოვს ბიზნესმენის ცნობილი განცხადება: „იმედი“ არ იყიდება, ის ქართველ ხალხს ეკუთვნისო. ქველმოქმედი ბიზნესმენი ამ იდეისთვის ბრძოლას შეაკვდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და თქვენ — ბადრის ცოლშვილს, დებს, დედას — რა ღმერთი გაგიწყრათ ასეთი, რომ ტელევიზია ბატონი ბადრის იდეური თუ მორალური მკვლელების ბუდედ აქციეთ?!** დიახ, ბადრი პატარკაციშვილის ბრძოლამ „იმედისთვის“ უკვალოდ ჩაიარა. დღეს „იმედი“ „გაყიდულია“, ►

**ეს სრულიად უფუნქციო კომისიები არსებობდა მერიაში და არსებობდა მხოლოდ იმისთვის, რომ ნარმანიას არა მხოლოდ თავისი ახლობლები, არამედ პარტიული აქტივისტებიც დაესაქმებინა. ისე, კიდევ რამდენიმე კომისიის შექმნას აიტანდა მერია, მაგალითად, კატების გასასეირნებელი ადგილების შემრჩევი ჯგუფის კომისიას, წვიმის დროს ქუჩის შესაძლო დატბორვის თავიდან აცილების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს, ქალაქში შექმნილი საცობების დროს მერიის მისამართით შესაძლო მაგინებლების მონიტორინგის კომისიას და ა. შ.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლი უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 256-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე დააკავეს. ეს მუხლი ეხება დანაშაულებრივი ჯგუფისთვის დახმარების გაწევასა და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვას, რაც სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. უკრაინის გენერალურმა პროკურორმა **იური ლუცენკომ** განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის აქციების მიზანი უკრაინაში ხელისუფლების დამხობა იყო.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ **უკრაინელი სამართალდამცავების უუნარობამ თუ სააკაშვილისა და ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელების შეთანხმებულმა მოქმედებამ მიშასთვის მიზნის მიღწევა კიდევ უფრო შესაძლებელი გახადა; ასევე შესაძლებელი გახადა, მისგან კიდევ ერთხელ შეექმნათ, უშიშარი, რევოლუციური ლიდერი, როგორც 2003 წელს შექმნეს, შევარდნაძის ხელისუფლების დემორალიზებული ძალოვანი სტრუქტურების უმოქმედობით, რევოლუციური ლიდერი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა პროცესი ძალიან ჰგავს რევოლუციური სცენარით ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობას.**

**P.S. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია — საქართველოს ორგზის პრეზიდენტი, ოდესის ერთგზის ღუბერნატორი და დემოკრატიის თითქმის „კაშკაშა შუქურა“ დღეს სახურავიდან სახურავზე დარბის, მურაბის ქილაზე გადარეული კარლსონივით, ხოლო ამ საყოველთაო ეროვნულ სირცხვილს, სახელად მიხეილ სააკაშვილს, მთელი დუნია ქართველებისა და საქართველოს სახედ მიიჩნევს.**

**უკანასკნელი მონაცემებით, უკრაინის პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილზე ძებნა გამოაცხადა. დიახ, საქართველოს ორგზის პრეზიდენტი, ოდესის ყოფილი გუბერნატორი, ფსიქიატრიული კლინიკის სამარტოო პალატის არშემდგარი პაციენტი, ჰალსტუხის ვირტუოზულად მღეჭავი მიხეილ სააკაშვილი ძებნილია...**

**ახლო მომავალში ამ ძებნილს ან დააკავებენ და იგი გისოსებს მიღმა აღმოჩნდება, შესაბამისად, ადრე თუ გვიან საქართველოში მისი ექსტრადიციაც მოხდება და სამართალიც იზეიმებს, ან საქმეში კვლავ ჩაერევიან მიშიკოს ოკეანისგაღმელი პროტექტორები და სახურავიდან ძალით ჩამოყვანილი ოდესის ექსგუბერნატორი პიპინია ერისთავივით საკუთარ ცხენს გაასწრებს უკრაინიდან პოლონეთში.**

**სახურავების თემა ლაიტმოტივად გასდევს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ცხოვრებას. მან საქართველოშიც „დალაშქრა“ სახურავები გაპრეზიდენტებამდე, თუმცა იმხანად გადმოხტომით არ იმუქრებოდა... სააკაშვილის კარიერაში იყო სახურავზე გვამების დაყრის ისტორიაც, იყო პარლამენტის სახურავიც, შენობის, რომელიც რამდენიმე მილიონი დაჯდა და ძლიერი წვიმისას პარლამენტშიც ისე წვიმდა, როგორც გარეთ; იყო იუსტიციის სახლის სახურავიც, რომელიც პირველივე ძლიერმა ქარმა თითქმის სრულად გადახადა; იყო თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სახურავიც... „კრიშა“ და მიშა... დიახ, „კრიშაზე“ მორბენალი პოლიტიკოსის სახელი დამსახურებულად შეიძლება ეწოდოს მას, თუმცა მთავარია, როდის ჩამოხსნის მიშას „კრიშიდან“ მისი პოლიტიკური „კრიშა“.**

**ნიკა გელაშვილი**

◀ უფრო ზუსტად, „იმედი“ სულგაყიდული, ზნეობისგან დაცლილი, ამორალური და გეიპროპაგანდის მანქანად ქცეული ტელევიზიაა. ეს „იმედი“ აღარ გამოხატავს ქართველი ხალხის ინტერესებს, შესაბამისად, აღარც ქართველ ხალხს ეკუთვნის ის, კარგა ხანია.

მაშინ, როდესაც ბადრი პატარკაციშვილი შვილმოკლული დედის, **ირინა ენუქიძის,** ინეტერესებს იცავდა, როდესაც იგი ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს უანგაროდ ეხმარებოდა და ამ თუ სხვა კარგი საქმეების ტირაჟირება ხდებოდა ტელევიზიის ეთერით, სიკეთე გადამდები აღმოჩნდა და არაერთი ფონდი შეიქმნა, რომლებიც მძიმე დაავადებების მქონე პირებს ეხმარებიან, დღეს კი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა იღვრება „იმედის“ ეთერიდან. სხვა რით შეიძლება აიხსნას „იმედის“ წამყვანებისა და ჟურნალისტების სიხარულის ყიჟინა ტრადიციული სამოსით ქართველი გეის ქორწილის გაშუქებისას?! საინტერესოა, რატომ და ვისთვის იყო ასეთი მნიშვნელოვანი და საჭირო გეიქორწინების პროპაგანდად დაღვრილი სიუჟეტის გასაკეთებლად ამერიკაში ჟურნალისტის გაგზავნა. რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი ქართული ჩოხის გაბიაბრუება „იმედის“ ეთერში?! რატომ ჩათვალეთ, რომ სრულიად საქართველოს უნდა ეზეიმა „იმედის გმირების“ ქორწილი? ეს ადამიანები მხოლოდ თქვენი „იმედის გმირები“ არიან, საზოგადოებისთვის კი ისინი რიგითი გეები არიან, თავიანთი არატრადიციული ორიენტაციითა და გაუკულმართებული ცხოვრების წესით.

**ნიკა გელაშვილი**

**P.S. ე.წ. ლიბერალები (რომლებიც აგრესიულ კასტად ჩამოყალიბდნენ და რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ლიბერალურ ღირებულებებთან) ამ წერილის გამო, ალბათ, სახეს დაიხოკავენ, ალბათ, თარგმნიან ყველა ბრუნვაში და ყველა ენაზე და აფრენენ თავიანთ ლობისტებთან... შესაძლოა, 30 ვერცხლსაც გამოჰკრან ხელი გეიპროპაგანდის გასაძლიერებლად, ჩვენ კი კიდევ ერთხელ შეგვრაცხავენ ჰომოფობებად და ღმერთმა უწყის, კიდევ რას იტყვიან, მაგრამ ეს ის ვითარებაა, როცა „დუმილი ოქრო არ არის“, როცა „თქმა სჯობს, არათქმასა“, ეს ის ვითარებაა, როდესაც ერი და ბერი უნდა გამოფხიზლდეს, თორემ ხვალ შეიძლება გვიან იყოს!**

# ნარმანიას 19 კომისია



**თბილისის მერმა კახა კალაძემ ბიუროკრატიის შემცირებისა და გადაწყვეტილების დროულად მიღების მიზეზით მისი წინამორბედის მიერ შექმნილი კომისიები გააუქმა. ეს ის სამსახურებია, რომელთა შესახებაც თბილისის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მის გაუქმებამდე არაფერი სმენია, არადა, იქ დასაქმებულებს სწორედ ჩვენ ვინახავდით.**

ნუ იტყვით და, ყოფილა ძაღლების გასეირნებისთვის სპეციალური ადგილების შესარჩევი სამუშაო ჯგუფი, თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების პრობლემებზე მომუშავე კომისია, საახალწლო ილუმინაციებითა და აქსესუარებით დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმების ორგანიზებულად განსახორციელებელი კომისია და სხვ. საინტერსეოა, ამ კომსიებს რომ ქმნიდა, ნარმანიას მერია რა ფუნქციების შემსრულებელი ეგონა?!

**გთავაზობთ ნარმანიას მიერ შექმნილი და კალაძის მიერ გაუქმებული კომისიების ჩამონათვალს:**

**1. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სამუშაოების ფარგლებში მომზადებული დოკუმენტაციის განხილვის უწყებათშორისი კომისია;**

2. თბილისის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია;

**3. თბილისის მერიის სისტემის, თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწამეო იურდიული პირებისა და მერიის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების დებიტორული და კრედიტორული დავალიანების შემოწმების კომისია;**

4. თბილისის ტერიტორიის სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი;

**5. თბილისის ტერიტორიაზე ძაღლების გასეირნებისთვის სპეციალური ადგილების შესარჩევი სამუშაო ჯგუფი;**

6. თბილისის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმებისა და უძრავი ქონების საზღვრების ცვლილება-კორექტირების საკითხების განმხილველი კომისია;

**7. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფი;**

8. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხარჯების ოპტიმიზაციის სამუშაო ჯგუფი;

**9. თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი სამარშრუტო სქემის შემუშავებისა და მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით გადაყვანისას, ელექტრონული გადახდის გაუმჯობესებული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, განაცხადთა შეფასების, შერჩევისა და გამარჯვებულის გამოვლენის კიმისია;**

10. თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის მრჩეველთა საბჭო;

**11. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა პრობლემებზე მომუშავე დროებითი კომისია;**

12. თბილისის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელში არსებული სანათების დიოდურ სანათებზე გადასვლის უზრუნველსაყოფად შემოთავაზებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისია;

**13. თბილისში განსათავსებელი ელექტრონული ბიბლიოთეკების კონსტრუქციების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესარჩევი ჯგუფი;**

14. მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონების ფუნქციონირების რეგულირებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო საბჭო;

**15. 2017-2018 წლის საახალწლო ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების, საახალწლო ილუმინაციებითა და აქსესუარებით დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით შექმნილი კომისია;**

16. თბილისში გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების სამუშაო ჯგუფი;

**17. ე.წ. ელიავას ბაზრობის ტერიტორიის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;**

18. თბილისის მერიის სისტემაში და თბილისის მუნიციპალიტეტის იურდიულ პირებში ელექტრონული მმართველობის დანერგვისა და გართული ფუნქციონირების სამუშაო ჯგუფი;

**19. თბილისის მერიასა და „ფრაისვოთერჰაუსკუპერსი ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი.-ს საქართველოს ფილიალს“ შორის 2016 წლის 6 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებების კონტროლის მიზნით, ინსპექტირების სამუშაო ჯგუფი.**

როგორც ხედავთ, **ეს სრულიად უფუნქციო კომისიები არსებობდა მერიაში და არსებობდა მხოლოდ იმისთვის, რომ ნარმანიას არა მხოლოდ თავისი ახლობლები, არამედ პარტიული აქტივისტებიც დაესაქმებინა.** ისე, კიდევ რამდენიმე კომისიის შექმნას აიტანდა მერია, მაგალითად, კატების გასასეირნებელი ადგილების შემრჩევი ჯგუფის კომისიას, წვიმის დროს ქუჩის შესაძლო დატბორვის თავიდან აცილების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს, გარემოვაჭრეებისთვის გამოსაყოფი ადგილების უსაფრთხოების შემსწავლელ კომისიას, ქალაქში შექმნილი საცობების დროს მერიის მისამართით შესაძლო მაგინებლების მონიტორინგის კომისიას და ა. შ. ნარმანიას ფანტაზიისა და მარჯვე ხელების მადლი შეეწიოთ ამ კომისიებში ყავის მომდუღებელთა და დამლევთა პოზიციაზე მომუშავე „ქართული ოცნების“ აქტივისტებს... რაღაც კომისიები ისევ გამოჩნდება მარჯვე ხელების წყალობით.

## ნარმანიას ფანტაზიისა და მარჯვე ხელების მადლი შეეწიოთ ამ კომისიებში ყავის მომდუღებელთა და დამლევთა პოზიციაზე მომუშავე «ქართული ოცნების» აქტივისტებს... რაღაც კომისიები ისევ გამოჩნდება მარჯვე ხელების წყალობით

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე დეპუტატები: ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, ირმა ინაშვილი, დავით ბაქრაძე, სერგი კაპანაძე, ხათუნა გოგორიშვილი, გიორგი ვოლსკი, რომან გოცირიძე, ზვიად ძიძიგური და ილია ნაკაშიძე. საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა, აპარატის თანამშრომლებმა და თანამდებობის პირებმა 2017 წლის პირველ ოთხ თვეში მხოლოდ პრემია-დანამატის სახით დაახლოებით 4 852 698 ლარი მიიღეს.**

# პრემია ჩვენი არსობისა, მომეც ჩვენ დღეს...

**საქართველოს ხელისუფლებამ ქამრების შემოჭერის პოლიტიკაზე ჯერ კიდევ 2015 წელს განაცხადა, რაც ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას გულისხმობდა, თუმცა ქამრები არათუ შემოიჭირეს, ბევრმა მაღალჩინოსანმა ქამარი სულ მოიხსნა და ნამუსზეც უარი თქვა პრემია-დანამატების სანაცვლოდ.**



უმრავლესობის ლიდერი **არჩილ თალაკვაძე** ერთ-ერთი ლიდერია პრემია-დანამატების მიღების როგორც რაოდენობით, ისე აღებული თანხის ოდენობის მხრივაც. შს მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობისას, 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 8 სექტემბრამდე, არჩილ თალაკვაძის ანაზღაურებამ 237 354 ლარი შეადგინა. თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, რომლის ოდენობაც 54 400 ლარი იყო, მან 67-ჯერ მიიღო დანამატი 182 954 ლარის ოდენობით. 2016 წელს შს მინისტრის მოადგილე **შალვა ხუციშვილმა** პრემია და დანამატი 41-ჯერ მიიღო, საერთო ჯამში, 112 651 ლარის ოდენობით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილე **გოგაშვილმა** პრემია-დანამატი წლის განმავლობაში 36-ჯერ მიიღო. მთლიანობაში თანხამ 107 209 ლარი შეადგინა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ყოფილმა უფროსმა **გიორგი ბადაშვილმა**, რომელიც ამჟამად მთავარი პროკურორის პირველი მოადგილეა, ერთ წელიწადში დანამატი 29-ჯერ მიიღო, ჯამში — 85 752 ლარი. კახეთის საოლქო პროკურორმა **ვაჟა ფაროზიშვილმა**, ერთ წელიწადში 23-ჯერ აიღო პრემია-დანამატი, სულ 66 080 ლარი. ცენტრალური საარჩევნო კიმოსიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანიამ** ერთ თვეში, ოქტომბერში, როდესაც არჩევნები გაიმართა, გაორმაგებული ხელფასი და დანამატი აიღო, რაც, ჯამში, 22 000 ლარია, შარშანდელი არჩევნების დროს კი გაცილებით მეტი — 27 500 ლარი. 2016 წელს თამარ ჟვანიამ 197 307 ლარის ოდენობის ანაზღაურება მიიღო, რაც თვეში 16 442 ლარს შეადგენს. **როგორც ჩანს, ცესკოს თავმჯდომარეს საარჩევნო ხმების დათვლა რომ არ შეეშალოს, ხელისუფლება ფულის დათვლაში ავარჯიშებს. ეს თანხა ბევრი ოჯახისთვის ასტრონომიულია, იმ ოჯახებისთვის, რომლებიც მშიერი შვილებისთვის ხშირად პურის ყიდვასაც ვერ ახერხებენ.**

2016 წელს პრემია და დანამატი 18-ჯერ აიღო საქართველოს მთავარმა პროკურორმა **ირაკლი შოთაძემ.** მთავარი პროკურორის თანამდებობრივი სარგო თვეში 3910 ლარია, წელიწადში — 46 920 ლარი. დეკლარაციის მიხედვით, მთავარი პროკურორის ანაზღაურება 117 ათასი ლარი იყო, აქედან 70 800 ლარს პრემია-დანამატი შეადგენს.

მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე **მამუკა ვასაძის** წლიური ანაზღაურება, პრემიისა და დანამატის გარეშე, 42 240 ლარია, რეალურად კი მან 112 680 ლარი მიიღო. 21-ჯერ აიღეს დანამატი და პრემია მთავარი პროკურორის მოადგილეებმა (ისევე, როგორც მამუკა ვასაძემ) — **გიორგი გაბიტაშვილმა** და **გიორგი გიორგაძემ.** მათ შემთხვევაშიც დანამატმა წლიურად 74 440 ლარი შეადგინა.

2016 წელს თბილისის მერის ორმა მოადგილემ პრემია და დანამატი 15-ჯერ, ხოლო ვიცემერმა 13-ჯერ აიღეს. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, ვიცემერმა **ლაშა აბაშიძემ** 2016 წლის განმავლობაში 73 475 ლარი მიიღო, აქედან ხელფასი 35 400 ლარი იყო, დანარჩენი 38 075 ლარი კი — პრემია-დანამატი. **ნარმანიას** მოადგილეებმა **ნინო ხატისკაცმა** და **ირაკლი ლექვინაძემ** ხელფასი 33 600 ლარი აიღეს, ხოლო პრემია-დანამატის სახით აღებულმა თანხამ 75 455 და 75 320 ლარი შეადგინა. მერის კიდევ ერთმა მოადგილემ — **გიგა ნიკოლეიშვილმა**, რომელიც **კალაძემ** თანამდებობაზე დატოვა, თუმცა იგი მაინც წავიდა მერიიდან, დანიშვნიდან 5 თვეში პრემია-დანამატის სახით 18 171 ლარი აიღო.

აღსანიშნავია, აგრეთვე, მოსამართლეთა კორპუსის პრემია-დანამატები. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მხოლოდ ერთ თვეში 10203 ლარის ოდენობის პრემა გამოუწერა საკუთარ თავს და, ხელფასთან ერთად, 17 2013 ლარი მიიღო. მისმა შემოსავალმა 8 თვეში 81 791 ლარი შეადგინა.

2017 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით მოსამართლეებმა ჯამში 494 100 ლარის ოდენობის თანამდებობრივი სარგო მიიღეს, ასევე — 90150 ლარის პრემია და 222 382 ლარის დანამატი.

2016 წლის 11 თვეში 22 სსიპ-ში პრემია-დანამატბის სახით 34 698 088 ლარი გაიცა, აქედან 18 446 121 ლარი დანამატია, ხოლო 16 161 967 ლარი – პრემია. ცნობილია, აგრეთვე, ყველაზე გულუხვი სამინისტროებიც. მაგალითად, **სოზარ სუბარის** უწყებამ მხოლოდ 6 თვეში 994 ათას ლარზე მეტი დანამატებში დახარჯა, ხოლო 63 ლარი — პრემიებში.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ თანამშრომლების მივლინებაში მილიონ ლარზე მეტი დახარჯა, თუმცა ოპოზიცია პრემია-დანამატის სახით მილიონ 800 ათასი ლარის მიზნობრიობის დასაბუთებასაც ითხოვს.

ჯანდაცვის სამინისტრომ 616 ათას ლარზე მეტი დანამატების გაცემაზე დახარჯა, დაახლოებით 35 ათასი ლარი კი — პრემიებზე. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 6 თვეში 164 ათასი ლარი პრემიებად გასცა, 658 ათასი — დანამატებზე, ხოლო 270 ათასი მივლინებებს მოახმარა.

აქვე ყველაზე მაღალანაზღაურებადი დეპუტატების სიასაც გაგაცნობთ. ესენი არიან: **ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, ირმა ინაშვილი, დავით ბაქრაძე, სერგი კაპანა-** ▶

# არასრულწლოვნების მკვლელობაში ბრალდებულ პირებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ ტესტი მარიხუანის მოხმარებაზე



**1 დეკემბერს ვერაზე, ხორავას ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედია, რომლის დროსაც ორი 16 წლის პირტიტველა ყმაწვილი უმოწყალოდ, სადისტურად იქნა მოკლული, თითოეული ჩვენგანის ტკივილად იქცა. პროკურატურის ინფორმაციით, არასრულწლოვანთა შორის მომხდარი დაპირისპირება, რომელსაც ორი მოსწავლის სიცოცხლე შეეწირა, 51-ე სკოლის საპირფარეშოში პნევმატური იარაღის მიშვერით დაიწყო...**

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 1 დეკემბერს, დილის საათებში თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებს გაკვეთილებს შორის შესვენებაზე საპირფარეშოში ექვსი უფროსკლასელი დახვდათ, ერთ-ერთმა მათ პნევმატური იარაღი მიუშვირა. ამას მოჰყვა უკმაყოფილება, რომელიც სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ერთ-ერთმა მეთერთმეტეკლასელმა მეცხრეკლასელებს უთხრა, რომ გაკვეთილების შემდეგ ორივეს სკოლის გარეთ შეხვდებოდა. მომხდარიდან მალევე ერთ-ერთმა მეცხრეკლასელმა, რადგან მათთან დაპირისპირებულები უფროსები იყვნენ, დახმარებისთვის ასევე არასრულწლოვან ნათესავს მიმართა. იმ დღესვე, 51-ე სკოლაში მეგობრებთან ერთად მივიდა ის არასრულწლოვანი, რომელსაც მეცხრეკლასელმა ბიჭმა დახმარება სთხოვა. სკოლაში ასევე შეკრებილი იყვნენ ინციდენტში მონაწილე მეთერთმეტეკლასელები და მათი მომხრეები. ვითარების გასარკვევად ახალგაზრდებმა აკაკი ხორავას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის ეზოში გადაინაცვლეს. სიტყვიერ დაპირისპირებას ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა, შედეგად ცივი იარაღით მიყენებული მრავალი ჭრილობით სასტიკად იქნა მოკლული ორი 16 წლის ახალგაზრდა.

თბილისის პროკურატურამ თბილისის 51 საჯარო სკოლასთან მომხდარზე, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნების მიმართ განზრახ მკვლელობის შესაძლო ფაქტზე ორი არასრულწლოვანი პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცა. დაკავებულ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა, იმავე მუხლით წარედგინა ბრალი მეორე ახალგაზრდასაც, რომელიც ბრალდებულად დაუსწრებლად იქნა ცნობილი, რადგან მიმალვაში იმყოფებოდა. ეს ახალგაზრდა 4 დეკემბერს ჩაბარდა სამართალდამცველებს.

შს სამინისტროს მიერ ხორავას ქუჩაზე მომხდარის გამო დაკავებულია კიდევ ხუთი პირი, მათ შორის, ერთ-ერთი ორი მოსწავლის მშობელია, რომელსაც გამოძიება დანაშაულის დამალვას ედავება. შს სამინისტროს განცხადებით, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და შესაძლოა, გაიზარდოს დანაშაულის დამალვისა და შეუტყობინებლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემთა წრე. დანაშაულის დამალვისთვის დაკავებულები არიან ის პირები, რომლებმაც მკვლელობაში ბრალდებულს მიმალვაში შეუწყვეს ხელი.

ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიაზე ვიცეპრემიერ, შს მინისტრ **გიორგი გახარიასა** და განათლების მინისტრ **მიხეილ ჩხენკელს** შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საწყის ეტაპზე სკოლებში უსაფრთხოების მონიტორინგში საპატრულო პოლიცია ჩაერთვება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებას, რომ მოზარდებს პნევმატური იარაღი ჰქონდათ, თბილისის 51-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **მანანა თურქაძემ** უპასუხა და სკოლაში პნევმატური იარაღის შეტანა გამორიცხა, მისი თქმით, მოსწავლეებს სათამაშო თოფი ჰქონდათ. პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორის — **ხათუნა ბარაბაძის** განცხადებით, მკვლელობაში ბრალდებული ერთ-ერთი მოსწავლე 1 დეკემბერს სკოლაში საერთოდ არ იმყოფებოდა. ასეთი კომენტარებით ცდილობენ ეს ქალბატონები დანაშაულთან დისტანცირებას და „თავის“ გაპარავებას. **თქვენი აღსაზრდელები რომ იარაღითა და დანებით დადიოდნენ სკოლაში, ვერ ხედავდით? თუ ვერ ხედავდით და გამოგეპარათ, იქნებ აღიაროთ, რომ ვითარებას ვერ აკონტროლებთ სკოლაში, ვერ აღზარდეთ თაობა სწორად და საკუთარი ნებით დატოვოთ თანამდებობები.**

**ცნობისთვის:** ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი მეცხრეკლასელის მამამ, **მირზა სუბელიანმა**, პროკურატურის მაღალჩინოსანმა, მთავარ პროკურორს განცხადებით მიმართა გადადგომის თხოვნით. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მკვლელობაში ბრალდებული ერთ-ერთი პირის (რომელიც იმალებოდა) ბიძა **სერგი ნაკაიძე ბერა ივანიშვილის** მეგობარია. ეს მოცემულობა, ცხადია, აჩენს კითხვებს გამოძიების ობიქტურად წარმართვისა და ყველა დამნაშავის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯის შესახებ, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ვანდალურ დანაშაულში პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული ყველა დამნაშავე მიეცემა პასუხიგებაში.

**თქვენი აღსაზრდელები რომ იარაღითა და დანებით დადიოდნენ სკოლაში, ვერ ხედავდით? თუ ვერ ხედავდით და გამოგეპარათ, იქნებ აღიაროთ, რომ ვითარებას ვერ აკონტროლებთ სკოლაში**

ამ უმძიმესი ტრაგედიიდან 2 დღის შემდეგ იმერეთში თანაკლასელმა 17 წლის ახალგაზრდა სასაფლაოზე გამართული საქმის გარჩევისას გულში დანის ჩარტყმით მოკლა. მკვლელობაში ბრალდებული სამართალდამცავებმა თბილისში დააკავეს.

არასრულწლოვნების სადისტური მკვლელობა, როგორც თბილისში, ისე იმერეთში, მას შემდეგ მოხდა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მარიხუანის მოხმარება პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს წარმოადგენს. რადგან მარიხუანის მოხმარება სახელმწიფომ ნებადართულად გამოაცხადა და საზოგადოებას უთხრეს, რომ ამ ნარკოტიკის გამოყენებისთვის აღარავინ დაისჯება, რატომ გვაქვს ილუზია, რომ არასრულწლოვანები ამ ე.წ. მსუბუქ ნარკოტიკს არავითარ შემთხვევაში არ გაეკარებიან?! სამწუხაროდ, სწორედ ამ თაობისთვის და მომავალი თაობებისთვის იქნება დამღუპველი მარიხუანის მოხმარება, ბევრი მათგანისთვის ეს იქნება გზა მძიმე ნარკოტიკამდე. ამიტომაც მშობლებმა, მასწავლებლებმა, საზოგადოებამ აუცილებლად მოვითხოვოთ, ჩატარდეს მკვლელობაში ბრალ- ▶

**„მივიღებთ თაობას, რომელსაც არ დააინტერესებს საქმე, იქნება ავადმყოფი და რომლის უმეტესობაც გადავა მძიმე ნარკოტიკზე. განადგურებულ და გაუბედურებულ თაობას მივიღებთ, ეს გვინდა?“**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძე, ხათუნა გოგორიშვილი, გიორგი ვოლსკი, რომან გოცირიძე, ზვიად ძიძიგური** და **ილია ნაკაშიძე.** საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა, აპარატის თანამშრომლებმა და თანამდებობის პირებმა 2017 წლის პირველ ოთხ თვეში მხოლოდ პრემია-დანამატის სახით დაახლოებით 4 852 698 ლარი მიიღეს.

ერთი საინტერესო დეტალიც: მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში საწვავის ხარჯმა პარლამენტში 92 690 ლიტრი შეადგინა. ყველაზე დიდი დანახარჯი ჰქონდათ დეპუტატებს: **ირაკლი კობახიძეს, სერგი კაპანაძეს, ილია ნაკაშიძეს, ირაკლი კოვზანაძეს, მარიამ ჯაშს, არჩილ თალაკვაძეს, სიმონ ნოზაძეს, ზვიად კვაჭანტირაძეს, გიორგი ჟორჟოლიანს, ირაკლი ტრიპოლსკისა და დავით ბაქრაძეს.**

თავად განსაჯეთ: რატომ, რა დამსახურებისთვის იღებენ პოლიტიკოსები და მაღალჩინოსნები ამხელა პრემია-დანამატებს ყოველთვიურად? მადა ჭამაში მოდისო და, თუ ჩვენი სახელმწიფო მოხელეების მადას გავითვალისწინებთ, საქართველოს ბიუჯეტი დიდხანს ვეღარ „გაქაჩავს“ მათ ხელში, მერე კი ფულზე მლოცველი ჩინოსნები, ალბათ, ვედრებით შეჰღაღადებენ მამამარჩენალს: „პრემია ჩვენი არსობისა, მომეც ჩვენ დღეს“...

გვერდები მოამზადა
**ნიკა გელაშვილმა**

დებული ახალგაზრდების ექსპერტიზა მარიხუანათი შესაძლო თრობის ფაქტზე. არ არის გამორიცხული, მათი უკონტროლო ქმედება, რაც სადიზმში გადაიზარდა სწორედ მარიხუანათი თრობის შედეგი იყოს. ყველამ ერთად მივმართოთ შს მინისტრს (რომლის მიმართაც საზოგადოების ყველა სეგმენტის ნდობა ძალიან მაღალია) უზრუნველყოს მკვლელობაში ბრალდებულებისთვის მარიხუანათი შესაძლო თრობის დასადგენად ექსპერტიზის ჩატარება... ამან შესაძლოა მომავალი თაობები იხსნას!

**P.S. როგორც დიდი ილია იტყოდა, მთავარია „ენა, მამული, სარწმუნოება“, და, თუ პედაგოგები და მშობლები შეძლებენ ბავშვებს სკოლიდანვე შეაყვარონ ენა, მამული და სარწმუნოება, ბევრი რამ უკეთესად იქნება, თუკი დავანებებთ თავს ბუნებისა და ადამიანის თვისებების წინააღმდეგ „მრავალფეროვან“ ლაშქრობას და შევძლებთ მდედრი ქალად და მამრი კაცად, კარგ ადამიანებად გავზარდოთ, გაცილებით ნაკლები აგრესია იქნება და, რაც მთავარია, იქნებ ღირდეს დასაფიქრებლად, აღდგეს სკოლებში რელიგიის სწავლება, რათა ბავშვები უფრო რელიგიურები, მიმტევებლები და ღვთისმოშიშები გაიზარდონ... გასაგებია, რომ ეს მავანისთვის ძველმოდური მიდგომაა, მაგრამ რელიგიის გაკვეთილების აკრძალვისა და „მრავალფეროვანი თვითიდენტიფიკაციის“ თანამედროვე მიდგომებით აღზრდილი თაობების სისასტიკე აშკარაა...**

# «მოწიე პლანი, იყავი ბამბუჩა»...



## ხელისუფლებას, რომელსაც «გირჩი» თუ «ლეღვის ფოთოლი» ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე სასამართლოს უგებს, დიდი დღე არ უწერია

**2017 წლის 30 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ საქართველოს მოქალაქე გივი შანიძის სარჩელი დააკმაყოფილა და მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციას მხარი დაუჭირა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „პირის უფლება, თავად შეარჩიოს განტვირთვის მისთვის სასურველი სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს“.**

დავის საგანი სწორედ კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი იყო და, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, მოსარჩელის აზრით, მარიხუანის მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა სწორედ მის ამ უფლებას ზღუდავდა.

მართალია, მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მომხრეები თავგამოდებით გვიმტკიცებენ, რომ მარიხუანა მსუბუქი ნარკოტიკია, რომელიც არ იწვევს მიჩვევას და სამკურნალოდაც კი გამოიყენება, მაგრამ საპირისპიროზე მეტყველებს კვლევები. **მარიხუანა შეიძლება გახდეს „ხიდი“ სხვა უფრო მავნე ნარკოტიკების მოხმარებისთვის.** ნარკოლოგების თქმით, კვლევები აჩვენებს, რომ მძიმე ნარკოტიკის მოხმარებამდე ნარკოტიკების მომხმარებელთა დიდი ნაწილი სწორედ მარიხუანას „ეთამაშებოდა“. მათივე მტკიცებით, მცდარია გავრცელებული აზრი, რომ მარიხუანა არ იწვევს დამოკიდებულებას. კვლევების თანახმად, რეგულარული მოხმარების შემთხვევაში, 9%-ში იწვევს დამოკიდებულების განვითარებას, ხოლო მოზარდებში ეს მაჩვენებელი 25%-ს აღწევს. მთავარი პრობლემა კი მაინც ის არის, რომ **მარიხუანა ფსიქოტროპული ნივთიერებაა და იწვევს ადამიანის თრობას. პირდაპირ მოქმედებს მეხსიერებაზე და შესაძლოა, ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს არა მხოლოდ მეხსიერებაზე, არამედ ადამიანის ფსიქიკაზეც. მარიხუანის მოხმარება ხშირად იწვევს გაღიზიანებას, აღგზნებასა და ფსიქიკურ პრობლემებს.**

მარიხუანის დეკრიმინალიზაციის შესახებ პროფესორი, ნარკოლოგი **გელა ლეჟავა** ამბობს: **„მივიღებთ თაობას, რომელსაც არ დააინტერესებს საქმე, იქნება ავადმყოფი და რომლის უმეტესობაც გადავა მძიმე ნარკოტიკზე. განადგურებულ და გაუბედურებულ თაობას მივიღებთ, ეს გვინდა?“**

მაშინ, როდესაც თბილისში შემზარავი დანაშაული მოხდა და თანატოლებმა დღისით, მზისით, დანებით დაჩეხეს 16 წლის ბიჭები, განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს პროფესორ გელა ლეჟავას სიტყვები— „განადგურებულ და გაუბედურებულ თაობას მივიღებთ, ეს გვინდა?“ ცხადია, არ ვამტკიცებთ, რომ ახალგაზრდები, რომლებმაც ეს უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს, ან მარიხუანის მომხმარებლები არიან, ან იმ კონკრეტულ მომენტში იმყოფებოდნენ მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ, თუმცა არც არაფერს გამოვრიცხავთ... **15-16 წელი ის ასაკია, როდესაც ახალგაზრდები ცდილობენ, ყველა ქმედებით ხაზი გაუსვან იმას, რომ დიდი გოგო-ბიჭები არიან. მათ ცხოვრებაში ჩნდება თამბაქო, ალკოჰოლი და ახლა უკვე მარიხუანაც, რადგან სამართლებრივი დევნის შიში უკვე აღარ არსებობს... იმედია, ხელისუფლება დაიკისრებს პასუხისმგებლობას მარიხუანის დეკრიმინალიზაციით მიღებულ სავალალო შედეგზე.**

მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლოში მარიხუანის მოხმარების თაობაზე სარჩელი **გივი შანიძემ** შეიტანა, მას სამართლებრივ დახმარებას მოძრაობა „გირჩი“ უწევდა და ეს მათ „გამარჯვების ქეისში“ მიიწერეს. **ხელისუფლებას, რომელსაც „გირჩი“ თუ „ლეღვის ფოთოლი“ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე სასამართლოს უგებს, დიდი დღე არ უწერია, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არის ხელისუფლების პოლიტიკაც...**

მაშინ, როდესაც ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიკური, სოციალური და კრიმინალური ვითარებაა და ხელისუფლებას მისი გამოსწორების არც სურვილი აქვს და არც უნარი, “გირჩის” ხელით გამოსავალს გვთავაზობს: „მოწიე პლანი, იყავი ბამბუჩა“...

# ევას ვაშლები



**„არის, ასრულდა ოცნება! არის, ასრულდა მიზანი!“ — საქართველოს პარლამენტმა ევა გოცირიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია. 90 მომხრე და არც ერთი წინააღმდეგი — ასეთი იყო კენჭისყრის შედეგი.**

საკანონმდებლო ორგანომ ქალბატონი ევა თანამდებობაზე 10 წლის ვადით გაამწესა. ის შეცვლის **ლალი ფაფიაშვილს**, რომლის წლიური შემოსავალი აღნიშნულ თანამდებობაზე 122 428,34 ლარს შეადგენს, რაც თვეში დაახლოებით 10 202 ლარია. მოკლედ, ევროსაბჭოს მიერ კომპეტენციადაწუნებული მოსამართლე, „ქართული ოცნების“ წყალობით, 10 წლის განმავლობაში ხელშეუხებელია და მისი ყოველთვიური გასამრჯელო დაახლოებით 56 პენსიონერის ყოველთვიური შემოსავლის ეკვივალენტია.

როგორც „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, ევა გოცირიძის კანდიდატურა მაღალი კვალიფიკაციის ნიშნით შეირჩა, ხოლო ევროსასამართლოში მისი კანდიდატურის ჩაგდებას იმით ხსნიან, რომ ევროპულმა სასამართლომ მაშინ მთლიანი სია დაუბრუნა საქართველოს, რადგან იქ ძალიან მაღალი სტანდარტებია და ჩაითვალა, რომ წარდგენილი კანდიდატები მეტად კონკურენტულები უნდა ყოფილიყვნენ. ის, რაც ევროპული სასამართლოსთვის არ არის კონკურენტუნარიანი, მაღალი კვალიფიკაციაა საქართველოსთვის. **რთული სათქმელია, რა დამსახურებისთვის არის „ქართული ოცნება“ გოცირიძის დასაქმებაში ასეთი ერთსულოვანი და რატომ ლობირებდნენ ევროსასამართლოში მის კანდიდატურას თავგამოდებით, მაგრამ ფაქტია: როგორც იქნა, ევას მიხედეს და „დააბინავეს“.**

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ევა გოცირიძის არჩევა სოციალურ ქსელში ასე შეფასდა: „არის, ასრულდა ოცნება! არის ასრულდა მიზანი!“ შეგახსენებთ, რომ 1964 წელს თბილისის „დინამომ“ პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და სიმღერა, რომლის სტრიქონებიც ზემოთ მოვიყვანეთ, მათ გამარჯვებას მიეძღვნა. იმხანად ამ სიმღერას სრულიად საქართველო მღეროდა, ისე, როგორც გოცირიძის არჩევის შემდეგ „ღადაობდა“ მავანი ამ თემაზე სოციალურ ქსელებში. თბილისის „დინამომ“, როგორც ტექსტშია ნათქვამი, ცხრა მთა გადაიარა, რათა უზბეკეთის მიწაზე დაეცვა საქართველოს ღირსება და დიდი სიხარულიც მოუტანა ქვეყანას. იკითხავთ ახლა: სად — ლეგენდარული თბილისის „დინამო“ და სად — ევა გოცირიძეო, მაგრამ, როგორც მაშინ ოცნებობდა ერი ქართველი ფეხბურთელების გამარჯვებაზე, ისე იქცა ოცნებად „ოცნებისთვის“ ქალბატონი ევას დასაქმება და, როგორც იქნა, „არის, ასრულდა ოცნება!“.

სხვათა შორის, **ცხრა მთა ევა გოცირიძემაც გადაიარა, სტრასბურგში რომ დაეცვა საქართველოს ღირსება, მაგრამ კომპეტენცია დაუწუნეს...** შეგახსენებთ, ქალბატონი გოცირიძე 2016 წელს საქართველოს მთავრობამ ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის ერთ-ერთ კანდიდატად წარადგინა და თავგამოდებითაც ლობირებდა მისი კანდიდატურის გასვლას, მაგრამ ევროპის საბჭოს შესაბამისმა კომიტეტმა ევას კანდიდატურა ჩააგდო. ხელისუფლების წარმომადგენლებმა და თვითონ კანდიდატმაც მომხდარი მის წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარს დააბრალა და ამით განაწყენებული გამოვიდა ინიციატივით, რომ მოსამართლეთა შეურაცხყოფაზე რეგულაციები დაწესებულიყო. ევა გოცირიძის ამ ინიციატივას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად შეფასდა... მისი ბიბლიური სეხნიის მსგავსად, რომლის გამოც კაცობრიობამ სამოთხეში ცხოვრების უფლება დაკარგა, იმედია, ევა გოცირიძე გაუძლებს ცდუნებას და ერთ დღესაც მისი მეცადინეობით საზოგადოებას სიტყვის თავისუფლება არ შეეზღუდება...

**რთული სათქმელია, რა დამსახურებისთვის არის «ქართული ოცნება» გოცირიძის დასაქმებაში ასეთი ერთსულოვანი და რატომ ლობირებდნენ ევროსასამართლოში მის კანდიდატურას თავგამოდებით, მაგრამ ფაქტია: როგორც იქნა, ევას მიხედეს და «დააბინავეს»**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რეფორმა, რომელსაც ქართული სახელმწიფოს პროგრესული განახლების წინაპირობები უნდა შეექმნა, ბანანის რესპუბლიკისთვის დამახასიათებელ ფარსად გადაიქცა.**

# «მეცნიერული ბიძინიზმი»

**მეექვსე წელი „ბიძინას წელთაღრიცხვით" ძალიან ცუდად — მსხვერპლითა და უბედურებით დაიწყო. არასწორად დაგეგმილმა ოპერაციამ და სპეცრაზმელის დაღუპვამ, კოშმარულმა ხანძარმა ბათუმში და მოზარდების მკვლელობამ 51-ე სკოლასთან ქვეყანა შეძრა და დროებით დაავიწყა სხვა პრობლემები, მაგალითად, ლარის კონვულსიები ან პარლამენტის მიერ იდიოტური კანონების მიღება. ბევრი მოქალაქე ამ დღეებში მივიდა დასკვნამდე, რომ ყოველივე მომხდარი არა შემთხვევითობა, არამედ სისტემური პრობლემების შედეგია და ეს ძალზე საგულისხმო და მნიშვნელოვანია.**



**არის თუ არა «ბიძინიზმი» ყველა მის გამოვლინებაში ჩვენი ქვეყნის სოციოკულტურული განვითარების ფინალური წერტილი, ასე ვთქვათ, «ბოლო გაჩერება»? ყველა ფიქრობს, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ ამავე დროს არ შეინიშნება არა მხოლოდ სწრაფვა უკეთესობისკენ და, ასე ვთქვათ, «სხვა ისტორიისკენ», არამედ შესაბამისი სურვილიც კი; საზოგადოება შეგუებულია ცუდ ცხოვრებას უარესის შიშით**

„მეორე წელი იქნება საგრძნობლად უკეთესი, მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს, მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი", — ამბობდა ივანიშვილი. მსჯელობა იმაზე, თუ რას გულისხმობდა ფიგურანტი „კარგსა" და „უკეთესში", შეიძლება ფრიად უცენზურო გამოვიდეს, ამიტომ ყურადღება სხვა გარემოებას მივაქციოთ: ივანიშვილს არ ჰქონდა წინასწარმეტყველებები სხვა, მომდევნო წლებზე (მეხუთეზე, მეექვსეზე და ა.შ.), არამედ მხოლოდ 2030-ზე: „2030-ისთვის შეიძლება, ახლოს იყოს ჩვენი ეკონომიკა ევროპულთან", „2030 წლისთვის მშპ-ს მაჩვენებელი გაოთხმაგდება", თუმცა ამავე დროს თავი დაიზღვია: „არ იფიქროთ, რომ 2030 წელს საქართველოში გაჭირვებულს ველარ ნახავთ... ვინც იცის ეკონომიკა, იცის, რომ 15-20 წელიწადიც არ არის დიდი დრო, რომ ევროპის მსგავსი ეკონომიკა ავაშენოთ".

ამგვარად, „ქართული ოცნების" კოორდინატთა სისტემაში მონაკვეთი 2017-დან 2030-მდე შეიძლება განვიხილოთ, როგორც სატრანზიტო პერიოდი ივანიშვილის პარტიის ხელისუფლებაში დამკვიდრებიდან (ამას 4 წელი დასჭირდა) მისი მმართველობის საბოლოო შედეგის დადგომამდე და განვლილი გზის შეფასებამდე (ასეთ მიჯნად ივანიშვილი 2030 წელს განიხილავს). ამ სატრანზიტო მონაკვეთში, ყოველდღიური სირთულეების გარდა, არის რაღაც პოსტისტორიულიც და პრეისტორიულიც — ძველი ისტორია დასრულდა, ახალი კი ჯერ არ დაწყებულა. გლობალურ მასშტაბებზე რომ გვესაუბრა, აუცილებლად გავიხსენებდით ჰეგელისა და ფრენსის ფუკუიამას ცნობილ წიგნს „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი", თუმცა ერთი ბედკრული რესპუბლიკისთვის ეს მეტისმეტია. ჩვენ მხოლოდ ის უნდა დავადგინოთ, **არის თუ არა „ბიძინიზმი" ყველა მის გამოვლინებაში ჩვენი ქვეყნის სოციოკულტურული განვითარების ფინალური წერტილი, ასე ვთქვათ, „ბოლო გაჩერება"? ყველა ფიქრობს, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ ამავე დროს არ შეინიშნება არა მხოლოდ სწრაფვა უკეთესობისკენ და, ასე ვთქვათ, „სხვა ისტორიისკენ", არამედ შესაბამისი სურვილიც კი; საზოგადოება შეგუებულია ცუდ ცხოვრებას უარესის შიშით.**

ასეთ სიტუაციაში ადამიანს შეუძლია მხოლოდ იოცნებოს იდეალურ სახელმწიფოზე — ზოგი ტრანსში შესასვლელად ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს იყენებს, თუმცა ამ შემთხვევაში საკმარისი იქნება მხოლოდ ერთი ბროშურა, „ქართული ოცნების" 2012 წლის საარჩევნო პროგრამა, რომელმაც ფსიქიკაზე შეიძლება გაცილებით მასშტაბური ზემოქმედება მოახდინოს, ვიდრე „ჰარი პოტერმა" და „ბეჭდების მბრძანებელმა" ერთად. სამივე ნაწარმოები ერთი ჟანრისაა, მაგრამ ჩვენს კუმულატიური ეფექტი აქვს. კარლოს კასტანედა საეჭვო სოკოებს, სავარაუდოდ, იმიტომ ჭამდა, რომ „ქართული ოცნების" 2012 წლის პროგრამა არ ჰქონდა.

„მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები დაიხარჯება მიზნობრივად და გამჭვირვალედ"... „ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება"... დაასრულებს ავტორიტარულ მმართველობას და პოლიტიკურ მესიანიზმს საქართველოში"... „დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას, გაათავისუფლებს სასამართლოს და სამართალდამცავ ორგანოებს პოლიტიკური ზეწოლისგან"... „არ დაუშვებს ხელისუფლებაში მყოფი პარტიის შერწყმას სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რისთვისაც გაათავისუფლებს საჯარო სამსახურებს მმართველი ძალის წნეხისგან და გამიჯნავს მათ პარტიული ინტერესისგან"... „ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის გაზრდას"... „დაძლევს უმუშევრობასა და სიღარიბეს, შეუქმნის უნარიან და მშრომელ მოქალაქეებს სიმდიდრისა და კეთილდღეობის პირობებს"... „ყველა თანამდებობის პირი, რომლებსაც ჩადენილი აქვს დანაშაული, პასუხს აგებს სამართლიანი სასამართლოს წინაშე"... „მოსამართლის შერჩევისას მხედველობაში იქნება მიღებული არა მარტო მისი კვალიფიკაცია, არამედ პირადი თვისებები, პატიოსნება, პრინციულობა და შეუვალობა"... (მურუსიძის მადლი გფარავდეთ! ბოდიში, თავი ვერ შევიკავე).

თუ გაგიჩნდებათ სპონტანური სურვილი, მმართველი პარტიის რომელიმე წარმომადგენელს ეს ბროშურა თავზე გადაახიოთ, მან შეიძლება გითხრათ, რომ თქვენი შეფასებები სუბიექტურია. მაგალითად, რომ გადასახედები მართლაც მიზნობრივად და გამჭირვალედ იხარჯება და თუნდაც ის ღორული პრემიადანამატები სავსებით გამჭვირვალეა და გარკვეული თვალსაზრისით — მიზნობრივიც (უბრალოდ, გააჩნია, რას უმიზნებ), ამიტომ, თუ პრიორიტეტულ მიზანს არა ტრანსში შესვლა, არამედ თავზე პროგრამის გადახევა წარმოადგენს, საჭირო გახდება გადასვლა კონკრეტიკაზე.

„უმოკლეს ვადებში განვახორციელებთ ტარიფების ხელახალ და სამართლიან გადაანგარიშებას ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირების მიმართულებით"... ვერაფერს ვიტყვით, გადაიანგარიშეს — განსაკუთრებით ცინიკურ და გაუკულმართებულ ფორმებში... **ჯორჯ ორუელი ცოცხალი რომ ყოფილიყო, „ანგსოცის" ცნობილ ლოზუნგებს დღეს, ალბათ, შემდეგნაირად ჩამოაყალიბებდა: „ომი მშვიდობაა, თავისუფლება მონობაა, არცოდნა ძალაა, ტარიფი ტარიფია, ძმაო".**

„მოხდება საწვავის, ფარმაცევტული პროდუქციისა და სხვა საქონლის ფასების კლება, რაც ჯანსაღი კონკურენციის შედეგად მიიღწევა და რასაც მოსახლეობა პრაქტიკულად დაუყოვნებლივ იგრძნობს". ან ჩვენ ვართ უგრძნობნი, ან „დალპა რაღაც დანიის სამეფოში".

„ყოველ სოფელს ეყოლება არა დანიშნული, არამედ მის მიერ არჩეული მამასახლისი". კი, რა თქმა უნდა... დიასახლისიც... ესეც ხომ არ გავიხსენოთ? — „კონსტიტუციით დადგინდება ადამიანის უფლებათა და პეტიციის საკითხთა კომიტეტების შექმნის ვალდებულება".

2012-16 წლებში „ქართული ოცნება" გვიმტკიცებდა, რომ „ნაცმოძრაობა" (რომელიც იმავე პერიოდში თავზე დაისვა, კოაბიტაციის პერვერსიული პროცესის ფარგლებში) გასაოცარი საკონსტიტუციო რეფორმის გატარების შესაძლებლობას არ აძლევს – მაშინ მმართველ პარტიას პარლამენტში ხმები არ ჰყოფნიდა. 2016-ში მან მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა და დაუყონებლივ დემოკრატიის წინააღმდეგ ძალიან ცუდი საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად გამოიყენა. თანაც, ის ადამიანი, რომელსაც ამ პროცესის კურირება ევალებოდა, პირდაპირ ეთერში უაღესად საინტერესო, პრაქტიკულად აღიარებით, ჩვენებებს იძლევა: „სამწუხაროდ, არ მოგვეცა იმის საშუალება, რომ სიღრმისეულად გვემსჯელა კონსტიტუციასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე, სამწუხაროდ, ზედმეტად იყო პოლიტიზებული ეს პროცესი, არასწორი ფორმითაც, შეიძლება ითქვას, და ამან არ მოგცა საბოლოოდ იმის საშუალება, რომ სიღრმისეულად გვემსჯელა კონსტიტუციის არსთან და საკონსტიტუციო ცვლილებების შინაარსთან დაკავშირებით", — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე (ინტრეპრესნიუსი). გამოდის, რომ საკონსტიტუციო რეფორმა არა სიღრმისეული, არამედ ზედაპირული მსჯელობის ნაყოფს წარმოადგენს და ამას ამბობს იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც თავის მოქმედებაში პრაქტიკულად არაფერი ზღუდავს. **რეფორმა, რომელსაც ქართული სახელმწიფოს პროგრესული განახლების წინაპირობები უნდა შეექმნა, ბანანის რესპუბლიკისთვის დამახასიათებელ ფარსად გადაიქცა.** თანაც, ვერა და ვერ მოისვენეს — ახლახან მიღებული ცვლილება პრეზიდენტის ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ არჩევის შესახებ შეიძლება გაუქმდეს და ის პარლამენტმა აირჩიოს. ცალსახაა, რომ ეს მცდელობა პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარეობს და „ქართული ოცნების" ინტერესებს ემსახურება.

საზოგადოება აღფოთებულია ბოლო დროს მომხდარი უბედურების გამო, მაგრამ იმ ემოციურ ქარიშხალში, რომელიც მედიასა და სოციალურ ქსელებში სუფევს, გულწრფელი გრძნობების გარდა, პასუხიმგებლობის არიდების ქვეტექსტიც არის. მაშინ, როდესაც ყოველივე მომხდარზე პასუხისმგებელია საზოგადოების თითოეული წევრი, არა მხოლოდ და არა იმდენად იმიტომ, რომ ხმა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას მისცა (ამომრჩეველი შეიძლება შეცდეს, თანაც 2012-ში აუცილებელი იყო სააკაშვილის სადისტური რეჟიმის დემონტაჟი), არამედ იმიტომ, რომ არ მოსთხოვა პასუხი ხელისუფლებას კონკრეტული ვალდებულებების არშესრულების და აშკარად მავნებლური ქმედების გამო 2013-ში, 2014-ში, 2015-ში, 2016-ში, 2017-ში და ნამდვილად არაა გამორიცხული, ამ მდგომარეობამ 2030-მდე გასტანოს.

**ილუპებიან მეშახტეები, მაგრამ თითქმის არავის ანაღვლებს, რომ შრომის ინსპექცია ვერა და ვერ შეიქმნა. იწვის ტყეები და შენობები, ილუპება ხალხი, მაგრამ ხანძარსაწინააღმდეგო რეგულაციების გამკაცრებას პრაქტიკულად არავინ მოითხოვს და ახალ „ტყის კოდექსზე" კითხვებს არ სვამს. საზოგადოება არ გამოხატავს რამდენადმე შესამჩნევ პროტესტს იმის გამო, რომ საქართველოში თითქმის არ დარჩა კულტურული და სპორტული ცენტრები, რომლებშიც მოზარდებისთვის უფასო ან „ფაქტობრივად უფასო" წრეები იმუშავებს, რომ სამართალი ამ ქვეყანაში შერჩევითია, ხოლო აგრესია ყოველდღიური ცხოვრების ნორმაა, შემდეგ კი უკვირს, წუხს და ცრემლებს ღვრის.**

„— მაშ... ვინ... ვინ მოკლა?.. — ველარ მოითმინა და შეეკითხა სულშეგუბებული რასკოლნიკოვი. პორფირი პეტროვიჩმა უცებ უკან გაიწია, სკამს მიაყრდნო ზურგი, თითქოს მოულოდნელი იყო მისთვის ეს კითხვა და გაიკვირვაო.

— როგორ თუ ვინ მოკლა? — გაიმეორა, თითქოს ყურს არ უჯერებსო, — ვინა და თქვენ, როდიონ რომანიჩ! თქვენ მოკალით... — დასძინა თითქოს ჩურჩულით, მაგრამ სრულიად მტკიცე ხმით" (დოსტოევსკი „დანაშაული და სასჯელი").

**ჯორჯ ორუელი ცოცხალი რომ ყოფილიყო, «ანგსოცის» ცნობილ ლოზუნგებს დღეს, ალბათ, შემდეგნაირად ჩამოაყალიბებდა: «ომი მშვიდობაა, თავისუფლება მონობაა, არცოდნა ძალაა, ტარიფი ტარიფია, ძმაო»**

**DEUTSCHE WELLE-ს ინფორმაციით, ორგანიზაცია AMNESTY INTERNATIONAL-მა ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ტერორისტის რუსეთში ექსტრადიცია არ მომხდარიყო. უფლებადამცველთა მოთხოვნის საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ მოუწოდა უკრაინას, არ გადაეცა ცალხელა ექსტრემისტი რუსეთისთვის, რადგან მან ავსტრიაში თავშესაფარი მიიღო და ჟენევისა და გაეროს დევნილთა შესახებ კონვენციების დაცვის ქვეშ ხვდებოდა. ჩატაევი გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ მის ტელეფონში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადების ინსტრუქციები იპოვეს.**

სპეცოპერაციის შემდეგ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## შოთა უტიაშვილი:
# ჩატაევი ჩვენი მოკავშირე იყო

**თბილისში 22 ნოემბერს ჩატარებულმა სპეცოპერაციამ თავიდანვე ბევრი კითხვა გააჩინა საზოგადოებაში. კიდევ უფრო მეტი კითხვა მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც გაირკვა, რომ ერთ-ერთი ლიკვიდირებული პირი იყო ჩეჩენი აჰმედ ჩატაევი, რომელიც 2012 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ლოპოტას ხეობაში ჩატარებული ე.წ. ლაფანყურის სპეცოპერაციისას დააკავეს, მაგრამ მოგვიანებით 5 ათასი ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ჩატაევმა საქართველო 2013 წელს დატოვა. დასავლური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ის „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ დანაყოფს ხელმძღვანელობდა. საყურადღებოა, 2 დეკემბერს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „ქრონიკაში“ მიწვეული შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი უფროსის — შოთა უტიაშვილის განცხადება აჰმედ ჩატაევზე. უტიაშვილმა თქვა, რომ „ჩატაევი ჩვენი ერთ-ერთი მოკავშირე იყო“, ანუ საქართველის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდაო. თბილისში 22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის მიზეზებსა და ჩატაევის ლიკვიდაციით გამოწვეულ საფრთხეზე ბევრი ვერსია ვრცელდება, მაგრამ მცირე შემოკლებით გთავაზობთ წერილს, რომელიც ამ საკითხზე ყველაზე საინტერესოდ მივიჩნიეთ და რომელიც საზოგადოებისთვისაც არ იქნება ინტერესმოკლებული.**
**ეს წერილი გამოქვეყნებულია ვებგვერდზე 1tv.ge.**



„თბილისში 22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაცია სავარაუდო ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ სამი შეიარაღებული პირის ლიკვიდაციითა და ერთის დაკავებით დასრულდა. ოპერაციისას დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის წევრიც. საქართველოს ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები აღნიშნული ინციდენტის კომენტირებისას თავშეკავებული და ფრთხილი განცხადებებით შემოიფარგლნენ, თუმცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა **ვახტანგ გომელაურმა** და შინაგან საქმეთა მინისტრმა **გიორგი გახარიამ** გაკვრით მაინც ილაპარაკეს საქართველოს დედაქალაქში „საერთაშორისო ტერორისტების“ შემოსვლისა და მათ შორის მყოფი ჩატაევის ლიკვიდაციაზე.

2015 წელს ჩატაევმა სირიიდან გამოუგზავნა აუდიომუქარა საქართველოს ხელისუფლებას. იგი მოითხოვდა პანკისის ერთ-ერთი სოფლის ყოფილი იმამის, **აიუბ ბორჩაშვილის**, გათავისუფლებას, რომელიც ქართველმა სამართალდამცველებმა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირის გამო დააკავეს. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ჩატაევი საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობით დაიმუქრა. ჩეჩნეთის სოფელ ვედენოში დაბადებულ ჩატაევს, რომელსაც წელს 37 წელი შეუსრულდა, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობის გამო, რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები 2003 წლიდან ეძებდნენ. იგი ჩეჩნეთის მეორე ომში ტერორისტების მხარეს იბრძოდა. ჩატაევს დასავლეთ ევროპაში **დოკუ უმაროვის** მებრძოლთა ლიდერადაც მიიჩნევდნენ.

ჩატაევი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში შეიარაღებული კონფლიქტისას დაიჭრა და ხელი დაკარგა, მაგრამ ტრავმას იგი სისხლიანი თამაშიდან არ გაუყვანია. ხელის დაკარგვა საკვანძო ფაქტორად იქცა მის ბიოგრაფიაში და ექსტრემისტულ მიწისქვეშეთში იერარქიულ წინსვლაშიც დაეხმარა. მოგვიანებით ჩატაევის ადვოკატებმა ჭრილობა იმ ვერსიის მტკიცებულებად გამოიყენეს, რომ „ბოევიკს“ რუსული ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები აწამებდნენ. მოვლენათა აღწერამ ცალხელა აჰმედი ბევრის თვალში ტერორისტიდან ხელისუფლების დევნის სიმბოლოდ აქცია. მედიასაშუალებების ნაწილმა ჩატაევი პოლიტიკურ დევნილადაც კი შერაცხა.

2001 წელს მან მოახერხა ჩეჩნეთის დატოვება, სადაც იგი ბანდფორმირებებში მონაწილეობის გამო იყო დაკავებული. რა გზით მოახერხა ექსტრემისტმა სისხლის სამართლის სასჯელის თავიდან აცილება საიდუმლოდ რჩება. სავარაუდოდ, იგი ამნისტიით გათავისუფლდა. სად იმყოფებოდა ჩატაევი მომდევნო ორი წლის განმალობაში, ასევე არ არის ცნობილი. 2003 წელს იგი გამოჩნდა ევროპაში, კერძოდ, ავსტრიაში, სადაც დევნილის სტატუსის მიღება მოახერხა. ვენაში იგი მეუღლესა და სამ შვილთან ერთად გადასახლდა და მიიღო თავშესაფარი მას შემდეგ, რაც რუსეთში მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა განახლდა...

ევროპაში ჩატაევი ურთიერთობას ინარჩუნებდა კიდევ ერთ პოლიტიკურ დევნილთან ჩეჩნეთიდან – აუღიარებელი ჩეჩნეთის იჩქერიის რესპუბლიკის თვითგამოცხადებულ პრემიერმინისტრ **ახმედ ზაკაევთან.** როგორც სხვადასხვა წყარო იუწყება, ზაკაევმა თანამემამულე ავსტრიის რესპუბლიკაში იჩქერიის რესპუბლიკის წარმომადგენლის პირველ მოადგილედ დანიშნა, მაგრამ უკვე 2008 წელს (სხვა წყაროებით 2007 წლის მარტში) იგი შვედეთის ქალაქ ტრელებორგში მძიმე ბრალდებით დააკავეს: მანქანაში უპოვეს ცეცხლსასროლი იარაღი. მიუხედავად ამისა, ჩატაევმა სიმბოლური სასჯელი მიიღო — ერთი წლითა და ოთხი თვით პატიმრობა.

ჩატაევს მორიგი პრობლემა სასჯელის მოხდის შემდეგ შეექმნა — იგი კვლავ დააკავეს, ამჯერად უკრაინაში.

ჩატაევი 2010 წლის იანვარში ზაკარპატიეს ოლქში დაიჭირა უკრაინის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დანაყოფმა, რომელიც რუსი კოლეგების თხოვნით მოქმედებდა და რომელიც ჩატაევს კავკასიაში ბანდფორმირებების დაფინანსებასა და იარაღით მომარაგებაში ადანაშაულებდა. თუმცა ექსტრადიცია არ მომხდარა, მიუხედავად უკრაინის სასამართლოს სურვილისა, ჩატაევი რუსეთისთვის გადაეცა.

**DEUTSCHE WELLE-ს ინფორმაციით, ორგანიზაცია AMNESTY INTERNATIONAL-მა ბევრი გააკეთა იმისთვის, ტერორისტის რუსეთში ექსტრადიცია რომ არ მომხდარიყო. უფლებადამცველთა მოთხოვნის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ მოუწოდა უკრაინას, არ გადაეცა ცალხელა ექსტრემისტი რუსეთისთვის, რადგან მან ავსტრიაში თავშესაფარი მიიღო და ჟენევისა და გაეროს დევნილთა შესახებ კონვენციების დაცვის ქვეშ ხვდებოდა. ჩატაევი გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ მის ტელეფონში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადების ინსტრუქციები იპოვეს.** უკრაინამ ჩატაევი გადმოსცა საქართველოს, სადაც იგი 2000-იანი წლების დასაწყისში ჩადენილი დანაშაულის გამო იძებნებოდა. გარკვეული დრო ჩატაევმა ქართულ ციხეში გაატარა, თუმცა მოგვიანებით გათავისუფლდა, დაქორწინდა და ცხოვრობდა როგორც თბილისში, ასევე პანკისის რაიონის სოფელ დუისში. ერთი წლის შემდეგ ჩატაევი თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე დააკავეს. ქალაქ პლოვდივის სასამართლომ იმავე მიზეზებით, რა მიზეზებითაც ადრე უკრაინამ, რუსეთს უარი განუცხადა ჩატაევის ექსტრადიციაზე.

**აჰმედ ჩატაევი 2012 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ლოპოტას ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის შემდეგ დააკავეს. შსს-ს ოფიციალური ვერსიის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე დაღესტნიდან კარგად შეიარაღებულ მებრძოლთა ოცკაციანი ჯგუფი შემოვიდა. ბანდიტებმა აიყვანეს მძევალთა სამი ჯგუფი ადგილობრივი მცხოვრებლებიდან — ხუთიდან ათამდე ადამიანი.** ქართველმა ძალოვანებმა შეტაკებისას გაანადგურეს 11 მებრძოლი, მათ შორის, **დუკვახ დუშუევი**, ჩეჩენი სეპარატისტების ემისრის, ახმედ ზაკაევის, პირადი მცველი. ერთადერთი კრიმინალი, რომელიც ქართველმა ძალოვანებმა დააკავეს, იყო ახმედ ჩატაევი. იგი მესაზღვრეებს რამდენიმე დღის შემდეგ ჩაბარდა. თავდაპირველად მას ბრალად წაუყენეს იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა – ჩატაევს რამდენიმე ხელყუმბარა ჰქონდა. შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე **გია ლორთქიფანიძის** განცხადებით, ჩატაევი, თავდაპირველად, სამართალდამცავ ორგანოებზე მუშაობდა და მომლაპარაკებელი იყო საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ისლამისტურ იატაკქვეშა დაჯგუფებებს შორის. თუმცა მოგვიანებით, მან ლაფანყურის მოვლენებისას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო.

**ხელისუფლების ცვლილებიდან ორ თვეში, 2012 წლის 6 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნით ახმედ ჩატაევი 5 ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ერთ თვეში კი პროკურატურამ მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა, „დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო“. ჩატაევს გირაოს სახით გადახდილი თანხაც უკან დაუბრუნეს.** 2013 წლის ბოლოს მან ქვეყანა დატოვა, ხოლო ორ წელიწადში ცნობილი შეიქნა, რომ იგი „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდა. რუსეთის ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის ინფორმაციით, ჩატაევი რამდენიმე წლის წინათ წავიდა სირიაში და შეუერთდა „ისლამურ სახელმწიფოს“, სადაც იგი რუსულ სექტორს კურატორობდა. რუსული სპეცსამსახურები 2016 წლის დასაწყისში აფრთხილებდნენ სხვა ქვეყნების ძალოვან სტრუქტურებს, რომ ახმედ ჩატაევი დაიშში („ისლამური სახელმწიფო“) განსაკუთრებულ დანაყოფს ხელმძღვანელობდა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან წასულების მიერაა დაკომპლექტებული და რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ტერაქტებზე სპეციალიზდება. გამოცემა The Times-ის ინფორმაციით, ჩატაევი ბატალიონ „იარმუკის“ ხელმძღვანელობდა, „ისლამური სახელმწიფოს“ სამი ბრიგადიდან ერთ-ერთს, რომელიც ჩეჩენი მებრძოლებისგან შედგებოდა.

**2016 წლის 28 ივნისს კი სტამბულის აეროპორტის საერთაშორისო ტერმინალში ტერაქტი მოხდა. თვითმკვლელმა ტერორისტებმა თავი აიფეთქეს, შედეგად დაიღუპა 43 ადამიანი, დაიჭრა — 230. თურქული პოლიციის განცხადებით, ტერაქტი ჩატაევმა დაგეგმა.** ჩატაევის მონაწილეობა ტერაქტის დაგეგმვაში აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელმა **მაიკლ მაკოლმაც** დაადასტურა.

თბილისში ნოემბრის სპეცოპერაციით გამოწვეულმა შოკმა ექსპერტთა ნაწილი საქართველოში „ტერორიზმის მოსვლის“ თემაზე აალაპარაკა. აღსანიშნავია, რომ ამ საფრთხეს საქართველოს სახელმწიფო პირველად არ აწყდება. ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების შემდეგ საქართველომ საზღვრები გახსნა ჩეჩენი ლტოლვილების მისაღებად, თუმცა ამ შესაძლებლობით შეიარაღებული პირებიც აქტიურად სარგებლობდნენ (მაგალითად, ცნობილი საველე მეთაური რუსლან გელაევი).

მალევე პანკისის ხეობაში გამოჩნდნენ უცხოელი ჯიჰადისტებიც, მაგალითად, **აბუ ჰავსი**, რომელსაც „ალ ქაიდასთან“ ჰქონდა კავშირი. 2002-2003 წლებში ქართულმა სპეცსამსახურებმა და სამართალდამცავმა სტრუქტურებმა პანკისის ხეობაში „ანტიკრიმინალური ოპერაცია“ ჩაატარეს, რომლის ფარგლებშიც ტერორისტულ სტრუქტურებთან კავშირში ეჭვმიტანილი ორმოცამდე ადამიანი დააკავეს. აღნიშნულმა ქმედებამ პანკისის რეგიონში ვითარების გარკვეული სტაბილიზაცია გამოიწვია. **„ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურების შემდეგ, ქართველი ექსპერტების ნაწილის აზრით, საქართველო იქცა „თურქული ფანჯრით“ დაკავშირებულ სატრანზიტო გზად, რომელსაც, როგორც რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შევიწროებული ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები, ასევე ახლოაღმოსავლელი კრიმინალები იყენებდნენ. ამას გარდა, თვით საქართველოშიც არსებობდა „ჯიჰადისტური ინტერნაციონალის“ რიგების შევსებისა და რადიკალიზაციის წყაროები.**

ტერორიზმის პოტენციური ზრდის საფრთხეს საქართველოში თავისი მიზეზები აქვს. უპირველეს ყოვლისა, ქართული პოლიტიკური კლასი მრავალი წლის განმავლობაში კონცენტრირებული იყო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტაზე. ეს საკითხები ცენტრალური იყო როგორც საშინაო, ასევე საგარეო-პოლიტიკურ დღის წესრიგში (დიდწილად სწორედ მან გამოიწვია რუსეთთან კონფრონტაცია და ევროატლანტიკური კურსის არჩევა). შედეგად სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა რელიგიური უმცირესობების (უპირველეს ყოვლისა, მუსლიმების) ინტეგრაციის პრობლემები ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში. პანკისი ამ შემთხვევაში ნათელი მაგალითია, თუმცა ისლამური სივრცის რადიკალიზაციის საფრთხეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, საქართველოს ხელისუფლება ქვემო ქართლსა და აჭარის რეგიონშიც აწყდება. მეორე მხრივ, **საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო ტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება. ერთი მხრივ, იგი ცდილობს ჯიჰადიზმის წინააღმდეგ ბრძოლას; მეორე მხრივ კი, უკვე წლებია, შერჩევითი პოლიტიკა აქვს ისლამური უმცირესობის მიმართ. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ხელისუფლება სალაფიტურ თემზე აკეთებდა აქცენტს და მათი საშუალებით პანკისის რეგიონის მართვას ცდილობდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება კი „ტრადიციული ისლამის“ წარმომადგენლებს ეყრდნობა.** ორივე სტრატეგია საფუძველშივე არასწორია და ისლამური უმცირესობის ინტეგრაციის პრობლემებს ქმნის.

**თბილისის სპეცოპერაცია სიგნალია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მისი მოკავშირეებისთვის. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების ფონზე საქართველოს სულ უფრო გაუჭირდება რეგიონში „უსაფრთხოების კუნძულად“ დარჩენა. მიმდინარე პროცესები კი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე“.**

მომზადებულია
**რევაზ ქოიავას**
წერილის მიხედვით

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლიბერალები“, რომლებიც, ბოდიში და, ენაგადმოგდებული ლანძღავენ ეკლესიას, დღეს სოციალურ ქსელებში წერენ, რომ თურმე, როგორც იქნა, გარკვეული სასულიერო პირები გონს მოვიდნენ; თურმე ჩვენი ხსნა, ღმერთში კი არა, ამერიკაში ყოფილა“.**



## მამა გიორგი (რაზმაძე):

# ვინ იცავდა და მფარველობდა მიხეილ სააკაშვილს თავის დანაშაულებრივ გარემოცვასთან ერთად?! ვინ აცხადებდა: ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ლგბტ-ების უფლებები მსოფლიოში დაცული იყოსო?! ესენი არიან ჩვენი მეგობრები?!

**30 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხანგრძლივი „ლიბერალური“ წნეხისა და ზეწოლის შემდეგ მარიხუანის დეკრიმინალიზაციას საბოლოოდ დაუჭირა მხარი. გადაწყვეტილების საფუძველი იყო სარჩელი მოქალაქე გივი შანიძისა, რომელიც აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების განმეორებითი მოხმარების შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას და ნარკოპოლიტიკის შემსუბუქებას ითხოვდა. მოსარჩელეს სამართლებრივ დახმარებას პარტია „გირჩი“ და მისი მხარდამჭერი უფლებადამცველები უწევდნენ. „პირის უფლება, თავად შეარჩიოს განტვირთვის მისთვის სასურველი სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს“, — აღნიშნულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.**

**როგორც პროცესის დასრულების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარმა მრჩეველმა სალომე ჯოხაძემ მედიასთან განაცხადა, მოქალაქისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იმის გამო, რომ მან მხოლოდ თავის ჯანმრთელობას ავნო, თავისუფალი საზოგადოების ინტერესებთან თანხვედრი არ არის. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება, თუმცა ნორმა, რომელიც 70 გრამზე მეტი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, უცვლელი რჩება...**

**რას მოიტანს ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია და მოჰყვება თუ არა მას უახლოეს მომავალში ლეგალიზებაც? ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში წერია, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ თვითონ უნდა შეარჩიოს „განტვირთვის მისთვის სასურველი სახე“ და ეს მისი „პირადი ავტონომიით დაცული სფეროა“. როგორ ფიქრობთ, რას მოგვიტანს ეს გადაწყვეტილება, რეალურად რა ნაბიჯი გადადგა საკონსტიტუციო სასამართლომ?**

— საერთოდ, რაც ბოლო პერიოდში ხდება ჩვენს ქვეყანაში, ეს არის პირდაპირ ღვთის მცნებების წინააღმდეგ წასვლა და არავის ეგონოს, რომ ამას ვიღაც გაუცნობიერებლად აკეთებს. ყველაფერი გათვლილია და კონკრეტულ მიზანს, კონკრეტულ ამოცანას ემსახურება. როგორც ჩანს, საკონსტიტუციო სასამართლოც ამის ერთ-ერთი რგოლია.

ახლა — რას მოგვიტანს ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია. ჯერ ნახეთ, ვინ ითხოვს და ვინ არის ამის მომხრე: **პარტია „გირჩი“** — „ნაცმოძრაობის“ განაყოფი; „რუსთავი 2“ მთელი თავისი პროპაგანდისტული პოტენციალით; **„ლიბერალები“**, რომლებიც ასევე ითხოვენ მამათმავლების აღლუმის ჩატარების უფლებას და, მათი ნება რომ იყოს, დღესვე დააკანონებდნენ ერთნაირსქესიანთა ქორწინებასაც; **ვითომ უფლებადამცველები**, რომლებსაც ხმა არ ამოუღიათ თავის დროზე, როცა **სააკაშვილის** რეჟიმი ხალხს სულს ხდიდა ციხეებში, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, **ამის მომხრეა ხალხი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საქართველოსა და ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.** მათთვის არ არსებობს ცნება ტრადიციული და ისტორიული, არსებობს მხოლოდ „თავისუფლება“, რაც ნიშნავს, რომ ყველაფერი შეგიძლია, ყველაფერი ნორმალურია, მთავარია, სხვისი უფლებები არ შელახო...

მინდა, მივმართო საზოგადოებას, რომლის დიდი ნაწილიც დღეს მსხვერპლია „ლიბერალური“ ტერორის: სატელევიზიო მედია, ფაქტობრივად, 24-საათიან რეჟიმში ეწევა პროპაგანდას, რომ მარიხუანა, როგორც მსუბუქი ნარკოტიკი, არც ისე მავნებელია და მისი აკრძალვა ეწინააღმდეგება თავისუფალი საზოგადოების დემოკრატიულ პრინციპებს. ჯერ ერთი, **აგვიხსნან, რა კავშირი აქვს ნარკომანიის ლეგალიზებას დემოკრატიასთან, და მეორეც, არსებობს რამე კვალიფიციური მეცნიერული კვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ რომელიმე ნარკოტიკი მავნებელი არ არის? ან რას ნიშნავს „ადამიანის პირადი ავტონომიით დაცული სფერო“?** მაშინ ყველაფერი დავაკანონოთ. ვიღაც მიდრეკილია ქურდობისკენ, ვიღაც — მკვლელობისკენ, ვიღაც — მრუშობისკენ... აქ საქმე ის არის, რომ **თვითონ ხელისუფლების და, კონკრეტულად, პოლიციის მაღალჩინოსნების ბიზნესია ეს ნარკოტიკები საქართველოში. მათი ცოლები, მათი შვილები არიან ნარკობიზნესში ჩართული და ამ მაღალჩინოსნების ხელდასხმით ხდება ეს ყველაფერი...**

**— შეგიძლიათ, დაასახელოთ კონკრეტული მაღალჩინოსნები, რომლებიც ჩართულები არიან ამ პროცესში?**

— ამაზე ადრე არაერთხელ იყო საუბარი. მე, უბრალოდ, ერთი რამის თქმა მინდა: ამდენი უბედურება ხდება ქვეყანაში — ხანძრები, სტიქია, დასავლეთ საქართველო მავნე მწერმა შეჭამა, მკვლელობები, საშინელება... ოდესმე დაფიქრებულა ხელისუფლება? იქნებ ერთხელ მაინც აიღონ პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე და ამ ქვეყნისთვის რამე სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღოს. აქამდე თუნდაც ერთი რამ მსგავსი გაუკეთებიათ?!

**— ზოგიერთი „ლიბერალი“ „ექსპერტი“ დაჟინებით ამტკიცებს, რომ დეკრიმინალიზაციით ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა არ მოიმატებს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მე არ ვაპირებ კამათს იმ ადამიანებთან, რომლებიც ფულს იღებენ ქართველი ერის, განსაკუთრებით ახალგაზრდების გარყვნაში, გაუბედურებაში. უბრალოდ, გადავხედოთ სტატისტიკას. რა მოხდა სხვა ქვეყნებში, სადაც ეს დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაცია ჩვენზე ადრე მოახდინეს. საერთოდ, კანონს აქვს შემაკავებელი ძალა. **უამრავი ახალგაზრდა მიდრეკილია ნარკოტიკებისადმი და მის მოხმარებაზე მხოლოდ იმის გამო უარს ამბობს, რომ იცის, დაისჯება კანონის შესაბამისად. ახლა იმ ახალგაზრდას რომ ეტყვი, მორჩა, აღარ დაისჯები, რაც გინდა, ჰქენიო, როგორ ფიქრობთ, შეიკავებს ისევ თავს?!** რა თქმა უნდა, ერთიორად გაიზრდება მომხმარებლის რაოდენობა. დღეს თუ ათი კაცი ეწეოდა, სიტყვაზე, ხვალ ოცდაათი მოწევს, ზეგ კიდევ უფრო მეტი; და ნარკოტიკის მიღება, ეს არის მომაკვდინებელი ცოდვა. მეტსაც გეტყვით: **ნარკოტიკის მომხმარებელს ეკლესია არ აზიარებს. აი, ეს უნდათ ამათაც, რომ რაც შეიძლება მეტი იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც არ აზიარებენ. ასე ხდება ხალხის ჩამოშორება ღმერთისა და ეკლესიისგან...**

**«თვით ხელისუფლების, კონკრეტულად, პოლიციის მაღალჩინოსნების ბიზნესია ეს ნარკოტიკები საქართველოში. მათი ცოლები, მათი შვილები არიან ნარკობიზნესში ჩართული და ამ მაღალჩინოსნების ხელდასხმით ხდება ეს ყველაფერი»**

**— ადრე არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ „ლიბერალური“ პროპაგანდის უკან, რომელიც მიმართულია, როგორც ნარკოტიკების ლეგალიზების, ისე სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვისკენ, დგას დასავლეთი, განსაკუთრებით — ამერიკის შეერთებული შტატები. როგორ შეაფასებთ გარკვეული სასულიერო პირების ამასწინანდელ ვიზიტს ვაშინგტონში. ამ ვიზიტისას ერთ-ერთმა სასულიერო პირმა განაცხადა, რომ სწორედ ამერიკაა ჩვენ ტერიტორიული მთლიანობის, წინსვლისა და განვითარების უპირობო გარანტი.**

— პირდაპირ გეტყვით: მე ამ ყველაფერს ვუკავშირებ იმას, რომ პატრიარქის მოსაყდრედ **მეუფე შიო** გამოცხადდა. ეს ერთი. მეორე: ეს არის „ციანიდის საქმის“ ერთგვარი გაგრძელება, შეიძლება ითქვას, მეორე სერია. სხვა რა გითხრათ, როგორც სასულიერო პირი, შენდობას ვითხოვ ყველა იერარქისგან, რომლებიც ასეთ განცხადებას აკეთებენ, მაგრამ ვსვამ შეკითხვებს: **რანაირად არის ამერიკა და ევროპა ჩვენი მეგობარი, ყველაფერი, რაც დღეს აქ ტრიალებს და ჩვენთვის მიუღებელია, მათი ხელშეწყობით არ ხდება?! ვინ აფინანსებს იმავე „არასამთავრობო ორგანიზაციებს“, რომლებსაც სამიზნეში ჰყავთ ეკლესია და სამღვდელოება ამოღებული?! ვინ იცავდა და მფარველობდა მიხეილ სააკაშვილს თავის დანაშაულებრივ გარემოცვასთან ერთად?! ვინ აცხადებდა: ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ლგბტ-ების უფლებები მსოფლიოში დაცული იყოსო?! ესენი არიან ჩვენი მეგობრები?!**

**— მოდი, დავაკონკრეტოთ: რა კავშირშია ეს განცხადებები პატრიარქის თანამოსაყდრედ მეუფე შიოს დასახელებასთან?**

— მაგათ ჰგონიათ ან შეიძლება არ ჰგონიათ, მაგრამ ცდილობენ, ისე წარმოაჩინონ, რომ მეუფე შიო არის პრორუსული ძალა ამ კონკრეტულ ვითარებაში. მე ასე ვფიქრობ. „ლიბერალების“ „არგუმენტი“ კი არის ის, რომ მეუფე შიოს განათლება მიღებული აქვს რუსეთში. ხომ ხვდებით, რა აბსურდია. ჩვენს ინტელიგენციას, საუკეთესო ნაწილს ინტელიგენციისას, ოდითგან განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული. რა გამოდის? — **ილია ჭავჭავაძეც** რუსეთის აგენტი ყოფილა. ან ევროპის რომელ ქვეყანაში უნდა წავიდეს ადამიანი სულიერების შესასწავლად, ერთი საბერძნეთი იყო და მასაც ყველაფერი თავზე აქვს დამხობილი. კიდევ ვიმეორებ და მართლა მაინტერესებს: **როგორ არის ამერიკა ჩვენი უსაფრთხოების, დაცულობისა და განვითარების გარანტი, როცა ყველაფერი, რაც კეთდება, ამის საწინააღმდეგოა?**

**«აგვიხსნან, რა კავშირი აქვს ნარკომანიის ლეგალიზებას დემოკრატიასთან, და მეორეც, არსებობს რამე კვალიფიციური მეცნიერული კვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ რომელიმე ნარკოტიკი მავნებელი არ არის? ან რას ნიშნავს «ადამიანის პირადი ავტონომიით დაცული სფერო»?**

**— ეს ყველაფერი შეიძლება შეფასდეს ეკლესიის გახლეჩვის მცდელობად?**

— რა თქმა უნდა, ეკლესიაში არიან მოშურნე ძალები, რომლებსაც ეს სურთ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, პატრიარქი აკონტროლებს ყველაფერს. მეტი რა გითხრათ, მარჯვნივ და მარცხნივ დადგომა, დიდი ხანია, დაწყებულია და დრო გვიჩვენებს, ვინ საით წავა. **ისე, განხეთქილების შეტანა რომ უნდათ ეკლესიაში და ამის სერიოზული მცდელობებია, ფაქტია.**

**— მსგავსი მცდელობები თავის დროზე საბერძნეთშიც იყო, სერბეთშიც, უკრაინაში მოახერხეს კიდეც. საქართველოში რას უნდა ველოდოთ?**

— საქართველოში ეს გეგმა ნამდვილად ვერ განხორციელდება, იმიტომ, რომ ამას მყისიერი რეაგირება მოჰყვება ჯერ თვით პატრიარქის მხრიდან და მერე იმ სასულიერო პირებისგანაც, რომლებიც, მადლობა ღმერთს, სწორად აზროვნებენ. კიდევ ვიმეორებ: **ვიღაცებს უნდოდათ, „ციანიდის“ მეორე სერია დაეწყოთ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ზუსტად ასე მოეცარებათ ხელი სხვა მსგავსი მცდელობების შემთხვევაშიც.**

ახლა რატომ ვუსვამ ხაზს ამ ყველაფერს: **„ლიბერალები“, რომლებიც, ბოდიში და, ენაგადმოგდებული ლანძღავენ ეკლესიას, დღეს სოციალურ ქსელებში წერენ, რომ თურმე, როგორც იქნა, გარკვეული სასულიერო პირები გონს მოვიდნენ; თურმე ჩვენი ხსნა, ღმერთში კი არა, ამერიკაში ყოფილა.** აი, ასეთი მდაბიური ლოგიკით მსჯელობენ და ვფიქრობ, ეს ძალიან ბევრ რამესააშკარავებს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს. ალბათ, გაკეთდება განმარტებები და უფრო გასაგები იქნება ყველასთვის, ვინ რატომ ფიქრობს, რომ ამერიკა ჩვენი უსაფრთხოების გარანტია. ისე, მე ერთი რამ ვიცი: ღმერთი არ დაუშვებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაწირვას, ვინ და რა ძალაც უნდა ცდილობდეს მის გახლეჩვასა და დაქუცმაცებას, ვის ინტერესებშიც უნდა იყოს ეს ყველაფერი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**მითი იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველოში მოქმედებს რაღაც დამანგრეველი რუსული პროპაგანდა, რომელსაც ზურგს უმაგრებს რუსული „რბილი ძალა", ვერა და ვერ დამკვიდრდა, რადგან ეს სრული სისულელეა და ის, რასაც „რუსულ პროპაგანდად" ასაღებენ, სინამდვილეში რეალობაა, ანუ ამერიკის საელჩო საქართველოში და მის ფრთებქვეშ მყოფი ადგილობრივი მოღალატეები ცდილობენ, დაამარცხონ რეალობა. რეალობის დამარცხება კი, მოგეხსენებათ, შეუძლებელია. ამიტომაც, საკუთარი სიტუტუცე რომ არ აღიარონ, ამ რეალობას ხან „პროპაგანდას" არქმევენ და ხანაც — „რბილ ძალას".**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამყაროში ყველაფერი იცვლის ფორმასა და შინაარსს, მათ შორის, როგორც ჩანს, ინკვიზიციაც. სხვა რა შეიძლება ეწოდოს თანამედროვე „ევროპულ სასამართლოებს", რომლებიც უფრო და უფრო ირცხვენენ თავს და მართლაც ემსგავსებიან ცნობილი ინკვიზიტორის, ტომაზო ტორკვემადას, საქმის გამგრძელებლების თავყრილობას?**

# ევროპული ინკვიზიცია და «ენჯეოშნიკი» მამაოები



**სპეცსამსახურების პრაქტიკაში არსებობს ასეთი მეთოდი: საიდუმლო აგენტების აუცილებელი გამჟღავნება უკიდურესად საჭირო მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ მეთოდს მიმართეს, როგორც ჩანს, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა და საქართველოს საპატრიარქოს სინოდში ჩანერგილი 12 „მეუფე" სასწრაფოდ დაიბარეს ინსტრუქტაჟის ჩასატარებლად...**



გასულ კვირაში სტრასბურგმა ზარ-ზეიმით გვაცნობა, რომ თურმე ჩვენ, საქართველოს სახელმწიფო, ვჩაგრავთ „უცოდველ კრავს" — **ივანე მერაბიშვილს**, ხოლო დაახლოებით იმავე დღეებში ჰააგაში სამხედრო ტრიბუნალის მიმდინარეობისას საწამლავი — კალიუმის ციანიდი — დალია ხორვატმა გენერალმა **სლობოდან პრალიაკმა**, რომელსაც სასამართლო ბოსნიელი სერბი მუსლიმანების მასობრივ ჟლეტაში ადანაშაულებდა. ცალკე საკითხია კიდევ ის სერბი გენერლები, რომლებიც სამშობლოს ამერიკელი იანკების თავდასხმისგან გმირულად იცავდნენ. **როგორც „სამართლიანი ევროპა" გვაუწყებს, თურმე ეს სერბი გენერლები დასასჯელები არიან, ხოლო საქართველოში მოქმედი მანიაკების ბანდა „პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი" ყოფილა.**

არადა, სერბ გენერლებს არანაირად არ უმტკიცდებათ სამოქალაქო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული რაიმე დანაშაული — არც მათი მკვლელობა, არც ძარცვა-ყაჩაღობა და არც სხვა რამ. მიხეილ სააკაშვილი და მისი ბანდა კი, მოგეხსენებათ, სწორედ მშვიდობიან მოქალაქეებს არბევდნენ, აწამებდნენ და ხოცავდნენ.

რომელია ახლა უფრო დიდი დამნაშავე: ის, ვინც მშვიდობიან მოქალაქეებს აწამებს, თუ ის, ვინც აჯანყებულ შეიარაღებულ სეპარატისტებს ან თავის სამშობლოზე თავდამსხმელ უცხო ქვეყნის სამხედროებს ებრძვის? დასკვნა მკითხველმა გამოიტანოს.

თუმცა, **როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან ეშინიათ სწორედ იმის, რომ ხალხს უკვე მართლაც სწორი დასკვნები გამოაქვს. ამდენმა იმედგაცრუებამ, „სტრატეგიულ პარტნიორებზე" ბრმად მინდობამ და გამანადგურებელმა შედეგებმა საქართველოს მოქალაქეებს დაბინდული თვალები ნელ-ნელა აუხილა,** ხოლო თვალახელილი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ის ძალაა, რომლის დათრგუნვა, შეშინება თუ მოქრთამვა ყველაზე მეტად უჭირთ ხოლმე მოყვრულად შემოპარულ მტრებს. მაშ, რაღა რჩება უკანასკნელ საშუალებად, რომ როგორმე გონს მოსული მოსახლეობა ისევ ბნელში შეაბრუნონ და სისულელეებით გამოურეცხონ ტვინი? — ის ინსტიტუტი, რომელსაც ხალხი ყველაზე მეტად ენდობა და ყველაზე მეტად სწამს მისი — **ეკლესია!** აი, ამის გამოძახილი იყო „12 ქართველი მოციქულის" ხმობა ვაშინგტონში „პატრონებთან" და მათთვის სპეციალური დავალებების მიცემა. **სპეცსამსახურების პრაქტიკაში არსებობს ასეთი მეთოდი — საიდუმლო აგენტების აუცილებელი გამჟღავნება უკიდურესად საჭირო მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ მეთოდს მიმართეს, როგორც ჩანს, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა და საქართველოს საპატრიარქოს სინოდში ჩანერგილი 12 „მეუფე" სასწრაფოდ დაიბარეს ინსტრუქტაჟის ჩასატარებლად...**

მესმის, რომ მორწმუნე მართლმადიდებლების რაღაც ნაწილი, შესაძლოა, გავანაწყენო, როდესაც მეუფეებად წოდებულ პირებს ასე ხელაღებით ვდებ ბრალს უცხო ქვეყნის აგენტობაში, მაგრამ, ღმერთმა მომიტევოს და, მე ვერანაირად ვერ ვირწმუნებ მათ „სასულიერო პირობას"!

თქვენი არ ვიცი და, ჩემთვის **ამაზრენი და მიუღებელია, როდესაც ანაფორიანი ადამიანი ტელევიზორიდან კაი ჩემბერლენივით მელაპარაკება და საგარეო-პოლიტიკურ საკითხებს ისე მიმოიხილავს, გეგონება, რელიგიური შეკრებიდან კი არა, პოტსდამის კონფერენციიდან დაბრუნდა ახლახან. მით უფრო გულისამრევია, როდესაც მიტროპოლიტის წოდების მქონე „მეუფე ესა და ეს" (რა სახელიც გინდათ, ჩასვით) ერთი რიგითი „ენჯეოშნიკის" ფრაზებით „მოძღვრავს" მრევლს.**

**„ამერიკა ჩვენი ყველაზე ერთგული სტრატეგიული პარტნიორია. ამერიკას საქართველოსთვის არასოდეს უღალატია, ხოლო რუსეთმა წაგვართვა ტერიტორიები. რუსეთმა ქართველი ბიჭების სისხლი დაღვარა", — ასეთი განცხადებები გააკეთეს მასმედიის წარმომადგენლებთან ვაშინგტონიდან დაბრუნებულმა „მეუფეებმა". არადა, რომ გეკითხა, იქ ისინი რელიგიურ საკითხებზე მიმდინარე კონფერენციაზე დასასწრებად ჩავიდნენ.** ჩამოსულებმა კი ზუსტად იმავე „ნარატივების" ლაპარაკი დაიწყეს, რასაც, უკვე წლებია, საუბრობენ **თამარა კინწურაშვილი, თამარა ჩერგოლეიშვილი** და სხვა მსგავსი „ენჯეოშნიცა" დედაკაცები.

განსაკუთრებით ღიმილის მომგვრელი იყო (სიმწრის ღიმილის!) მეუფე იაკობის განცხადება, ჩვენ მოვუწოდეთ ჩვენს ყველაზე დიდ მეგობარს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა საქართველოში რუსული პროპაგანდის წინააღმდეგო. რა თქმა უნდა, ყველას გვეცნო ეს „ტრენდი", რომლის დამკვიდრებასაც ასეთი მონდომებით ცდილობენ, უკვე ბევრი წელია, საქართველოში მოქმედი მოღალატეთა და გამყიდველთა ჯგუფები, რომლებიც „არასამთავრობო სექტორის" საფარველით მოქმედებენ და რეალურად ძირს უთხრიან ქართულ სახელმწიფოს.

მითი იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველოში მოქმედებს რაღაც დამანგრეველი რუსული პროპაგანდა, რომელსაც ზურგს უმაგრებს რუსული „რბილი ძალა", ვერა და ვერ დამკვიდრდა, რადგან ეს სრული სისულელეა და ის, რასაც „რუსულ პროპაგანდად" ასაღებენ, სინამდვილეში რეალობაა. ანუ, **ამერიკის საელჩო საქართველოში და მის ფრთებქვეშ მყოფი ადგილობრივი მოღალატეები ცდილობენ, დაამარცხონ რეალობა! რეალობის დამარცხება კი, მოგეხსენებათ შეუძლებელია. ამიტომაც, საკუთარი სიტუტუცე რომ არ აღიარონ, ამ რეალობას ხან „პროპაგანდას" არქმევენ და ხანაც — „რბილ ძალას".**

აი, თუნდაც ზემოთ მოყვანილი პოლიტიკოს-მეუფეების ფრაზა, ამერიკას საქართველოსთვის არასოდეს უღალატია და ამერიკელებს ქართველთა სისხლი არასოდეს დაუღვრიათო. **განა ეს რეალობის წინააღმდეგ წასვლა და სრული სიდებილე არ არის? როდის უნდა ეღალატა ამერიკას საქართველოსთვის ან როდის და რა ვითარებაში უნდა დაეღვარა ქართველების სისხლი?!**

რომელი ცხრა ფუთი მარილი ამერიკელებთან ერთად გვაქვს ნაჭამი?! **ერთადერთი მეტ-ნაკლები შეხება ამერიკასა და საქართველოს შორის (ისიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში) მეორე მსოფლიო ომისა და მისი დამთავრების შემდგომ პერიოდში იყო და მაშინაც ამერიკამ ყველაზე აქტიურად შეგვიშალა ხელი თურქეთისგან ოკუპირებული ძირძველი ქართული ტერიტორიების დაბრუნებაში.**

რაც შეეხება იმას, რომ ამერიკელებს, რუსებისგან განსხვავებით, ქართველი ბიჭების სისხლი არ დაუღვრიათ, აქაც მინდა ვიკითხო: რატომ და რა ვითარებაში უნდა დაეღვარათ ამერიკელებს ქართველების სისხლი? აკი, უკვე 30 წელია, **რა პოზაშიც ამერიკის ელჩი გვიბრძანებს, ზუსტად იმ პოზაში ვდგებით და რა მოთხოვნაც ამერიკა-თურქეთს აქვს ჩვენ მიმართ, ყველაფერს დაუყოვნებლივ ვუსრულებთ. სადაც უნდათ, შეიარაღებული ძალები შემოჰყავთ ჩვენს ტერიტორიაზე; სადაც უნდათ, წვრთნებსა და სწავლებებს ატარებენ; სადაც უნდათ, ბაზას ხსნიან და, სადაც უნდათ, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს აყენებენ. ოდესმე რაიმე ტიპის წინააღმდეგობა გაგვიწევია მათთვის? არა, ხომ? აბა, რატომ უნდა დაეღვარათ ჩვენი სისხლი?**

უკაცრავად, მაგრამ ქალს, რომელიც თავისი ნებით „იძლევა", არავინ აუპატიურებს!

მოდი, თუ ასე ძალიან გაინტერსებთ, **ვცადოთ და ოდნავი უარი შევკადროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს მათი რომელიმე სტრატეგიული ინტერესის განხორციელებაზე საქართველოს ტერიტორიაზე. აი, მერე ნახავთ, რაც არის სისხლისღვრა, დაუნდობლობა, განადგურება და მიწასთან გასწორება.** ყოველივე ამის გაკვეთილი უკვე ჩაატარა ამერიკამ, ერაყსა და ახლო აღმოსავლეთს რომ თავი დავანებოთ, აგერ, შუაგულ ევროპაში, კერძოდ კი, სერბეთში.

ასე რომ, ასეთი **ძალიან ცნობილი „ენჯეოშნიკური" ნარატივების გავრცელება საქართველოს საპატრიარქოს მაღალი იერარქიის სასულიერო პირებისგან მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებს — ამერიკის საელჩო და ამერიკის ელჩი, რომელიც აქამდე საქართველოში მხოლოდ „მეფისნაცვლის" ფუნქციებს ითავსებდა, ახლა უკვე „ეგზარქოსობასაც" ცდილობს და ქართველებს არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიერო მოძღვრადაც გვევლინება.**

სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკის ელჩი (არ ვამბობ იან კელი-მეთქი, რადგან დღეს კელია და ხვალ სხვა იქნება, ზეგ სხვა — სახელსა და გვარს მნიშვნელობა არ აქვს), თუ აქამდე მხოლოდ პრეზიდენტის, პრემიერმინისტრისა თუ პარლამენტის თავმჯდომარის ფუნქციებში იჭრებოდა უხეშად და ყველა ქართველი მაღალჩინოსანი მის ჭკუაზე დადიოდა, ამჯერად ამერიკამ გადაწყვიტა, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქიც სწორედ ამერიკის საელჩომ დაგვინიშნოს და საქართველოს პატრიარქმა ამერიკის საელჩოსთან შეათანხმოს ხოლმე, როდის ჩაატარებს წირვას და როდის გადაიხდის პარაკლისს.

ვნახოთ, შეძლებენ თუ ვერა უკვე გაშიფრული ქართველი „ენჯეოშნიკი" მამაოები საქართველოს საპატრიარქოში საკუთარი გავლენის საბოლოოდ გატარებას და ქართველი მართლმადიდებელი მრევლის თავის ჭკუაზე გადაყვანას. აკი, ენ-დი-აისა და აი-რაის ყველა კვლევაში მუდამ განსაკუთრებული შეშფოთებით აღინიშნებოდა, რომ საქართველო არის ქვეყანა, სადაც ყველაზე და ყველაფერზე დიდი გავლენა სწორედ საპატრიარქოსა და პირადად კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს აქვს. როგორც ჩანს, იმის დანახვამ, რომ ილია მეორემ მოსაყდრედ **მეუფე შიო** დაასახელა და ამერიკას უკვე ხელიდან გამოეცალა შანსი, რომ საქართველოს საპატრიარქოც თავისი საელჩოს ფილიალად ექცია, ამერიკის სპეცსამსახურები აიძულა, უკანასკნელი იმედის ნაბიჯი გადაედგა, და თავისი აგენტურა საქართველოს საპატრიარქოში სასწრაფოდ გაშიფრეს.

ბანალურია, მაგრამ მაინც ამ მრავალჯერ ნათქვამი და გაგონილი ფრაზით უნდა დავასრულოთ — **ახლა უკვე ყველაფერი ქართველი ხალხის, საქართველოს რიგითი მოქალაქეების კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.**

## ავი მუსაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თითქმის 900 წლის წინათ საქართველოს სულიერი და ხორციელი აღორძინება სწორედ ჭყონდიდის ეპარქიიდან დაიწყო, სადაც მეგრელმა კაცმა, დიდმა გიორგი ჭყონდიდელმა აღზარდა საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ხელმწიფე — დავით IV აღმაშენებელი და ახლა ისეთი პირი უჩანს, 9 საუკუნის შემდეგ ისევ ჭყონდიდიდან იწყება საქართველოს დედაეკლესიის (წაიკითხე, იგივე საქართველოსი) ერთიანი სხეულის რღვევა.**

# მკვდარი მკვდარს აეკიდაო — ლუსტრაცია პარლამენტსა და სინოდში

**„საინტერესო დროში გეცხოვროს“ — ჩინური წყევლაა, თუმცა დღემდე სრულად არ მესმოდა, რა კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო „საინტერსო დროსა“ და წყევლას შორის, მაგრამ ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა, ფაქტებმა „ჩინური რებუსიც“ ამომახსნევინა.**

თავად განსაჯეთ: ციანიდის სკანდალი; ისლამისტი ტერორისტების უცნაური აყვანალიკვიდაცია; 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ერისა თუ ბერისთვის მოულოდნელად, ქაშუეთის ტაძრის ამბიონიდან ჩვენი **უწმინდესი პატრიარქის** მიერ თავის მოსაყდრედ ჩხოროწყუ-სენაკის მიტროპოლიტის, **მეუფე შიოს** დადგინება და ამ უმნიშვნელოვანესი აქტის წმინდა გიორგის ნებად გაცხადება, რითაც ქართველი ერის სულიერმა მამამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მტერ-მოყვარეს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი არა მხოლოდ უწმინდესი და უნეტარესია, არამედ უჭკვიანესი ბრძენკაციც და, რომ წმინდა სინოდში ჩაბუდებული „მეუფე ყანდურების“ მიერ ფარულად თუ აშკარად გავრცელებული ხმები ჩვენი პატრიარქის ქმედუუნარობის შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, სინამდვილეს არ შეეფერება; ლიბერალობაში ეჭვმიტანილი 12 „მეუფე ყანდურის“ მოულოდნელი(?) ვიზიტი ვაშინგტონში და იქიდან მათ მიერ გაკეთებული კიდევ უფრო მოულოდნელი განცხადებები; აქ დარჩენილი „პატარა ყანდურიკოს“, ჭყონდიდის ეპარქიის ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვრის — **მამა ანდრიას** (ბობოლა „ყანდურის“ — **მეუფე პეტრეს** მარჯვენა ხელის) მიერ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, არც მეტი, არც ნაკლები, კერპად გამოცხადება; უკრაინის პრემიერმინისტრ **ვლადიმერ გროისმანისა** და მისი ქართველი კოლეგის — **გიორგი კვირიკაშვილის,** რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელი რანდევუ თბილისში და ა.შ. ალბათ, კიდევ შეიძლება მაგალითების მოყვანა, რომ მართლაც ჩინურად ვართ დაწყევლილები — „საინტერესო დროში“ ვცხოვრობთ.

არ ვიცი, ქრონოლოგიურად ზუსტია თუ არა ზემორე ჩამონათვალი და ამიტომ, ბოლოდან თუ დავიწყებთ „საინტერესო ამბების“ სამყაროში მოგზაურობას, ვფიქრობ, არაფერი დაშავდება.

ღიმილი მომგვარა კი არა, ხარხარი ამიტყდა, როდესაც გროისმან-კვირიკაშვილის რანდევუს ამსახველ კადრებს ვუყურებდი — ორივე პრემიერმა ჯერ ერთმანეთის (საქართველო-უკრაინის) ტერიტორიულ მთლიანობას დაუჭირა მხარი, შემდეგ ორივემ გადაუხადა ერთმანეთს მადლობა საერთაშორისო სარბიელზე თანმიმდევრულ-პრინციპული თანადგომისთვის და ასევე ორივემ დადო პირობა, რომ საერთო მტრის, რუსეთის, ოკუპაციის წინააღმდეგ ნატოსთან (წაიკითხე აშშ) და ევროსტრუქტურებთან მჭიდრო კავშირში იმოქმედებენ. მართლაც, ზედგამოჭრილია ამ შემთხვევისთვის ქართული ანდაზა: **„მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმიყვანეო“,** რადგან იმ ობიექტურ-სუბიექტური მოცემულობიდან გამომდინარე, რომ სოხუმ-ცხინვალისა თუ ლუგანსკ-დონეცკის გასაღებები ჯერ კიდევ კრემლში დევს, სრული უაზრობა, პოლიტიკური შიზოფრენიაა ამ მიმართულებით დასავლეთის იმედად ყოფნა. დიახ, „ჯერ კიდევ“, რადგან ყირიმის გასაღები ისე შორს მოისროლა **ვლადიმერ პუტინმა,** რომ ველარ პოულობს და, სანამ სხვა გასაღებებიც არ „დაუკარგავს“ რუსეთს, ერთი უხერხული ადგილის გასაღებდაკარგულ უკრაინასა და საქართველოს დროზე მართებთ საგარეო პოლიტიკის ვექტორის, მთლიანად შეცვლა თუ არა, კორექტირება მაინც...

რაც შეეხება „საინტერესო ამბების სამყაროდან“ ჩამოთვლილ სხვა რამე-რუმეს, ყოველივე ქართულის მოძულისა და მართლმადიდებლობის მტრის, შესაბამისად, ლგბტ თუ სატანისტური სექტების მოტრფიალე **ნინო ლომჯარიას** სახალხო დამცველად დანიშვნით, საქართველოს პარლამენტმა თვითლუსტრაცია მოახდინა, რომ „ქართული ოცნების“ ე.წ. საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა ბუდარიხა **ლომჯარიასავით** ბუდარა-ბუდარიხა ხლისტია.

გახსოვთ, ალბათ, როცა წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატებს რომელიღაც ტელევიზიამ ტელეკამერების წინ ლგბტ-თა დროშის ხელში დაჭერა შესთავაზა, „ქართული ოცნების“ დეპუტატების უმრავლესობამ კატეგორიული უარი განაცხადა („მშობლიური ბაირაღი“ მხოლოდ რესპუბლიკელმა ძმებმა **ბერძენიშვილებმა** და მათმა დამ, **თამარ კორძაიამ,** ააფრიალეს დიდი სიამოვნებით). **ანალოგიური „პერფორმანსი“ ახლაც რომ გაიმართოს პარლამენტში, უარს იტყვის კი არა, ალბათ, ერთმანეთს შეეჯიბრება „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის უმრავლესობა, — ვინ უფრო სწრაფად, ვინ უფრო მაღლა ააფრიალებს სატანის მოციქულთა ბაირაღს, და ნაცები ხომ თავისთავად.** ამას დავუმატოთ ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ, მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაცია მოახდინა, შემდეგ 2013 წლის 17 მაისს არშემდარი გეიაღლუმის მონაწილე პედერასტები დაზარალებულად ცნო და შსს-ს მათთვის ფულადი კომპენსაციის გადახდა დააკისრა. სასამართლო დავაში გამარჯვებულმა ლგბტ-ებმა იქვე იმედი გამოთქვეს, რომ მომავალ 17 მაისს შსს უზრუნველყოფს რუსთაველის გამზირზე გეიაღლუმის უსაფრთხოდ ჩატარებას და ხომ წარმოგიდგენიათ, ხალხო, უკაცრავად და, რა ნეხვშიც ვზივართ ქართველი საზოგადოება?



გიორგობის დღესასწაულზე კათოლიკოს-პატრიარქის დემარშის (თუ ასე თქმა შეიძლება) შემდეგ „ყანდურთუხუცესმა“ მეუფე პეტრემ განაცხადა, რომ ილია მეორის გადაწყვეტილება კიდევ ერთი ლუსტრაციის დასაბამი იქნებოდა ამჯერად დედაეკლესიის წიაღში, თუმცა არ დაუკონკრეტებია, ვისი ან რისი ლუსტრაცია ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ... ლუსტრაციაა, აბა, რა, როდესაც პატრიარქის მიერ მოსაყდრედ მეუფე შიოს დამტკიცების შემდეგ, პრაქტიკულად მეორე დღესვე, ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა წმინდა სინოდის წევრთა 12-კაციანი დელეგაცია, რომელიც, თუ არ ჩავთვლით მეუფე იაკობს, ძირითადად, გაცხადებული თუ შენიღბული მეუფე ყანდურებით იყო დაკომპლექტებული. სწორედაც „თუ არ ჩავთვლით“, რადგან **მეუფე იაკობმა** გაგვაკვირვა განცხადებებით ოკუპანტი რუსეთისა და, შესაბამისად, ჩვენს ერთადერთ დამცველ და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტ ნატო-აშშ-ის შესახებ; რომ პოტომაკის ნაპირებიდან ბევრ რამეს სხვა თვალით შეხედა თურმე და ა.შ.

**ზოგმა კომენტატორმა ამ ვოიაჟს უკვე უწოდა პატრიარქზე განაწყენებულთა დემარში, რასაც, ძნელია, არ დაეთანხმო. თუმცა, არც უფრო მკვეთრ შეფასებებს მორიდებიან, ოკეანისგაღმელი პატრონებისთვის ანგარიშის ჩაბარებით დაწყებული, 30 ვერცხლის ეკვივალენტი დოლარის მიღების მსურველთა რიგში ჩადგომით დამთავრებული.** ხოლო კაპიტოლიუმში, ამ უკეთურთა ტაძარში, ქართველი მეუფე ყანდურების გალობას რა ჰქვია, ამის „ნათლობა“ მკითხველისთვის მიგვინდვია.

ამასობაში, არც საქართველოში დარჩენილი ყანდურები თუ ყანდურიკოები იყვნენ უსაქმოდ. როგორც ზემოთ ითქვა, ჭყონდიდის ეპარქიის ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვარმა, მამა ანდრია „ყანდურიკომ“ და ეპარქიის მმართველი მეუფე (ყანდური) პეტრეს მარჯვენა ხელმა უაპელაციოდ განაცხადა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ქრისტეს ხატება (ყურადღებით, ვციტირებ) **„პატრიარქის ხატებამ ჩაანაცვლა“**-ო... რა არის ეს თუ არა პატრიარქის კერპად გამოცხადება, გაუგონარი თავხედობა და მკრეხელობა, რის გამოც ეპტიმია კი არ უნდა დაედოს, ქართული ეკლესიიდან უნდა განიკვეთოს მამა ანდრია და ქართველმა ერმაც უნდა მოიკვეთოს ეს ანტიმართლმადიდებელი. ესეც არ იკმარა ამ ხლისტმა და სასულიერო პირებს დაუწუნა 2013 წლის 17 მაისს ქართველი ერის გვერდით დგომა, — მღვდლების საქმე არ არის ქუჩაო და იქვე დასძინა, იმ ავადსახსენებელი 17 მაისის სცენარი ერთი ქალბატონის კაბინეტში დაიწერაო(?!).

„ერთ ქალბატონში“ **შორენა თეთრუაშვილი** რომ იგულისხმება ჭყონდიდის ეპარქიაში, ყველასთვის ცნობილია და, თუ მსგავს სცენარებს წერდა „ერთი ქალბატონი“, მაშინ გაუმარჯოს შორენა თეთრუაშვილს, რადგან 17 მაისი მოდის და მსგავსი სცენარი იქნებ კიდევ დაგვიწეროს!

ისტორიას უყვარს პარადოქსები — თითქმის 900 წლის წინათ საქართველოს სულიერი და ხორციელი აღორძინება სწორედ ჭყონდიდის ეპარქიიდან დაიწყო, სადაც მეგრელმა კაცმა, დიდმა **გიორგი ჭყონდიდელმა** აღზარდა საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ხელმწიფე — დავით IV აღმაშენებელი და ახლა ისეთი პირი უჩანს, 9 საუკუნის შემდეგ ისევ ჭყონდიდიდან იწყება საქართველოს დედაეკლესიის (წაიკითხე იგივე საქართველოსი) ერთიანი სხეულის რღვევა.

არა მგონია, უფალმა ეს დაუშვას და ამ „არა მგონიას“ საფუძველი პატრიარქის მოსაყდრედ ღირსი მამის, მეუფე შიოს დადგენის წმინდა გიორგის ხსენების დღეს გამოცხადება მგონია.

საფუძველი და არა გარანტია, რადგან, როგორც ცნობილია, წმინდა სინოდი არ უჩივის მეუფე ყანდურთა ნაკლებობას და, იმის მიუხედავად, როდის დადგება ახალი პატრიარქის არჩევის საკითხი — პატრიარქის სიცოცხლეში (ღმერთმა დიდი დღენი მისცეს) თუ ამა სოფლიდან მისი გასვლის შემდეგ, ერი და ბერი ფეხზე უნდა დადგეს, რათა პატრიარქის სურვილი, მეუფე შიოს სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო ტახტზე ასვლისა, რეალობად იქცეს და პოტენციურ „რასკოლნიკებს“ არ მიეცეთ საქართველოსა და მისი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ნგრევის საშუალება. მით უმეტეს არ გვაქვს მოდუნება-არხეინობის უფლება ქართველ საზოგადოებას, რადგან, სულ ცოტა, აშშ-დან მტკიცე ფინანსურ-პოლიტიკური მხარდაჭერის გარანტიები ჩამოიტანეს ქართველმა მეუფე ყანდურებმა.

**დავით მხეიძე**

**ყოველივე ქართულის მოძულისა და მართლმადიდებლობის მტრის, შესაბამისად, ლგბტ თუ სატანისტური სექტების მოტრფიალე ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველად დანიშვნით საქართველოს პარლამენტმა თვითლუსტრაცია მოახდინა, რომ «ქართული ოცნების» ე.წ. საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა ბუდარიხა ლომჯარიასავით ბუდარა-ბუდარიხა ხლისტია**

**წმინდა სინოდი არ უჩივის მეუფე ყანდურთა ნაკლებობას და, იმის მიუხედავად, როდის დადგება ახალი პატრიარქის არჩევის საკითხი — პატრიარქის სიცოცხლეში (ღმერთმა დიდი დღენი მისცეს) თუ ამა სოფლიდან მისი გასვლის შემდეგ ერი და ბერი ფეხზე უნდა დადგეს, რათა პატრიარქის სურვილი, მეუფე შიოს სრულიად საქართველოს საკათალიკოსო ტახტზე ასვლისა, რეალობად იქცეს და პოტენციურ «რასკოლნიკებს» არ მიეცეთ საქართველოსა და მისი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ნგრევის საშუალება**

„ეს არის უსუსური, სრულიად უპასუხისმგებლო და უუნარო ხელისუფლება. ის უბრალოდ, ასრულებს დასავლეთის მითითებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, მიმართულია ჩვენი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ავთანდილ უნგიაძე:

# საიას სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეებს «ბოზებში სიარულის», ათაშანგის რაობის, ადრეული ორსულობისა და აბორტის ანბანში გაარკვევს

**„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თავმჯდომარე ავთანდილ უნგიაძემ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ ღია წერილით მიმართა და მოუწოდა, რომ შეწყვიტოს სკოლებში ისეთი წიგნებისა თუ „საინფორმაციო ბუკლეტების“ გავრცელება, რომლებიც მოზარდების ცნობიერებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. ავთანდილ უნგიაძის თქმით, აღნიშნული ორგანიზაცია, სხვა მსგავს „არასამთავრობო ორგანიზაციებთან“ ერთად, უკვე დიდი ხანია, საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევა და ამისთვის კონკრეტულ საშუალებებს, მათ შორის გარკვეული შინაარსის ლიტერატურასაც იყენებს. უცხოეთიდან დაფინანსებულმა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ მცირე ხნის წინათ გამოსცა წიგნი „სამართლის ქალაქი“, რომელიც თბილისის რამდენიმე სკოლაში მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდათ.**
**ამ წიგნში საუბარია თემებზე: „დაუცველი სექსი“, „მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში სიარული“, „აბორტი“, „ადრეული ორსულობა“, „ნარკოტიკები“, „აზარტული თამაშები“ და სხვ.**
**რა მიზანს ემსახურება სკოლებში კონკრეტული წიგნებისა და ბუკლეტების დარიგება, რომლებიც თითქოს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენაა მიმართული, რა საფრთხეებს შეიცავს ქვეყნისთვის ეს ქმედება და რა შეიძლება საზოგადოებამ ამას დაუპირისპიროს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თავმჯდომარე ავთანდილ უნგიაძე ესაუბრება.**

## მიაქციეთ ყურადღება, რას ასწავლიან თქვენს შვილებს

**— ბატონო ავთანდილ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა, ალბათ, არც იცის, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული „არასამთავრობო ორგანიზაციები“ აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევიან სკოლებში და გარკვეულ ლიტერატურას არიგებენ. რა ლიტერატურას ავრცელებს, რა წიგნები დაარიგა სკოლებში „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“?**

— ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ საიამ შეიტანა სკოლაში წიგნი და სწორედ ამ მიზნით გამოუშვა, მაგრამ შემტანები მოიძებნებიან. ეს წიგნი თბილისის სკოლაში დაურიგეს მოსწავლეებს განურჩევლად ასაკისა და ის ჩვენთან 10 წლის მოსწავლის ხელიდან მოხვდა. ეს არ არის სახელმძღვანელო, ეს არის ერთგვარი კლასგარეშე საკითხავი წიგნი და მასში თავმოყრილია საკითხები, რომლებზეც, მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება მოზარდებს ესაუბრო. ეს თემებია: აბორტი, ნაადრევი ქორწინება, დაუგეგმავი ორსულობა, დაუცველი სექსი, ნარკომანია და ა.შ.

ახლა, კონკრეტულად, როგორ და რა ფორმითაა ეს ყველაფერი მიწოდებული. მაგალითად, არის ასეთი კაზუსი: **„მიშიკო, რომელსაც არ აქვს სექსუალური გამოცდილება, უფროსმა მეგობრებმა წაიყვანეს მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან. მიშიკომ ქალთან დაამყარა სექსუალური კონტაქტი, რის შედეგადაც შეეყარა სიფილისი და გონორეა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქალმა იცოდა, რომ ის ამ ინფექციების მქონე იყო. დაისჯება თუ არა ის სისხლის სამართლებრივი წესით?“** ამას მოსდევს შესაბამისი იურიდიული განმარტება, რომ ქალის ქმედება მართლსაწინააღმდეგოა და ის ამ ქმედებისთვის დაისჯება.

შემდეგი კაზუსი: **„16 წლის ნინოს მობეზრდა საოჯახო საქმეების კეთება. მას არ მოსწონს, როცა დედა ეუბნება: „ნაგავი გადაყარე“, „ოთახი დაალაგე“, „ჭურჭელი გარეცხე“ და ა.შ., თუმცა პროტესტის მიუხედავად, დედა დაჟინებით იმეორებს, რომ იგი ვალდებულია, გააკეთოს საოჯახო საქმეები“. განმარტება: „როგორც წესი, შვილები მშობლებს ზომიერების ფარგლებში საოჯახო საქმეებში ეხმარებიან, თუმცა ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას მთავარი მაინც ბავშვის უფლებები და ინტერესებია“.**

რაც შეეხება სხვა თემებს, როგორც გითხარით, წიგნში ერთ-ერთი თავია „აბორტი“ და მასში საუბარია, რა უნდა გააკეთოს გოგომ შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტის შედეგად დაორსულების შემთხვევაში. კაზუსი: **„ლიკას შეყვარებულთან დაუგეგმავი სქესობრივი კონტაქტი ჰქონდა, რის შედეგადაც დაორსულდა. პირველი ორი თვე იგი ვერ მიხვდა, რომ ორსულად იყო, თუმცა შემდგომ ნელ-ნელა დაეტყო მუცელი. იგი დაიბნა და არ იცის, რა გააკეთოს. მშობლებმა რომ გაუგონ, ალბათ, მოკლავენ. შეყვარებული ეუბნება, რომ მუცელი მოიშალოს, მან კი არ იცის, რა უნდა ქნას“.** ამას ერთვის განმარტება, რომ აბორტზე უამრავი სამედიცინო, რელიგიური თუ სამართლებრივი არგუმენტაცია არსებობს, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, გოგონამ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

წიგნში ასევე დეტალურადაა საუბარი ყველა სახის ნარკოტიკზე, რომელს რა ზემოქმედება ახასიათებს, რას შეიცავს, რას აზიანებს, რას — არა და ა.შ. ანუ საქმე გვაქვს რასთან: ბავშვს ჯერ გაასინჯებენ ხილს და მერე ეუბნებიან, რომ ეს ხილი არის ცუდი. **გახსოვთ ხომ ქართული ანდაზა, აკრძალური ხილი გემრიელიაო. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: მიზანშეწონილია, სკოლის მოსწავლეს, 12, 13, 14 წლის მოზარდს ან თუნდაც ცოტა უფროსს ასეთ თემებზე ვესაუბროთ?** მსოფლიოს წამყვანი ფსიქიატრები, თანხმდებიან, რომ ფსიქიკურად და ფიზიოლოგიურად ჩამოუყალიბებელ მოზარდთან არ შეიძლება გარკვეულ თემებზე საუბარი. აქ ლაპარაკია ისეთ რამეზე, რაც მას აღუძრავს შეცნობის წადილს, რაც მას უბიძგებს სწორედ ამ ქცევის, ქმედების განხორციელებისკენ. აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ეს არის საფრთხის შემცველი წიგნი და მსგავსი ლიტერატურის შეტანა საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ უნდა ხდებოდეს. **ამან შეიძლება მოზარდს გაუღვივოს ინტერესი ნარკოტიკების მიმართ, შეიძლება უბიძგოს მას ნაადრევი სექსუალური ცხოვრებისკენ და საბოლოოდ დაანგრიოს მისი ფსიქიკა. არსებობს კვლევები, რომლებიც ამას ადასტურებს...**

**— ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება თუ შესაძლოა, იმ წიგნის ავტორებმა და გამავრცელებლებმა არ იციან, რა საფრთხეს შეიძლება ქმნიდეს მსგავსი ლიტერატურა?**

— ცხადია, ისინი არ ამბობენ, რომ ამ ყველაფერს მიზანმიმართულად აკეთებენ, მაგრამ ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. რატომ? იმიტომ, რომ **ვიცით მათი იდეოლოგია და ვიცით, რა მიზანს ემსახურებიან, თუმცა ეს მხოლოდ მათი ამოცანა არ არის, იმავეს აკეთებს ხელისუფლებაც. იცით, ალბათ, რა ხდება ქართულ ბაგა-ბაღებში — გარჩევა აღარ არის გოგოსა და ბიჭის.** მეტსაც გეტყვით, ტრენინგები ჩაუტარეს პედაგოგებს და პირდაპირ უთხრეს, რომ ბიჭს არ უნდა დაუძახონ ბიჭი, გოგოს — გოგო, ანუ გენდერულად მაიდენტიფიცირებელი მიმართვა არ უნდა გამოიყენონ. ახლა ვიღაცას შეიძლება დაუჯერებლად მოეჩვენოს ეს, მაგრამ ფაქტია. ვიცი რამდენიმე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომლებშიც ასეთი რამ ხდება. ასე რომ, მივმართავ მშობლებს: **მიაქციეთ ყურადღება, რას ასწავლიან თქვენს შვილებს. მიაქციეთ ყურადღება, რა იდეოლოგიით წამლავენ ბავშვს, თორემ ამან შეიძლება სერიოზულად დააზიანოს მოზარდის ფსიქიკა და ერთ დღესაც მშობელი მიხვდება, რომ შვილი, ფაქტობრივად, წაართვეს.** ასეთი სწავლებისა და წიგნების მიზანი ისიც არის, რომ შვილი დაუპირისპირონ მშობლებს, შეირყეს და დაინგრეს ოჯახი. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ დღეს ვკარგავთ მომავალ თაობას და, თუ ეს არ გვინდა, ყველამ ერთად უნდა ვიმოქმედოთ. **უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას, რომ შეწყდეს სკოლებში ასეთი სწავლება და შეეშვან „ლიბერალები“ ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ძალადობას. ისინი ძალადობენ ღმრთის მცნებებზე, ზნეობაზე, ეროვნულ ფასეულობებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, რაც მოხდა ევროპაში, აქ მოხდება გაცილებით სწრაფად, უფრო მარტივად და მძაფრად — დაინგრევა ოჯახი, მოირყევა სახელმწიფო, გვექნება დემოგრაფიული კატასტროფა...**

**— ხელისუფლებაში თუ ხედავთ თუნდაც ისეთ სუბიექტებს, რომლებიც შინაგანად არ ეთანხმებიან ამ ყველაფერს?**

— დიახ, ვიცი, რომ არიან ასეთი ადამიანები მმართველ გუნდში, მაგრამ ისინი არათუ ამინდს ვერ ქმნიან, საერთოდ, ვერც კი ბედავენ თავიანთი პოზიციის, მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვას. მთლიანობაში **ეს არის უსუსური, სრულიად უპასუხისმგებლო და უუნარო ხელისუფლება. ის უბრალოდ, ასრულებს დასავლეთის მითითებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, მიმართულია ჩვენი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. მისთვის სულერთია, რა მითითებები და დირექტივები იქნება, მთავარია, ეს დირექტივები ისე შეასრულოს, რომ მის ძალაუფლებას საფრთხე არ დაემუქროს და გარანტირებული ჰქონდეს ხელისუფლებაში ყოფნა.** იმას ვერ ხვდებიან ეს საცოდავები, რომ ხელისუფლებაც გვერდზე დარჩებათ, სამშობლოც, ზოგიერთს კი — მილიარდები. ღმერთთან თამაში უგუნურთა ხვედრია...

**— თქვით, რომ საქართველოს ხელისუფლება დასავლეთის მითითებებს ასრულებს. ალბათ, უპირველესად, შეერთებულ შტატებს გულისხმობთ...**

— დიახ. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ რეალურად საქართველოს შეერთებული შტატები და პირადად მისი ელჩი მართავს. ყველაფერი, რაც ხდება — ლგბტ-ების წახალისება, სოდომიის ნორმად გამოცხადება და სხვ., მისი დირექტივებია...

**— რას ფიქრობთ შეერთებულ შტატებში ამას წინათ ქართველი სასულიერო პირების დელეგაციის ჩასვლაზე და იმ განცხადებებზე, რომლებიც ამ სტუმრობის ფარგლებში გაკეთდა, რომ ამერიკა ჩვენი ნომერი პირველი პარტნიორია, რომ ის არის ჩვენი უსაფრთხოების, წინსვლის, წარმატებისა და განვითარების მთავარი გარანტი?**

— სიმართლე გითხრათ, რატომ გააკეთეს ეს განცხადებები, ძალიან მიკვირს. ეს ისეთი კომპრომისია, რომელიც შეუმჩნევლად არ ჩაივლის. აკი აღშფოთებულია საზოგადოება. შემიძლია გითხრათ, რომ **ეს არის კომპრომისი ერისა და ეკლესიის ინტერესების საზიანოდ.** სხვა რა ვთქვა. რომელ მეგობრობაზეა საუბარი, **ამერიკელების დაფინანსებული ორგანიზაციები, იგივე „თავისუფლების ინსტიტუტი“, იგივე „სოროსის ფონდი“ იგივე „საია“ და სხვები არ არიან, ეკლესიას რომ ებრძვიან?! მათი მხარდაჭერითა და ხელშეწყობით არ გაუთანაბრეს მართლმადიდებლობას სხვა რელიგიური კონფესიები?! მათი დირექტივით არ მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი?!** ჩვენი პატრიარქის ლიკვიდაციის გეგმაზეც კი საუბრობდნენ ნაცხელისუფლების დასაწყისში. რომელი ერთი ჩამოვთვალო? 2008 წლის ომში რით დაგვეხმარენ? — შეშფოთდნენ და წყლით დატვირთული კონტეინერების მეტი ვერაფერი გაიმეტეს... რომელ მეგობრობასა და პარტნიორობაზე საუბრობენ?!

**— ერთ-ერთმა სასულიერო პირმა განაცხადა, რომ ამერიკას არასოდეს უღალატია ჩვენთვის.**

— უღალატია კი არა, ამერიკა მტერია. აბა, ნახეთ მათი ანგარიშები, რას წერენ; **შეშფოთებული არიან, რომ ეკლესიასა და მის უწმინდესობას მაღალი რეიტინგი აქვს.** ან 2008 წლის აგვისტოს ომი ავიღოთ: ვინ წააქეზა იმდროინდელი ხელისუფლება იმ ავანტიურის მოსაწყობად, რომელსაც ასობით ქართველი ახალგაზრდა მეომარი ემსხვერპლა? განა ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა არ შეაგულიანეს სააკაშვილი? ძალიან მიკვირს, რატომ გაკეთდა ასეთი განცხადებები. იმ მღვდელმთავრებს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც ჩვენ პატივს ვცემდით და ვიცით, რომ ისინი უწინ ასე არ ფიქრობდნენ. მეტი რა გითხრათ, ეს აშკარად კონფორმისტული განცხადებაა. რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი?! **ამერიკას, საერთოდ, არ ჰყავს მეგობრები, მას ჰყავს ვასალები, ჩვენ კი ვასალებიც არ ვართ, ჩვენ ვართ ვასალის ვასალი...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ რეალურად საქართველოს შეერთებული შტატები და პირადად მისი ელჩი მართავს. ყველაფერი, რაც ხდება — ლგბტ-ების წახალისება, სოდომიის ნორმად გამოცხადება და სხვ., მისი დირექტივებია...»**

**«ტრენინგები ჩაუტარეს პედაგოგებს და პირდაპირ უთხრეს, რომ ბიჭს არ უნდა დაუძახონ ბიჭი, გოგოს — გოგო»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1932 წლის შემოდგომისთვის მსოფლიოს ქვეყნების კომპარტიებში, საბჭოთა კავშირის გამოკლებით, ითვლებოდა 910 000 ადამიანი, ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში 3 100 000 პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი იყო, ესე იგი, სულ 4 მილიონზე მეტი ადამიანი. საზღვარგარეთის ქვეყნებში კომპარტიების წევრთა რაოდენობა შეადგენდა მსოფლიოს კომუნისტთა რაოდენობის ერთ მეოთხედზე ნაკლებს.**

# სტალინი და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა

**გლობალისტების მიერ ჩაფიქრებულ მსოფლიო რევოლუციას, რომლის ხანძრის პირველი კვრა რუსეთში გაჩნდა და, რომლის გალვივებასაც უამრავი „რუსული ფიჩხი“ (ტროცკის გამოთქმა) დასჭირდა, ბოლოს და ბოლოს, ლოკალიზებული იქნა და ხანძრის შედეგების ლიკვიდაციის გრანდიოზული გეგმაც ერთი კაცის განსახორციელებელი შეიქნა.**


სტალინი და კომინტერნელები

**სტალინმა** იარაღით ხელში დაიცვა რევოლუციის მონაპოვარი და მისი ნაყოფი რუს ხალხს მოახმარა. გლობალისტური იმპერია არ დაკმაყოფილდა რუსეთში მოწყობილი რევოლუციით და ოფიციალურად გახსნილი და გამოცხადებული მეორე ინტერნაციონალი, ლენინისა და ტროცკის ინიციატივით, 1919 წლის მარტში კომინტერნით შეიცვალა.

**ლენინის** სიტყვა რუსი ბოლშევიკებისთვის იყო ფიცის ტექსტი, რომელზეც ლოცულობდა რუსულენოვანი დედამიწის ერთი მეექვსედი. მსოფლიო რევოლუციის მეხანძრეებს, **ტროცკის** მეთაურობით, მსოფლიოში ჰყავდათ 910 000 ადამიანი, რომლებიც მსოფლიოს გასაერთიანებლად იბრძოდნენ. კომუნისტური ინტერნაციონალი (კომინტერნი), რომლის შტაბი დაფუძნებული იყო მოსკოვში და, რომლის ძირითადი დონორი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იყო, კარგად ფინანსდებოდა ცენტრალური კომიტეტის გასაიდუმლოებული ფონდებიდან.

კომინტერნის განკარგულებაში იყო 4 500 000 ბაჯაღლო ოქროს მანეთი, 3 400 000 ოქროს მანეთი. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კომინტერნისთვის გამოყოფილი იყო ორ-ნახევარი მილიონი მანეთი. კომინტერნის ძირითად ბირთვს შეადგენდა 500 კაცი, რომლებსაც ემატებოდა 300 ტექნიკური თანამშრომელი. სწორედ ეს 800 ადამიანი მართავდა წლების განმავლობაში გლობალისტურ მანქანას, ტროცკის მეთაურობით.

სტალინს არ შეეძლო გაეტეხა ფიცი, რომელიც მან ლენინის კუბოსთან დადო (არავინ იცის, ვინ დაავალა მას ფიცის დადება. — გრ. ონიანი) და კომინტერნსაც თვალისჩინივით „უვლიდა“, სანამ ამის საშუალება ჰქონდა.

**1943 წელს ფაშისტური გერმანიის მზის ჩასვენებას სტალინგრადში კომინტერნის მზის ჩასვენებაც მოჰყვა მოსკოვში. გლობალისტებისა და პერმანენტული მსოფლიო რევოლუციის მეხანძრეებისგან წამოსული ბოდვითი იდეებისა და მსოფლიოში გაჩაღებული სისხლისმღვრელი ომის მიუხედავად, საბჭოთა კავშირში დაიწყო ომისგან მიყენებული ჭრილობების მოშუშება და მძლავრი ინდუსტრიული ცენტრების მშენებლობა.**

აი სტალინის პირადი არქივიდან დოკუმენტი, რომელიც პირველად ქვეყნდება. კომინტერნის აღმასკომის მდივანმა **ოტო კუუსინენმა** სტალინს გაუგზავნა კომინტერნის აღმასკომის წერილის პროექტი საფრანგეთის შემადგენლობაში ელზას-ლოტარინგიის ავტონომიის შესახებ. 1926 წლის 14 აგვისტოს იოსებ სტალინმა გაუგზავნა კომინტერნს დასკვნა, რომელიც თითქმის სრულად მომყავს:

„კუუსინენს!

მივიღე ელზას-ლოტარინგიის შესახებ წერილის პროექტი. ჩემს შენიშვნებს, ლაპარაკია ელზას-ლოტარენგიის ავტონომიაზე, საჭიროა, დაემატოს ერთი აბზაცი... იმის შესახებ, რომ ავტონომიისთვის ბრძოლა არ ნიშნავს ელზას-ლოტარინგიის პროლეტარების კავშირების შესუსტებას საფრანგეთის პროლეტარიატთან, არამედ პირიქით, ამ ურთიერთობათა კიდევ უფრო განმტკიცებას, რადგან მხოლოდ ამ კავშირით შეიძლება იქნეს მიღწეული ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაცია ელზას-ლოტარინგიაში. თავისი ტონით წერილი ჰგავს ხანშიშესული ბაბუის წერილს შვილიშვილებისადმი. საჭიროა უფრო სერიოზული საუბარი, წერილი უნდა შემოკლდეს, შეიკუმშოს, გამოირიცხოს გამეორებები.

კომუნისტური სალმით, ი. სტალინი“.

აი სხვა მაგალითი:

კუუსინენმა გაუგზავნა სტალინს კომინტერნის აღმასკომის პროექტი თეზისებისა და რევოლუციური მოძრაობის შესახებ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში.

1928 წლის 21 აგვისტოს სტალინმა გაუგზავნა დასკვნა:

„ამხ. კუუსინენს!

**პირველი.** თქვენი თეზისები ძალიან ვრცელია. საჭიროა შემოკლდეს სამჯერ ან ოთხჯერ მაინც.

**მეორე.** ეს თეზისები თეზისებად არ ჩაითვლება — ეს უფრო კომენტარებია თეზისებისთვის.

**მესამე.** არ უნდა ეცადოთ, რომ თეზისებმა მოიცვას ყველა კოლონიური, ნახევრადკოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები. ამ ამოცანას თეზისები ვერ შეასრულებს, უნდა აიღოთ ტიპური (ერთი ან ორი) კოლონია (ინდოეთი, ინდონეზია), ნახევრად კოლონია (ჩინეთი, ეგვიპტე), დამოკიდებული ქვეყნები (მექსიკა, სპარსეთი, ან რომელიმე სხვა ქვეყანა) და მათი კლასობრივი ძალების (შინაგანი და გარეგანი) ანალიზის საშუალებით დასახოთ კომუნისტების მუშაობის ძირითადი მიმართულება ნაციონალურ საკითხებში განვითარების მოცემულ ეტაპზე.

**მეოთხე.** თეზისები თითქმის მოწყვეტილია ან, უფრო ზუსტად, სუსტადაა დაკავშირებული თავის ისტორიულ ბაზასთან.

ბოდიშს გიხდით პასუხის დაგვიანებისთვის. კომუნისტური სალმით, თქვენი ი. სტალინი“.

ეს წერილი სტალინმა გაუგზავნა თავის თანაშემწეს — **ივანე ტოვსტუხას** და მისწერა: „გადაიღეთ ამხ. კუუსინენისადმი ჩემი წერილის ასლი და გაუგზავნეთ მოლოტოვს, ორიგინალი კი სპეციალური კონვერტით გაუგზავნეთ კუუსინენს. არ არის საჭირო, უთხრათ, რომ ასლი გადაღებულია მოლოტოვისთვის, თუ თვითონ არ გკითხათ, თუ გკითხათ, მაშინ უთხარით“.

სტალინის ყურადღების ცენტრში იყო, აგრეთვე, რკპ (ბ) — სკპ (ბ) ხელმძღვანელების ურთიერთობის საკითხები საზღვარგარეთის ქვეყნების კომპარტიების, კერძოდ, გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელებთან. კომინტერნის აღმასკომის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ბუხარინმა** სტალინს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა:

„გერმანიის კომპარტიის ცკ-დან მივიღე დეპეშა არჩევნების შესახებ, დირექტიული წერილის თაობაზე. მეეჭვება, რამდენად მოსახერხებელია ჩემგან (რუსისაგან) პირდაპირ წერა შექმნილ ვითარებაზე (ლაპარაკია ჩემს ხელმოწერაზე და ა. შ.). შენ რას იტყვი?“

სტალინმა უპასუხა: „სჯობს, მისწერო, მაგრამ ხელს ნუ მოაწერ“.

1925 წელს 25 ივლისს სოჭიდან სტალინმა წერილით უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ბუხარინის პოზიციას გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობაში შექმნილი ვითარების შეფასებაში:

„საჭიროა, მტკიცედ დავუჭიროთ მხარი **ერნსტ ტელმანს რუთ ფიშერის** წინააღმდეგ ბრძოლაში და უზრუნველვყოთ მისი გამარჯვება“.

საინტერესოა ბუხარინისა და სტალინის მიმოწერა გერმანიის კომპარტიის თაობაზე და იმაზეც, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ამ საკითხებისადმი სკპ(ბ)-ს ზოგიერთ წარმომადგენელს, რომლებიც კომინტერნის აღმასკომში მუშაობდნენ. ბუხარინი თავის წერილში შეეხო გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობაში ცალკეული ჯგუფების დაპირისპირებას (ნეიმანი და ტელმანი). სტალინი თვლიდა, რომ ამ საქმეში უფრო მეტი დამნაშავენი იყვნენ კომინტერნის წევრები — **ბესარიონ ლომინაძე და ლაზარ შაცკინი.** ბუხარინი კი წერდა:

„მე ვეჩხუბე ლომინაძესა და შატკინს ნეიმანის თანდასწრებით, რომელსაც დავავალე სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა მათთვის ჩემი ნათქვამი. შენ ძალიან ელოლიავებოდი მათ, ახლა მე ვეცდები, ლიად გამოვთქვა ჩემი გულისწყრომა:

**პირველი.** არამზადების ეს ჯგუფი უნდა დავშალოთ და გავფანტოთ რუსეთის სხვადასხვა მხარეში;

**მეორე.** არ უნდა მიეცეთ მათ აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;

**მესამე.** მე განვუცხადე ტედის, რომ ლომინაძე და შაცკინი მერყევი, ჩამოუყალიბებელი ადამიანები არიან, რომლებიც უნდა დაისაჯონ და ა. შ.“

ბუხარინი ამტკიცებდა, რომ ნეიმანი დანარჩენებზე (ესე იგი ლომინაძეზე, შაცკინზე) უფრო მავნებელია, იტყუებაო და ა. შ.

სტალინი კი თავის თვალსაზრისს იცავდა:

„დამნაშავეა ლომინაძე, რომელიც უყოყმანოდ ენდობოდა ნეიმანს, რაც ლომინაძეს უარყოფითად ახასიათებს. ნეიმანი ხელისუფლებაში გაძვრა, ლომინაძემ კი ეს სიამოვნებით დაუშვა. ისინი იმიტომ გათამამდნენ, რომ შენ გაანებივრე „ლიბერალიზმით“. უნდა უკუვაგდოთ „ლიბერალიზმი“. სტალინმა წამოაყენა წინადადება: **„მოვიწვიოთ გერმანული და რუსული დელეგაციების გაერთიანებული კრება, რომელზეც საბოლოოდ გამოვაშკარავებთ ამ ადამიანებს. შაცკინი და ლომინაძე უნდა მოვიწვიოთ კრებაზე“.**

1928 წლის 1 ივნისს სტალინმა გაუგზავნა ბოლშევიკური პარტიის წევრებს შემდეგი შინაარსის წერილი:

„სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია ბრალდებების წაყენება კომპარტიის მიმართ. დადანაშაულება კომპარტიისა იმაში, რომ საბჭოთა კავშირი იძულებულია, დაავალოს საზღვარგარეთ მოქმედი თავისი დაწესებულებების თანამშრომლებს, არ ჩაერიონ ბურჟუაზიული ქვეყნების შინაურ საქმეებში არა ევროპასთან ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიკის გასაძლიერებლად, არამედ სითის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც გადახრას ნიშნავს. მაკვირვებს საქციელი ბუხარინისა და პიატნიცკისა, რომლებმაც არ ჩათვალეს საჭიროდ, საკადრისი პასუხი გაეცათ საბჭოთა კავშირისა და კომპარტიისადმი ბრალდებებისთვის, რომ თითქოს ჩვენ არ შეგვეძლო, „გადაუდებელი საქმეების გამო“, ცოტა ხანს შეგვეყოვნებინა პასუხი. გამოდის, რომ სკკპ ცკ-ში „უსაქმურები მუშაობენ“, რომლებმაც დაუყოვნებლივ უნდა განიხილონ ყველა საკითხი. მიმაჩნია, რომ ჩვენ ვერ ვიტყვით უარს კომინტერნის მუშაობისგან ჩვენი სავაჭრო დაწესებულებების სარფიანი ოპერაციების ერთმანეთისგან გამიჯვნის პოლიტიკაზე. შეიძლება ლონდონში ჩვენმა მუშაკებმა ცოტა გადააჭარბეს ფუნქციების გამიჯვნაში. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გამოვასწოროთ ხარვეზი, მაგრამ არ შეგვიძლია და არც ვაპირებთ, შევცვალოთ გადაწყვეტილება ბანკებიდან რამდენიმე ინგლისელი კომუნისტის გათავისუფლების შესახებ.

ი. სტალინი“.

1932 წლის 16 აგვისტოს სტალინმა და მოლოტოვმა ცეკაში **კაგანოვიჩს** გაუგზავნეს წერილი:

„პირველი. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის თეზისები მოცემული ვითარებისთვის მისაღებია, თუმცა საჭიროებს გადამუშავებას. უფრო კონკრეტული უნდა იყოს რევოლუციური ამოცანები, გირჩევთ, ცალკე საკითხად გამოყოთ მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში, იაპონია-ჩინეთის ომი და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავდასხმის საფრთხე. გირჩევთ, აგრეთვე, გააკრიტიკოთ მეორე ინტერნაციონალის რეზოლუცია ამ საკითხზე. მიუთითეთ ევროპული კომპარტიების მუშაობის ნაკლოვანებებზე, რომლებმაც ვერ შეუშალეს ხელი იაპონიისთვის იარაღის მიწოდებას, დაუსახეთ კონკრეტული ამოცანები იაპონიის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიებს, განსაკუთრებით — ევროპულ და ამერიკულ კომპარტიებს, რომლებმაც უნდა შექმნან საპორტო და სატრანსპორტო კომიტეტები იარაღის გადატანის დეზორგანიზაციისთვის. ამ საკითხზე მომხსენებლად გთავაზობთ იაპონელ კატაიამას ან რომელიმე სხვა იაპონელ ამხანაგს“.

უნდა აღინიშნოს, რომ 1932 წლის შემოდგომისთვის მსოფლიოს ქვეყნების კომპარტიებში, საბჭოთა კავშირის გამოკლებით, ითვლებოდა 910 000 ადამიანი, ხოლო ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კომინტერნის განკარგულებაში იყო 4 500 000 გაჯაღლო ოქროს მანეთი, 3 400 000 ოქროს მანეთი. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კომინტერნისთვის გამოყოფილი იყო ორ-ნახევარი მილიონი მანეთი. კომინტერნის ძირითად ბირთვს შეადგენდა 500 კაცი, რომლებსაც ემატებოდა 300 ტექნიკური თანამშრომელი. სწორედ ეს 800 ადამიანი მართავდა წლების განმავლობაში გლობალისტურ მანქანას, ტროცკის მეთაურობით.

◀ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში 3 100 000 პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი იყო, ესე იგი, სულ 4 მილიონზე მეტი ადამიანი. საზღვარგარეთის ქვეყნებში კომპარტიების წევრთა რაოდენობა შეადგენდა მსოფლიოს კომუნისტთა რაოდენობის ერთ მეოთხედზე ნაკლებს.

კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილება ხშირად განიხილებოდა ჯერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცეკას პოლიტბიუროში, სადაც საბოლოო სიტყვა ეკუთვნოდა სტალინს, მაგრამ არა ყოველთვის. მაგალითად, 1933 წლის 5 სექტემბერს კაგანოვიჩი წერდა სტალინს:

„კომინტერნელები ძალიან გთხოვენ, დააჩქაროთ მათი პასუხის განხილვა ინგლისის დამოუკიდებელი პარტიისადმი. თუ მასალა თქვენთანაა, გთხოვთ, სასწრაფოდ გვაცნობოთ თქვენი აზრი“.

სტალინმა იმავე დღეს უპასუხა:

„არ შემიძლია და არც ვარ ვალდებული, მოგაწოდოთ დასკვნები ყველა საკითხზე. ინგლისის დამოუკიდებელი პარტიისადმი პასუხი შეგეძლოთ თქვენვე განგეხილათ და მიგეღოთ“. კონგრესის გადაწყვეტილებებს ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე არაერთგვაროვანი რეაქცია მსოფლიოში. რამდენიმე ბურჟუაზიული ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ქვეყნდებოდა ბევრი ნეგატიური შეფასება. კაგანოვიჩი და მოლოტოვი 1935 წლის 16 აგვისტოს სტალინს სწერდნენ, რომ პოლონეთის ოფიციოზის „გაზეტა პოლსკას“ მოსკოველმა კორესპონდენტმა **ბერსონ-ოტმარმა** 13 აგვისტოს გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ **„კომინტერნი... ყოველთვის იყო ყველაზე მატყუარა დაწესებულება ამ რეკორდულად მატყუარა ქვეყანაში“**, ეს კორესპონდენტი ადრეც გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირისადმი ცილისმწამებლური გამონათქვამებით, ამიტომ კაგანოვიჩი და მოლოტოვი საჭიროდ თვლიდნენ, მიემართათ პოლონეთის ხელისუფლებისთვის, რომ გაეწვიათ კორესპონდენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას გააძევებდნენ საბჭოთა კავშირიდან.

პასუხად 17 აგვისტოს სტალინმა მისწერა:

„ოტმარის გაძევებაზე თანახმა ვარ. უნდა გამოქვეყნდეს წერილი და დაიგმოს პრესაში“.

### ეკონომიკური კავშირები

სტალინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, საგარეო ვაჭრობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში. ამას ამტკიცებს მრავალი დოკუმენტი. აი ერთი მათგანი:

1931 წლის 14 აგვისტოს სტალინმა თავის თანაშემწე **პოსკრებიშევს** გაუგზავნა კაგანოვიჩისთვის გადასაგზავნი ასეთი ბარათი:

**„პირველი.** გერმანულ ფირმებთან უნდა იმოქმედოთ თამამად, შეკვეთებზე უარის თქმამდეც კი. სხვაგვარად ვერაფერს მივაღწევთ. ისინი ტყავს გაგვაძრობენ;

**მეორე.** იაპონელებთან უნდა დაიდოს ხელშეკრულება თევზის მოწოდების თაობაზე ტროიანოვსკის წინადადების მიხედვით — სამი წლის განმავლობაში იაპონელებს მივცეთ 49%, ჩვენ დავიტოვოთ 51%;

**მესამე.** არგენტინის თაობაზე უნდა მოვიცადოთ;

**მეოთხე.** შემკვეთების მონაწილეობაზე შეკვეთებში შეიძლება დავიცადოთ, აკულოვის პროექტი არ არის საკმარისი;

**მეხუთე.** მომავალი წლისთვის 8 000 ტონა ალუმინი ძალიან ცოტაა. 20 000 ტონაა საჭირო;

**მეექვსე.** ჩვენი მეურნეობის მუშაკები თითქმის სრულად არ იყენებენ ტექდახმარებას, ეს დანაშაულია საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების წინააღმდეგ მიღებული უნდა იქნას დრაკონული ზომები;

**მეშვიდე.** ველაპარაკე იაკოვლევს, ის პოლიტბიუროში შემოიტანს რამდენიმე ახალ წინადადებას, რომლებიც უნდა იქნას მიღებული;

**მერვე.** კუიბიშევი, როგორც ჩანს, გადაიღალა, უნდა მიეცეს შვებულება პირველ სექტემბრამდე.

ი. სტალინი“.

მოვიყვანთ კიდევ ერთ დოკუმენტს:

1932 წლის 16 ივნისს მოლოტოვმა და კაგანოვიჩმა სოჭში მყოფ სტალინს აცნობეს, რომ მე-3 კვარტალში მე-2 კვარტლის რაოდენობის ბამბის ქსოვილების გამოსაშვებად საჭიროა 4 მილიონი მანეთის ბამბის იმპორტი. 17 ივნისს სტალინმა უპასუხა:

„საქმე მე-3 კვარტალში გამოშვებული პროდუქციის ღირებულებაში კი არ არის, არამედ ბაზრის სასარგებლოდ მზა პროდუქციის განაწილებაში. იმ მომხმარებელთა საზიანოდ, რომლებიც ბაზრის მიღმა არიან, მე-3 კვარტალში ეცადეთ, გაანაწილოთ ქსოვილები ისე, რომ ბაზარმა მიიღოს იმდენივე, რამდენიც მე-2 კვარტალში და ბამბის შემოტანა აღარ დაგვჭირდება. ვიმეორებ, საქმე პროდუქციის რაოდენობაში კი არ არის, არამედ მის სწორად განაწილებაში. ვისაც ეშინია ბაზრის მიღმა დარჩენილი მომხმარებლების, ის ვერასოდეს გადაჭრის ფართო მოხმარების საჭიროებებს. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ ბამბის შემოტანისა და ეს დღევანდელ სავალუტო პირობებში ავანტიურიზმად მიმაჩნია.



სტალინი და კაგანოვიჩი

სტალინი“.

ამგვარად, 1932 წელს სახელმწიფო ბანკში არასაკმაო რაოდენობის ვალუტის გამო სტალინი თვლიდა, რომ საჭირო იყო და აუცილებელიც, არ შემოეტანათ ბამბა.

**სტალინი ყურადღებით ადევნებდა თვალს საერთაშორისო ვითარებას, ურთიერთობებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ეძებდა წინააღმდეგობებს ამ ურთიერთობებში საბჭოთა კავშირის ინტერესებისთვის გამოსაყენებლად, ამიტომაც ცდილობდა საგარეო ვაჭრობის ბერკეტების გამოყენებას.**

აი, მაგალითად, სტალინის 1935 წლის 2 სექტემბრის დეპეშა:

„მოსკოვი სკპ (ბ) ცკ-ს კაგანოვიჩს, მოლოტოვს: კალინინმა მაცნობა, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი დაუშვებლად თვლის პურის ექსპორტს იტალიაში, აბისინიაში კონფლიქტის გამო. ვფიქრობ, ისინი ვერ ერკვევიან საერთაშორისო ვითარებაში: კონფლიქტი მიმდინარეობს არა იმდენად იტალიასა და აბისინიას შორის, რამდენადაც იტალიასა და საფრანგეთს შორის, ერთი მხრივ, და ინგლისს შორის მეორე მხრივ. ძველი ანტანტა აღარ არსებობს, მის ადგილას ჩნდება ორი ახალი ანტანტა: იტალია და საფრანგეთი, ერთი მხრივ, და ინგლისი და გერმანია, მეორე მხრივ. რაც უფრო ძლიერი იქნება ეს დაპირისპირება, მით უკეთესია საბჭოთა კავშირისთვის. ჩვენ შეგვიძლია პური მივყიდოთ ერთსაც და მეორესაც, რათა მათ ბრძოლა გააგრძელონ. ჩვენ არ გვინდა, რომ ერთ-ერთმა მალე გაიმარჯვოს, პირიქით: გვინდა, რომ ბრძოლა დიდხანს გაგრძელდეს და ვერც ერთმა მოახერხოს სწრაფად გამარჯვება.

სტალინი“.

**საგარეო ვაჭრობის საქმეში სტალინი ავლენდა მომჭირნე მეურნის თვისებებს. აი ერთი მაგალითი:**

„1936 წელს 5 სექტემბერს კაგანოვიჩი და მოლოტოვი წერდნენ სტალინს სოჭში, რომ „საგარეო ვაჭრობის კომიტეტი თანახმაა, მიჰყიდოს ნავთობპროდუქტები ინგლისსა და შვედეთს მსოფლიოში მიღებული 5%-იანი ფასდაკლებით, რასაც ისინი ეთანხმებიან“.

აი რა უპასუხა სტალინმა:

„რატომ უნდა მივყიდოთ 5%-იანი ფასდაკლებით, განა ასე ბევრი ნავთობი გვაქვს?

სტალინი“.

მხოლოდ მაშინ დათანხმდა სტალინი, როცა 7 სექტემბერს მოლოტოვმა და კაგანოვიჩმა დეპეშით განუმარტეს, რომ 5%-იანი ფასდაკლება დიდი რაოდენობის ნავთობის შესყიდვისას მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა.

**ზოგიერთ საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. პირველი ადგილი აქ, ცხადია, ესპანეთს ეჭირა სამოქალაქო ომის პერიოდში.**

1936 წლის 6 სექტემბერს სტალინმა ცეკაში კაგანოვიჩის სახელზე შეიტანა წინადადება ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობისთვის თვითმფრინავების მიყიდვის შესახებ, ოღონდ მექსიკის გავლით (უშუალოდ ესპანეთში თვითმფრინავების გაგზავნა ჭირდა). სტალინმა, აგრეთვე, წინადადება შეიტანა 20 კარგი მფინავის გაგზავნის თაობაზე ესპანეთში, იქაური მფრინავებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით. „სასწრაფოდ მოიფიქრეთ ეს საკითხი, — წერდა იგი. — კარგი იქნება, თუ იმავე გზით გავუგზავნით 20 000 თოფს, 1 000 ქვემეხს და 20 მილიონ ვაზნას“.

ცოტა ადრე, 1936 წლის 18 აგვისტოს, სტალინი კაგანოვიჩსა და ჩუბარს წერდა:

„საჭიროდ მიმაჩნია, დაუყოვნებლივ მივყიდოთ ესპანელებს ნავთობი შეღავათიან ფასად... თუ ესპანელებს სჭირდებათ პური და სხვა პროდუქტები, უნდა მივაწოდოთ ასევე შეღავათიან ფასად... დაავალეთ საგარეო ვაჭრობის კომიტეტს, იმოქმედოს სწრაფად.

სტალინი“.

სტალინის პირად ფონდში არ აღმოჩნდა მისი წერილობითი რეაქცია ზოგიერთ ცნობაზე, რომელსაც იღებდა იგი 1935 წელს შვებულებაში ყოფნისას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ გაძნელებული იყო ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა პურით, საგარეო ვაჭრობის კომიტეტის წინადადებით, 1935 წელს, გარდა ნებადართული მილიონი ტონა პურისა, გაიყიდა კიდევ დამატებით 600 000 ტონა, აქედან 350 000 ტონა ხორბალი და 250 000 ტონა ქერი.

მეორე მაგალითი:

1935 წლის 3 ოქტომბერს კაგანოვიჩმა და მოლოტოვმა აუწყეს სტალინს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საგრეო ვაჭრობის კომიტეტს, გაერკვია ხელსაყრელი პირობები ნაღდი ანგარიშსწორებით კალის, სპილენძის, ნიკელისა და კაუჩუკის შესყიდვისთვის, რაც საჭირო იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისთვის. გადაწყვეტილების მიღების თაობაზე 1935 წლის 26 ოქტომბერს კაგანოვიჩმა და მოლოტოვმა აცნობეს სტალინს, რომელმაც იმავე დღესვე განაცხადა თანხმობა.

წერილის შესავალში გამოთქმული აზრი 1943 წელს ფაშიზმისა და კომინტერნის მზის ჩასვენების შესახებ, კიდევ ერთხელ შეისხამს ხორცს მაშინ, როდესაც მიკითხველი კიდევ ერთხელ გადაიკითხავს 1991 წელს მოსკოვში გამართულ საერთაშორისო ეკონომიკურ სიმპოზიუმზე იაპონელი მილიარდერის გამოსვლას, რომელმაც საბჭოთა ეკონომისტების „იაპონური სასწაულით“ აღტაცება შემდეგი სიტყვებით ჩააცხრო:

„თქვენ არ ლაპარაკობთ ძირითადზე, მსოფლიოში თქვენს წამყვან როლზე. 1939 წელს თქვენ, რუსები, ჭკვიანები იყავით; ხოლო ჩვენ, იაპონელები, — ბრიყვები. 1949 წელს თქვენ კიდევ უფრო დაჭკვიანდით, ჩვენ კი ბრიყვებად დავრჩით, მაგრამ 1955 წელს (სტალინის გარდაცვალების შემდეგ. — გრ. ონიანი) ჩვენ დავჭკვიანდით, თქვენ კი ხუთი წლის ბავშვებად გადაიქეცით. მთელი ჩვენი ეკონომიკური სისტემა, პრაქტიკულად, თქვენიდანაა გადმოღებული, იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან კაპიტალიზმია, კერძო მეწარმეები, და ჩვენ არასოდეს მიგვიღწევია ეკონომიკის 15%-ზე მეტი ზრდისთვის. თქვენ კი — წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში — აღწევდით 30%-ს და უფრო მეტს. ყველა ჩვენს ფირმაში გამოკრულია თქვენი სტალინისდროინდელი ლოზუნგები“.

კომენტარი, ალბათ, ზედმეტია!..

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**სტალინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, საგარეო ვაჭრობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში. ამას ამტკიცებს მრავალი დოკუმენტი**




**ყურადღება!**

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკათუმეების“ ისტერიკა, რომელიც ნაწილობრივ სასულიერო პირებსაც გადაედოთ, თითქოს ქვეყანაში რუსული პროპაგანდა მუშაობს, ბლეფი და გამიზნული პრევენციული ნაბიჯია, რათა რუსეთმა აქ ვერ გაბედოს კონტრპროპაგანდის გაჩაღება.**

# საშიში საზოგადოება

**შეგნებულად არ ვაპირებდი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცნობითი ხასიათის ვიზიტით ჩასული სინოდის წევრების გამონათქვამების კომენტირებას. მაგრამ, რაკი ინტერნეტში ველარ შევსულვარ ისე, რომ ცალკეული სასულიერო პირების მხრიდან ამერიკით აღტაცება არ მომხვდეს თვალში, ამიტომ გადავწყვიტე ამ მცირე მოცულობის შენიშვნის დაწერა.**



> **ამერიკულმა პოლიტიკამ, უკვე დიდი ხანია, მასხრად აიგდო ჩვენი ქვეყანა. ახლა ჯერი ეკლესიაზე მიდგა. მაღალი რანგის ქართველ სასულიერო პირებს ამერიკა «აღმოაჩენინეს» და აღფრთოვანებაც გამოახატვინეს, ორიოდ დღეში კი ჩოხოსანი ყმაწვილების გეიქორწინების მომსწრენიც გავხდით**

სამწუხაროდ და საუბედუროდ, მთელი ჩვენი ყოფა იქცა ერთ დიდ ფარსად, როგორც 1991 წელს ვითომ მოპოვებული დამოუკიდებლობა. **ამერიკულმა პოლიტიკამ, უკვე დიდი ხანია, მასხრად აიგდო ჩვენი ქვეყანა. ახლა ჯერი ეკლესიაზე მიდგა. მაღალი რანგის ქართველ სასულიერო პირებს ამერიკა „აღმოაჩენინეს“ და აღფრთოვანებაც გამოახატვინეს, ორიოდ დღეში კი ჩოხოსანი ყმაწვილების გეიქორწინების მომსწრენიც გავხდით.**

ამერიკელების მიერ გაჩაღებული ანტირუსული ფსიქოზის უკვე მერამდენე ეტაპია საქართველოში. ახალ ხელისუფლებას ხალხის ჯერ კიდევ ერიდება, სააკაშვილის ნაკვალევზე ზუსტად რომ დადგას ფეხი და, მაგალითად, ისევ აკრძალოს რუსული ტელეარხების ჩვენება საკაბელო ქსელებში ან რესტორნებში რუსული მელოდიების შესრულება... მაგრამ **მაინცდამაინც შორს არც ეს ხელისუფლება დგას წინამორბედისგან: მორჩილი და დაბეჩავებული შესცქერის ამერიკის საელჩოდან მიღებულ მითითებებს, ვინ სად უნდა დაინიშნოს და ვის რა უნდა დაევალოს. სიტყვა „რუსეთის“ თქმასაც ვერ ვასწრებ, „რუ...“-ზე ყველა „ქოცი“ შიშისგან ან კარადის უკან, ან მაგიდის ქვეშ უკვე დამალულია.** ეშინიათ რუსეთის კი არა, ამერიკის — ვაი, და, „პრორუსულობაში“ დაგვდონ ბრალი, რას იფიქრებს იან კელიო. ამ ფონზე რუსეთის ხელისუფლებაც არ აპირებს ერთხელ უკვე აპრობირებული დასჯის მეთოდის გამეორებას — ეკონომიკური სანქციების კვლავ დაწესებას და სავიზო რეჟიმის გამკაცრებას, სხვა ბერკეტი კი რუსეთს არ აქვს. მას საქართველოში არ შეუქმნია არანაირი კონტრპროპაგანდის საშუალება. **„ამერიკათუმეების“ ისტერიკა, რომელიც ნაწილობრივ სასულიერო პირებსაც გადაედოთ, თითქოს ქვეყანაში რუსული პროპაგანდა მუშაობს, ბლეფი და გამიზნული პრევენციული ნაბიჯია, რათა რუსეთმა აქ ვერ გაბედოს კონტრპროპაგანდის გაჩაღება.**

ქართულმა მასმედიამ ჩემთვის უაღრესად პატივსაცემი პიროვნების, **მეუფე იოანეს** სიტყვები იმის თაობაზე, რომ ამერიკამ საქართველოში თავისი იმიჯის დაკარგვის მიზეზი თავისთან უნდა ეძებოს, ისეთ კონტექსტში გაავრცელა, რომ მეუფე თითქოს თვითონ ითხოვს ამერიკის პროპაგანდის გააქტიურებას და რუსეთთან იდეოლოგიური ომის გამძაფრებას. სინამდვილეში მეუფემ ურჩია ამერიკელებს, უკეთესად მიაწოდონ ხალხს ინფორმაცია. იგი აღარ მოჰყვა ამერიკის კრიტიკას ამერიკაში, ანუ მასპინძელ ქვეყანაში, რითაც, ელემენტარულად, ეტიკეტის ნორმები დაიცვა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა მეუფეებმა უფრო მკაფიოდ გამოთქვეს თავიანთი აზრი, ალბათ, დაავიწყდათ, რომ „დუმილი ოქროა“. მათ გარდა, საქართველოშიც მღვდელმა **თეოდორე გიგნაძემ** არაერთი საქებარი სიტყვა თქვა ამერიკელების მისამართით. თურმე „ძირძველ ამერიკელს“ რომ დაელაპარაკები, „აღმოაჩენ, რომ ამერიკა საკმაოდ კონსერვატიული, ზნეობრივი ქვეყანაა და შემდეგ გიკვირს ის პროპაგანდა, რომელიც საქართველოში დასავლეთის სახელით ხდება“.

მეც სწორედ ამერიკის ამ „კონსერვატიულ“ და „ზნეობრივ“ ნაწილზე გავამახვილებ დღეს ყურადღებას, ოღონდ არა განყენებულად, ვინ არის „ზნეობრივი“ და „კონსერვატორი“, არამედ ამ ცნებების პოლიტიკური რელევანტობის კონტექსტში.

მამა თეოდორე თვითონაც ხედავს, რომ **ამერიკის შიგნით ჯერ კიდევ შემორჩენილი კონსერვატიული ფასეულობითი ორიენტირები გავლენას არ ახდენს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოსაც ითრევს უზნეობის პროპაგანდა-გავრცელებაში.** ოღონდ ეს „დასავლეთის სახელით“ კი არ ხდება, როგორც მამა თეოდორე ამბობს მორიდებით და ბუნდოვნად, არამედ დასავლეთის მიერ. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამერიკის ე. წ. ბიბლიურ სარტყელში (ე. ი., აშშ „გლუბინკაში“, სადაც მორწმუნე ამერიკელების რაოდენობა სჭარბობს) რა ფასეულობებზე იღებს ორიენტაციას ხალხი, რადგან ეს არანაირად არ აისახება თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო პოლიტიკაზე და საერთაშორისო ფორუმებზე წარმოდგენილ პოზიციაზე. შესაბამისად, **ზოგიერთი „გავლენიანი ეპისკოპოსის“ პრიმიტიული პოზიცია, რომ „ამერიკა ჩვენი მოკავშირეა“, მორალის საკითხებში უკუგდებულია; ხოლო ვისაც სჯერა, რომ ომის დროს რუსეთის შეჩერება მისივე საზღვრებთან ამერიკას შეუძლია, ვთავაზობ, „დროის მანქანით“ დაბრუნდეს 2014 წლის ყირიმში ან სულაც მშობლიურ საქართველოში 2008 წლის აგვისტოში.**

მაგრამ მსოფლიოს მხოლოდ ამერიკის ლიბერალური პოლიტიკისგან არ ემუქრება წალეკვა. კონსერვატიული ამერიკა, რომელსაც აქებს მამა თეოდორე, არანაკლებ საშიშია მსოფლიო წესრიგისთვის, ვიდრე ლიბერალური ამერიკა, რომელიც გეიქორწინებებს უჭერს მხარს. ეს ფაქტორი არასგზით არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ადრეც მიმიქცევია მკითხველის ყურადღება ამერიკაში რელიგიური სექტების სიუხვესა და ამ სექტების პოლიტიკურ გავლენაზე. მაგალითად, რაოდენ დიდი გავლენა აქვს ე. წ. **ევანგელისტი ქრისტიანების** თვალსაზრისს ისრაელის სახელმწიფოს არსებობის რელიგიურ მნიშვნელობაზე. ეს წარმოდგენები უდიდეს როლს ასრულებს აშშ-ის მხრიდან ისრაელის უპირობო მხარდაჭერის უზრუნველყოფაში.

**კონსერვატორი ამერიკელები, თავიანთ ნებაზე რომ მიუშვა, მზად არიან, მსოფლიო გადაჩეხონ ატომურ ომში. მაგალითად, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა სკოტ საგანმა გამოაცხადა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც, ამერიკელთა 60% მხარს უჭერს ატომური ბომბების ჩამოყრას ირანის 100-ათასიან ქალაქებზე. იგივე გამოკითხულები ატომური ბომბების გამოყენებას მხარს უჭერენ ასევე 2-მილიონიანი ირანული ქალაქების წინააღმდეგაც. ამასთანავე, ამერიკელები თანახმა არიან, ირანში სახმელეთო ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში, 2 მილიონი დაღუპული მშვიდობიანი ირანელის სანაცვლოდ, 20 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი თუ დაეცემა ბრძოლის ველზე.**

„საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 40% ირანთან კონფრონტაციის დასრულებას მხარს უჭერს დიპლომატიის გზით, მაგრამ კიდევ 40% უპირატესობას მაინც ატომური იარაღის გამოყენებას ანიჭებს“, — აღნიშნა ამერიკელმა პროფესორმა საგანმა. ამის თაობაზე იუწყება გაზეთი Harvard Crimson-ი.

**„შოკირებული ვარ იმით, რომ ადამიანები მზად არიან, ატომური იარაღი იმ შემთხვევაშიც გამოიყენონ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს“,** — აღნიშნა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა **მეთიუ ბუნმა.** კიდევ ერთი ამერიკელი მეცნიერი **ჯონ მეჰლინი** კი გამოთქვამს აზრს, რომ „ამერიკულმა მასმედიამ ვერ გააგებინა ხალხს, რა საშიშია ცივილიზაციის არსებობისთვის თუნდაც რამდენიმე ატომური ბომბის გამოყენება“.

> **ზოგიერთი «გავლენიანი ეპისკოპოსის» პრიმიტიული პოზიცია, რომ «ამერიკა ჩვენი მოკავშირეა», მორალის საკითხებში უკუგდებულია; ხოლო ვისაც სჯერა, რომ ომის დროს რუსეთის შეჩერება მისივე საზღვრებთან ამერიკას შეუძლია, ვთავაზობ, „დროის მანქანით“ დაბრუნდეს 2014 წლის ყირიმში ან სულაც მშობლიურ საქართველოში 2008 წლის აგვისტოში**

გამოკითხვები 2017 წლის აგვისტოში ჩატარდა, ჰიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიიდან 72 წლის თავზე. **1945 წელს ამერიკელების 80%-მა დაუჭირა მხარი იაპონური ქალაქების დაბომბვას, რომელსაც ასიათასობით მშვიდობიანი ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. ამერიკელები არც იმ გარემოებამ შეაჩერა, რომ მიზანში ამოიღეს ქალაქი ნაგასაკი, სადაც იაპონიაში ქრისტიანების ყველაზე დიდი თემი არსებობდა. ეს ფაქტი ჩვენმა მეუფეებმა, ალბათ, არ იციან, თორემ ასეთ აქცენტს ამერიკის „ქრისტიანულობაზე“, ალბათ, არ გააკეთებდნენ.**

ასე და ამრიგად, **აშშ-ის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს ამერიკის ლიბერალური და კონსერვატიული ისტებლიშმენტი, რომელიც ახერხებს, ერთმანეთს შეუხამოს როგორც ლგბტ-ის მხარდამჭერი, ისე მილიტარისტური კურსი. პრინციპში, ეს არის კიდეც ამერიკელი ტროცკისტების, ე. წ. „ნეოკონსერვატორების“ არსი, ტროცკისტული რადიკალიზმი, გარყვნილი აზროვნება და მილიტარისტური მისწრაფებები ერთდროულად, რა თქმა უნდა, იმ განსხვავებით, რომ ბევრი რამ რელიგიურობის ნიღბით იმალება ან კიდევ ლიბერალურ ფასეულობებზე ხდება აპელირება.**

ამერიკის სახით თუ რაოდენ საშიშ მოვლენასთან გვაქვს საქმე, სხვა თემებზე სხვა გამოკითხვებითაც კარგად ჩანს: **იარაღის გაფეტიშება** (და ამით გამოწვეული უამრავი მასობრივი მკვლელობა, რომელთა ჩამდენები სულაც არ არიან სამედიცინო თვალსაზრისით გიჟები), **რწმენა, რომ არსებობენ უცხოპლანეტელები და ამ უცხოპლანეტელებთან ბევრ ამერიკელს „ჰქონია ურთიერთობა“, ისევე, როგორც რწმენა, რომ მსოფლიოს მართავენ ე. წ. რეპტილოიდები — ადამიანებად გარდასახული ურჩხულები — ამ ყველაფრის რამდენიმე მილიონ ამერიკელს სჯერა.** 300-მილიონიანი ქვეყანითვის 4-5 პროცენტი მაღალი მაჩვენებელი არ არის, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით. კარგად დავფიქრდეთ და მივხვდებით, რაოდენ დიდ საფრთხეში ვართ მსოფლიოსთან ერთად, რადგან ასეთ ქვეყანას აქვს უზარმაზარი სამხედრო და თანაც — ატომური არსენალი. არსებობს რეალური საფრთხე, რომ აშშ ატომურ ომს გააჩაღებს. ვინც და რაც ამერიკელებს აკავებს, მხოლოდ რუსეთი და ჩინეთია.

**გულბაათ რცხილაძე**

მოკლედ

## დაითვალეს აშშ-ის მიერ დახოცილი მშვიდობიანი სირიელები



**Routers-ის ოპერაციის შტაბის მონაცემებზე დაყრდნობით, ცნობილი გახდა, რომ 2014 წლიდან სირიაში საომარი კამპანიის განმავლობაში საერთაშორისო კოალიციის დარტყმების შედეგად, რომელსაც აშშ უდგას სათავეში, ქვეყანაში დაიღუპა 801 მშვიდობიანი მცხოვრები.**

ანგარიშში ნათქვამია, რომ სამოქალაქო პირები დაბომბვებსა და საარტილერიო დარტყმებს შემთხვევით ემსხვერპლნენ.

მოხსენებაში მითითებულია, რომ ამერიკელები პასუხისმგებლობას თავიდან არ იცილებენ. დოკუმენტში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ ოპერაციის დაწყებიდან კოალიციამ 28 ათასი დარტყმა განახორციელა, მიიღო 1790 პატაკი და მოხსენება მოქალაქეთა შორის პოტენციური მსხვერპლის რაოდენობის შესახებ, ამასთანავე, 695 ინფორმაცია, რომლებიც მიღებული იყო ერაყიდან და სირიიდან.

სააგენტო აზუსტებს, რომ ამერიკელი სამხედროების მონაცემები სერიოზულად განსხვავდება მონიტორული ჯგუფების მიერ შეგროვებული ინფორმაციისგან. მაგალითად, ორგანიზაცია Airwars-ის ინფორმაციის თანახმად, კოალიციის ავიადარტყმების შედეგად დაიღუპა, მინიმუმ, 5 961 მშვიდობიანი მოქალაქე.

**კოლექტივის ინტერესების დომინირებამ ინდივიდის ინტერესებზე შვა ღირებულებათა სისტემა, რომელშიც პიროვნების უფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობის თუ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას შედარებით მშვიდად აღიქვამენ, ვიდრე ევროპაში. თუმცა ევროპელებს იმის აღიარება უწევთ, რომ ზოგიერთ ასპექტში ისინი ჩამორჩებოდნენ. შუა საუკუნეების აზიაში საკმაოდ ძლიერი იყო მერიტოკრატიის ტრადიცია — ნებისმიერ გლეხს შეეძლო ჩაებარებინა გამოცდა, გამხდარიყო ჩინოვნიკი და დროთა განმავლობაში დიდგვაროვანებზე გაცილებით მაღლა დამდგარიყო.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ახლო წარსულში საკმაოდ აქტუალური იყო დისკუსია „განვითარების დიქტატურაზე“, როგორიც, თავის დროზე, სინგაპურში, სამხრეთ კორეაში და ზოგიერთ სხვა აზიურ ქვეყანაში დამყარდა. სააკაშვილის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ხსნა „სინგაპურიზაციაშია“, მათი ოპონენტები კი ადამიანის უფლებების თანმდევ დარღვევაზე მიუთითებდნენ, მაგრამ არც ერთ მხარეს არ უსაუბრია იმაზე, რაც საქართველოს ჩამოთვლილი სახელმწიფოებისგან განასხვავებს.**

# საქართველო და «განვითარების დიქტატურა»



XX საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომისტები ეძებდნენ განვითარებადი ქვეყნების რეფორმირების უნივერსალურ მოდელს, თუმცა გამოცდილებამ ცალსახად აჩვენა — ის, რაც მუშაობს აზიაში, ნაკლებად გამოსადეგია ლათინურ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში და ამის სავარაუდო მიზეზი ღირებულებების განსხვავებული სისტემაა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ბრინჯია. მისი მოყვანა კოლექტიურ შრომას მოითხოვს, სტაბილური მოსავლის მიღებას საირიგაციო სისტემების განვითარება სჭირდება, რომელთა შესაქმნელად საჭიროა ასეულობით, ხანდახან კი ათასობით ადამიანის შრომა. აგრეთვე, აუცილებელია მუდმივი კონტროლი, რათა სისტემამ გამართულად იმუშაოს. ერთი ან რამდენიმე მეზობელი სოფლის, ხანდახან კი დიდი რაიონის მიწებს ერთიანი სარწყავი სისტემა კვებავდა. ასეთ პირობებში შეუძლებელია, ერთსა და იმავე დროს წყალი ერთ ნაკვეთს მიეწოდოს, ხოლო მეორეს არა, იმის გამო, რომ მისმა პატრონმა გრაფიკის შეცვლა გადაწყვიტა. ეს გლეხების მუშაობას ურთიერთშეთანხმებულს და ურთიერთდამოკიდებულს ხდიდა. საირიგაციო სისტემების შექმნისა და კონტროლის აუცილებლობა ამყარებდა მოთხოვნას ძლიერ სახელმწიფოზე და პასუხისმგებლობის მქონე ჩინოვნიკზე იმ პერიოდში, როდესაც ევროპაში დაქსაქსულობა სუფევდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც ადგილობრივ ფეოდალზე უარესი ლეგალიზებული ყაჩაღი.

კოლექტივის ინტერესების დომინირებამ ინდივიდის ინტერესებზე შვა ღირებულებათა სისტემა, რომელშიც პიროვნების უფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობის თუ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას შედარებით მშვიდად აღიქვამენ, ვიდრე ევროპაში. თუმცა ევროპელებს იმის აღიარება უწევთ, რომ ზოგიერთ ასპექტში ისინი ჩამორჩებოდნენ. შუა საუკუნეების აზიაში საკმაოდ ძლიერი იყო მერიტოკრატიის ტრადიცია — ნებისმიერ გლეხს შეეძლო ჩაებარებინა გამოცდა, გამხდარიყო ჩინოვნიკი და დროთა განმავლობაში დიდგვაროვანებზე გაცილებით მაღლა დამდგარიყო. იმ პერიოდის ევროპაში მსგავსი კარიერა ძალზე იშვიათია და, როგორც წესი, ეკლესიას უკავშირდება. ამის გამო აზიაში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული დამოკიდებულება განათლების მიმართ. მნიშვნელოვანი სხვაობა პოსტფეოდალურ ხანაშიც არსებობდა — მაშინ, როდესაც ევროპაში ბურჟუაზიის აღმასვლა და სიმდიდრის გაღმერთება დაიწყო, აზიაში ვაჭარს კვლავინდებურად უფრო დაბალი სტატუსი ჰქონდა, ვიდრე გლეხს, ხოლო გამდიდრება მაღალი საზოგადოებრივი სტატუსის „ავტომატურ“ მოპოვებას არ ნიშნავდა.

მაშინ, როდესაც ევროპული ცივილიზაცია მივიდა ლოზუნგამდე „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ და ძველი იერარქიებისა თუ ავტორიტეტების უარყოფამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ცენტრალურ ადგილს კვლავინდებურად ოჯახური და კვაზიოჯახური ტიპის იერარქია იკავებდა, რომლის ფარგლებში უმცროსი უნდა დაემორჩილოს უფროსს, შვილი — მამას, თანამშრომელი — დირექტორს, ხალხი — იმპერატორს, ხოლო უფროსმა, თავის მხრივ, უმცროსზე უნდა იზრუნოს. ოპოზიცია ამ ქვეყნებში არსებითად სისტემურია, რადგან ის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არასოდეს მოითხოვს პატერნალისტური სისტემის განადგურებას, უბრალოდ, ამტკიცებს, რომ პირობითი „მამა“ არასაკმარისად მზრუნველია. ეს დამოკიდებულება კონფუცის ეპოქიდან დღემდე არ შეცვლილა.

განსხვავებულია დამოკიდებულება კანონის მიმართაც — ავიღოთ თუნდაც იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ყველა ქვეყანაში არსებობს. თუ ლათინური სიტყვა „იუსტიცია“ სამართლიანობასა და კანონიერებას ნიშნავს, შესაბამისი სიტყვა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ენებში პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება, როგორც „დასჯა“. ევროპაში ცენტრალურ ადგილს კანონის უზენაესობის იდეა იკავებს, ხოლო აზიაში ტრადიციული ღირებულებების პირამიდის მწვერვალზე დგას მმართველი, რომელიც ქვეყანას, მაღალი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, ძველი რიტუალების დაცვით უნდა მართავდეს, ხოლო კანონი გამოიყენოს, როგორც სადამსჯელო „მათრახი“. ამასთანავე, ევროპაში ცნება „სამართლიანობა“, როგორც წესი, სოციალურ ქვეტექსტსაც მოიცავს და მას პრიორიტეტულობას ანიჭებს, აზიაში კი გაცილებით მაღლა ეთიკური ქვეტექსტი დგას — იქ სამართლიანობის აღდგენა, უპირველესად, წესრიგისა და ჰარმონიის აღდგენაა.

**დღევანდელი საქართველო არასაკმარისად აზიურია იმისთვის, რომ «აზიური გზა» აირჩიოს და, ამავე დროს, არასაკმარისად ევროპული იმისთვის, რომ «ევროპული გზით» იაროს**

მსგავსი პარალელების გავლება დიდხანს შეიძლება, თუმცა, ალბათ, დროა, პრობლემის არსზე გადავიდეთ. სამხრეთკორეელი პოლიტოლოგი **იუნ მინ ბონი** მიიჩნევს, რომ **თანამედროვე ეპოქაში „აზიური ღირებულებები“ შემდეგია: „კორპორატიული მიდგომა ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტის მიმართ და კონსენსუსი სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ტრადიციული მოწიწება ხელისუფლების მიმართ, სწრაფვა წესრიგის და ჰარმონიის დაცვისკენ, ოჯახის, აგრეთვე, თემის, კოლექტივის და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა, თვითდისციპლინა და საკუთარი თავისთვის შეზღუდვების დაწესება კოლექტივის ინტერესებიდან გამომდინარე, კოლექტიური უფლებების პრიორიტეტულობა ინდივიდუალურთან შედარებით, განათლების განსაკუთრებული მნიშვნელობა, მომჭირნეობა და პატივისცემა უფროსების მიმართ“.** იუნ მინ ბონი მიიჩნევს, რომ ეს ღირებულებები უკეთესობისკენ ცვლის პოლიტიკის და ეკონომიკის მართვის დასავლურ მოდელებს.

ძნელი მისახვედრი არაა, რა იზიდავდა სააკაშვილს ამ სისტემაში, ხოლო მისი მომხრეები ყოველთვის ცდილობდნენ, ხაზი გაესვათ კეთილდღეობის პრიორიტეტულობისთვის უფლება-თავისუფლებებთან შედარებით. მათ, სავარაუდოდ, სურდათ, საქართველოში ისეთი სიტუაცია მიეღოთ, როდესაც მშპ-ს ზრდას „ამომრჩევლის სასწორზე“ გაცილებით დიდი წონა ექნებოდა, ვიდრე მიტინგების დარბევას ან პატიმრების წამებას. „სულ ტყუილად გვაკრიტიკებენ, თუ რატომ ვიღებთ განვითარების აზიურ მოდელს. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო სამხრეთ კორეასთან, თუნდაც ხალხებს შორის ხასიათის მსგავსებაში“, — ამბობდა სააკაშვილი.

გასული საუკუნის 60-იან წლებში სიტუაცია სამხრეთ კორეაში უარესი იყო, ვიდრე ყოფილ აფრიკულ კოლონიებში — ომმა ის მიწასთან გაასწორა: განადგურდა სამრეწველო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის 80%, საბინაო ფონდის ნახევარი, სამთავრობო შენობების სამი მეოთხედი, არანაირი ღირებული ბუნებრივი რესურსი ქვეყანას არ გააჩნდა. სამხრეთკორეული ეკონომიკური სასწაული მსუბუქი მრეწველობის შექმნით დაიწყო, პერანგებით, შარვლებით, რბილი სათამაშოებით — ქვეყანა თანდათან გადაიქცა ერთ დიდ ფაბრიკად, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნედლეულის გადამუშავებას ახდენდა და საექსპორტო პროდუქციას ქმნიდა. ამან ფუნდამენტი შექმნა, შემდეგ დაიწყო კვალიფიციური კადრების მომზადება და ერთი მეორის მიყოლებით მეტალურგიის, გემთმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის განვითარება, შემდეგ საქმე ავტომობილებსა და ელექტრონიკაზე მიდგა. სულ რაღაც 50 წელიწადში სამხრეთ კორეამ, რომელმაც ნოლიდან დაიწყო, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა გახდა.

შესაძლებელი გახდებოდა თუ არა ეს ნახტომი, რომ არა ზემოთ ჩამოთვლილი „აზიური ღირებულებები“? ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია, რომ არააზიურ სახელმწიფოებს მსგავსი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. გერმანიას, მეორე მსოფლიო ომში მიღებული უდიდესი ზარალის მიუხედავად, აღორძინება ნოლიდან ნამდვილად არ დაუწყია.

**დისციპლინირებული და გამძლე მასების გარდა, „განვითარების დიქტატურის“ გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მმართველის ფაქტორიც.** კორეელი გენერალი პაკ ჩონ ჰი სასტიკი დიქტატორი იყო, მაგრამ, სააკაშვილისგან განსხვავებით, მამაცი და შინაგანად პატიოსანი ადამიანი გახლდათ, ამას მისი დაუძინებელი მტრებიც კი აღიარებენ. იგივე შეიძლება ითქვას სინგაპურის გამჭრიახ პრემიერ ლი კუან იუზე, რომელმაც, სხვათა შორის, სააკაშვილს „უკიდურესად ავანტურისტული ლიდერი“ უწოდა. ის და პაკ ჩონ ჰი ატარებდნენ რეფორმებს, რომელთა მთავარ იდეას წარმოადგენდა „დაყრდნობა საკუთარ ძალებზე“, მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება გარე დახმარებაზეა ორიენტირებული, ხოლო მისი მთავარი ლოზუნგი, აგერ 25 წელია, ჟღერს, როგორც „ბიძია, დაგვეხმარე!“

არიან თუ არა ქართველები ან მათი მეზობლები „საკმარისად აზიელები“ იმისთვის, რომ იმავე გზით წავიდნენ? სავარაუდოდ, არა — მათ ღირებულებების სხვა სისტემა აქვთ, განსხვავებული მიდგომა შრომის, დისციპლინის, თავისუფლების, ინდივიდისა და კოლექტივის ურთიერთობის მიმართ (თუმცა კოლექტივიზმი ქართველებისთვის მიუღებელი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ავტორი სწორედ ასე ფიქრობს). ცხადია, არის შეხების წერტილებიც, მაგალითად, განსაკუთრებული დამოკიდებულება ოჯახის მიმართ, თუმცა განსხვავება გაცილებით მეტია.

ყველაზე პარადოქსული, ალბათ, ისაა, რომ **დღევანდელი საქართველო არასაკმარისად აზიურია იმისთვის, რომ „აზიური გზა“ აირჩიოს და, ამავე დროს, არასაკმარისად ევროპული იმისთვის, რომ „ევროპული გზით“ იაროს.**

მსჯელობა ამ თემაზე მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პროცესმა მეტად არასახარბიელო შედეგამდე მიგვიყვანა. უნივერსალური რეცეპტებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენებამ, მარტივად რომ ვთქვათ, არ გვიშველა. ამ სიტუაციაში, ალბათ, მნიშვნელოვანია, დავფიქრდეთ იმაზე, რომ **რეფორმატორებმა აზიაში ადგილობრივი სპეციფიკა და მენტალიტეტის თავისებურებები გაითვალისწინეს და სწორედ ის მცირერიცხოვანი კოზირები გამოიყენეს, რომლებიც გააჩნდათ. შეგვიძლია თუ არა ჩვენი უნიკალური პლუსები ვიპოვოთ და იგივე გავაკეთოთ? თუმცა მთავრობა ამაზე ნაკლებად ფიქრობს და, სავარაუდოდ, მიაჩნია, რომ სავალუტო ფონდი ან რომელიმე სხვა ორგანიზაცია მალე (მორიგ) „ჯადოსნურ რეცეპტს“ შემოგვთავაზებს.**

**ევროპაში ცენტრალურ ადგილს კანონის უზენაესობის იდეა იკავებს, ხოლო აზიაში ტრადიციული ღირებულებების პირამიდის მწვერვალზე დგას მმართველი, რომელიც ქვეყანას, მაღალი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, ძველი რიტუალების დაცვით უნდა მართავდეს, ხოლო კანონი გამოიყენოს, როგორც სადამსჯელო «მათრახი». ამასთანავე, ევროპაში ცნება «სამართლიანობა», როგორც წესი, სოციალურ ქვეტექსტსაც მოიცავს და მას პრიორიტეტულობას ანიჭებს, აზიაში კი გაცილებით მაღლა ეთიკური ქვეტექსტი დგას — იქ სამართლიანობის აღდგენა, უპირველესად, წესრიგისა და ჰარმონიის აღდგენაა**

**ლუკა ნემსაძე**

ტვინების გამორეცხვა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1985 წელს „უკან მომავალში“-ს პირველი ფილმის გამოშვება, ანუ მისი „იდეის“ გაჟონვა ჰოლივუდში ადასტურებდა იმას, რომ აშშ-ის სპეცსამსახურებმა დაასრულეს მზადება მასშტაბური დივერსიისა სსრკ-ის დაშლის შესახებ და დარწმუნებულნი იყვნენ პროცესის შეუქცევადობაში. ეს თავდაჯერებულობა ეფუძნებოდა არა მხოლოდ კადრების წარმატებით გადაბირებასა და ჩანერგვას ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობასა და კულტურის ინსტიტუტებში, სასურსათო და სამრეწველო საბოტაჟს, სიმართლის მსგავსი სიცრუის საინფორმაციო ნაკადის გაძლიერებას და სხვ., არამედ ცოდნის ფსიქოლოგიის სფეროში, რომელიც იძლეოდა ქვეყანაში ვითარების გაუარესების გარანტიას წარსულში „ოპერატიული“ ჩარევის შემდეგ.**

# ისტორიის ფალსიფიკაცია, როგორც მასობრივი განადგურების იარაღი

**გთავაზობთ ვებგვერდ Rusvesna.su-ზე პავლე გორტკაკოვის ავტორობით გამოქვეყნებულ მასალას სათაურით „როგორ ებრძვის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო რუსეთს ჰოლივუდური ფილმებისა და ისტორიის ფალსიფიკაციის დახმარებით“. მასში გამოთქმული მოსაზრებები და ახლო წარსულის ანალიზი დამაფიქრებელია არა მხოლოდ რუსეთის მოსახლეობისთვის, არამედ ქართველი საზოგადოებისა და, საზოგადოდ, მსოფლიოს ნებისმიერი ერისთვის, რომლებიც „სტრატეგიულ პარტნიორად“ მიიჩნევენ აშშ-ს.**



„გთავაზობთ კონსპიროლოგიურ ანალიზს ჰოლივუდის ბლოკბასტერებსა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) მიერ ჩატარებულ ოპერაციებს შორის.

ცსს ჰოლივუდის „განსაკუთრებით დაახლოებულ“ პროდიუსერებსა და რეჟისორებს, სხვა ყველაფერთან ერთად, ფილმების გადასაღები იდეებითაც ამარაგებს.

ამ იდეებს იღებენ სპეცსამსახურების მიერ შემუშავებელი ან არარეალიზებული სპეცოპერაციებიდან; გადაამუშავებენ, რათა არ მოხდეს სპეცოპერაციის მონაცემების გასაჯაროება და შემდეგ წარმოგვიდგენენ, როგორც უწყინარ თავგადასავალს.

ერთ-ერთი ასეთი **ფილმი, რომლის გარეგანი უწყინარობის უკან იმალება აშშ-ის (და ორიოდე განსაკუთრებით დაახლოებული სატელიტის) საშინელი დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ, არის „უკან მომავალში“.**

ფილმის არსი არის ის, თუ როგორ ცვლის წარსულის მოვლენების მსვლელობაში უმნიშვნელო ჩარევა მომავალს. ერთი მოქმედებით იწყება „ჯაჭვური რეაქცია“, რომელსაც შეუძლია „დაღუპოს მთელი ოჯახი“, წაიკითხე — ქვეყანა. **ეს კარგად არის ნაჩვენები ფილმის მეორე ნაწილში, სადაც ამერიკულ ქალაქ ჰილ ველის, მის „უპირველეს მცხოვრებთა“ და „ამერიკის ცოცხალ ლეგენდებს შორის უდიდეს“ ბიფთან ერთად, შემთხვევითი მოვლენების შედეგად ცუდ პარალელურ მომავალში გადასვლა ძალიან ჰგავს 1990-იანი წლების რუსეთს, „განმათავისუფლებელი“ ელცინის ხელმძღვანელობით.**

ანალოგიურს, ოღონდ არა კინოში, არამედ რეალურ ცხოვრებაში, აკეთებს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოც.

საკმარისია, **ჩავუღრმავდეთ წარსულს, გავაყალბოთ კონკრეტული მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შევცვალოთ პლუსები მინუსებით და, „სიტყვის თავისუფლებით“ (ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის — სადავოდ, საკითხის — სადისკუსიოდ გამოცხადებით) აღჭურვილებმა, დავიწყოთ წინასწარ დეფორმირებული ინტერპრეტაციის საზოგადოებისთვის თავს მოხვევა.**

და დაიწყება შემდეგი განსაცვიფრებელი მეტამორფოზები:

**სსრკ-ში შიმშილი, რომელიც პროვოცირებული იყო დასავლეთის სასურსათო ბლოკადით, გარდაიქმნება უკრაინელთა „გოლოდომორად“ (მსხვერპლი გადაიქცევა მოძალადედ); ფაშიზმისგან მსოფლიოს გადამრჩენი იქცევა ტირანად (გმირი — ბოროტმოქმედად), ხოლო ხალხი, რომელმაც პლანეტა კოლონიალიზმისა და რასიზმისგან გაათავისუფლა, აღმოჩნდება „პათოლოგიური აგრესორი“, „გენეტიკური ნარჩენი“ და ა.შ.**

ზემოჩამოთვლილს, შეკუმშული ფორმით, შეიცავს ფილმის ნახევრადშეშლი გმირის — დოქტორ ბრაუნის სიტყვები: **„დროის კონტინუუმი დაირღვა — აღმოცენდა ახალი მოვლენების თანამიმდევრობა, რომელმაც შეცვალა სინამდვილე“.**

ფაქტობრივად, წარმოებს მილიონობით ადამიანის აზროვნების „ნეირომოდიფიკაცია“ მათი მომავლის აშშ-ის სასარგებლოდ შეცვლის მიზნით.

**ეს კოლოსალური მასშტაბის ოპერაცია მოიცავს პლანეტას: ისტორიის ფალსიფიკატორების სია უსასრულოა, შედეგები — კატასტროფული, მსხვერპლი — მილიონობით.**

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის აშშ-სა და ევროპაში მუშაობს ასეულობით დახურული ინსტიტუტი, რომლებიც სწავლობენ თითოეული მსხვერპლი ქვეყნის ინსტიტუციურ საყრდენებს (კულტურა, ისტორია, განათლება, ეკონომიკა), რათა მონახონ მათი გათქვეფისა და დანგრევის შესაძლებლობები ამ ქვეყნის დამორჩილებისა და კოლონიზაციის მიზნით.

**სსრკ-ში შიმშილი, რომელიც პროვოცირებული იყო დასავლეთის სასურსათო ბლოკადით, გარდაიქმნება უკრაინელთა «გოლოდომორად» (მსხვერპლი გადაიქცევა მოძალადედ); ფაშიზმისგან მსოფლიოს გადამრჩენი იქცევა ტირანად (გმირი — ბოროტმოქმედად), ხოლო ხალხი, რომელმაც პლანეტა კოლონიალიზმისა და რასიზმისგან გაათავისუფლა, აღმოჩნდება «პათოლოგიური აგრესორი», «გენეტიკური ნარჩენი» და ა.შ.**



**ერთ-ერთი ეფექტიანი ხერხია წარსულის დეფორმაცია. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით აქტიურდება მტრობა საზოგადოების შიგნით. ერთ ნაწილს ეჩვენება, რომ მათ, ბოლოს და ბოლოს, შეიტყვეს სიმართლე“, მეორე ნაწილი კი ამ ახალ „სიმართლეს“ დივერსიად მიიჩნევს, მესამე პირველებსაც და მეორეებსაც მტრებად აღიქვამს, მეოთხე ნაწილს კი ყველას შერიგებას ცდილობს (საქართველოშიც ხომ ასეა? — ნ.კ.).**

გარედან ინსპირირებული უთანხმოებისგან მოსახლეობა ფსიქოლოგიურ სტრესშია, ადამიანები, განსაკუთრებით — ახალგაზრდა თაობა, კარგავს დაბალანსებული მსოფლმხედველობის მკაფიო ორიენტირებს. საზოგადოება დეგრადაციას განიცდის და სახელმწიფო სუსტდება. ეს ყველაფერი იწვევს სამოქალაქო ანტაგონიზმს, ქმნის რეალური აფეთქების წინაპირობას ან ქვეყნისა და ხალხის ბედისადმი დანაშაულებრივ გულგრილობას.

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფსიქოლოგ-ტერმინატორებისთვის ნგრევის მთავარი მიზანი მსოფლმხედველობა და ორიენტირების სისტემაა.**

**ზიგმუნდ ფროიდმა,** რომლის მასხრად აგდებასაც ცდილობდა ჩვენი ქვეყნის ლიბერალური ფსევდოინტელიგენცია მორწმუნე პატრიოტებთან ერთად, თქვა: „ადამიანის არსებობისთვის დამახასიათებელია ორიენტაციის სისტემის მოთხოვნა“, **სწორედ ამიტომ შეიქნა ნგრევის პირველი მიზანი ზნეობრივი ორიენტირების მწყობრი საბჭოთა სისტემა.**

დასავლეთის ამ ფსიქოლოგიური აგრესიის შეუფასებლობას კატასტროფულ შედეგებამდე მივყავართ. **ისტორიული დივერსიებისა და აზროვნების ნეირომოდიფიკაციის დასავლეთის დახურულ ინსტიტუტებში მუშაობენ ნამდვილი მეცნიერები — დამახინჯებული სინდისით, მაგრამ მაინც მეცნიერები.** ისინი წარმატებით ასრულებენ ცსს-ს შეკვეთას საცდელი ადამიანების მართულ ბიომასად გარდაქმნის შესახებ. ამ ბიომასას ძალუძს, ხელოვნურად მოტივირებული აგრესიით გაანადგუროს თავისი და სხვისი მეხსიერება, ღირსება, ჯანმრთელი აზროვნება და სიმართლე, როგორც ოპონენტებისა და სახელმწიფოებრიობის ფიზიკური განადგურების პირველი საფეხური, რაც ხდება კიდეც დღეს ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში. ანალოგიური რამ ხდებოდა რუსეთშიც 1990-იან წლებში.

როგორც გენმოდიფიცირებულ მცენარეებს, ნეირომოდიფიცირებულ არსებებსაც აქვთ მედეგობა გარეგანი ზემოქმედების მიმართ. არანაირ ანალიზს, არანაირ მსჯელობას არ შეუძლია შეარყიოს მათი რწმენა „ახალი სიმართლის“ (სიმართლის მსგავსი ტყუილის) მიმართ, ამიტომ მეცნიერულად მოტყუებული მოქალაქეების უმრავლესობა სამუდამოდ რჩება სპონტანურად მტრულად განწყობილი, როდესაც სიტყვას გადაუკრავენ ლოგიკასა და საღ აზრზე.

მაგალითად, **80 წლისწინანდელი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა „გამოტირება“ ხელს არ უშლის ამ მოქალაქეებს დღეს, აპლოდისმენტები არ დაიშურონ მკვლელობისთვის იმ ადამიანებისა, რომლებსაც სურთ, ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე ან წინ აღუდგნენ ტერორიზმსა და ფაშიზმს.**

**ეს ადასტურებს ხელოვნურად გაჭიანურებული „გამოტირების“ ხელოვნურ ხასიათს, რომელიც გამოწვეულია მოტირალთა არა გულწრფელი მწუხარებითა და ჰუმანიზმით, არამედ მათი პატრონების გეოპოლიტიკური ამოცანებით.** მაგალითად, რუსეთის უპრეცედენტო ლიბერალური ძარცვა და განადგურების მცდელობა გადაფარონ „სტალინურ ტირანიასთან ბრძოლის“ „პოზიტიური“ წესრიგით, იმ ტირანიასთან, რომელიც, თუკი მართლა იყო, უკვე დიდი ხანია, დამხობილია სხვა ტირანიით.

ამრიგად, **ადამიანები, როგორც საცდელი ცხოველები, სჩადიან მათი და სახელმწიფოს ერთიანობის საწინააღმდეგო საქციელს.**

ნეირომოდიფიცირებულ ტვინებში მათი პატრონების ყოველი ახალი ბარბაროსობის შემთხვევისას ადვილად იწერება ახალი „პროგრამები“ და „დებულებები“, ამიტომ დასავლეთის აგრესიის გამართლებისა და საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მოქმედებების დაგმობის მათი ნებისმიერი არგუმენტი, „ფაქტი“, „მტკიცებულება“... მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. შაბლონებს აქვს უცხო „თვალსაზრისების“ პირდაპირ გადმოღებისა და ბრმად მინდობის ნიშნები. ამიტომ მათთან, როგორც პატივსაცემ და საინტერესო ოპონენტებთან, უნაყოფოა კამათი; უაზრობაა, ელოდო მათი მოღვაწეობის დადებით შედეგს დასავლეთის მიერ ოკუპირებულ სახელმწიფო თანამდებობებსა და კომერციულ საწარმოებში. ▶

**დღეს ნატო, ფაქტობრივად, გადაიქცა ანტირუსულ სამხედრო ალიანსად. აშშ-ის პარტნიორ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობასაც რეგულარულად ურეცხავენ ტვინს, ანტირუსული ალიანსის გაფართოება „აგრესიად“ არ მიაჩნიათ, რუსეთის ისეთ მეგობარ ქვეყნებზე თავდასხმაც კი, როგორიც არის ერაყი, ლიბია და სირია, სათვალავში არ შედის. დასავლური მასმედია კი დუმს იმაზე, რომ აშშ სინამდვილეში ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსთვის.**

საფრთხე მსოფლიოსთვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ყველა ნეირომოდიფიცირებულს შეეძლო, ყოფილიყო საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი ნორმალური მოქალაქე (როგორებიც იყვნენ სსრკ-ში), ავადსახსენებელ დასავლეთს რომ არ ჰქონოდა მათ ყურებთან წვდომა, ან რუსეთს ჰქონოდა ნებისყოფა, გაეთვითცნობიერებინა თავსმოხვეული თვალსაზრისის მცდარობა, რომ სიტყვის თავისუფლება ხარისხის კონტროლისა და პროპორციების გარეშე არის „უზენაესი ფასეულობა“.

**რაც დიდხანს დარჩება ეს შეუმჩნეველი, მით გარდაუვალი და მწვავე იქნება კონფრონტაცია ჯგუფებს, სტრუქტურებს, დიასპორებს, საიდუმლო თუ ვითომ „საზოგადოებებს“ შორის, რომელთა უმრავლესობას აქვს ანტისაზოგადოებრივი, მარგინალური პრინციპები.** ეს საზოგადოებები შექმნილია თავიანთ ორბიტაზე ჩასათრევად იმ ადამიანებისა, რომლებიც სახელმწიფოს ზნეობრივი ზრუნვის გარეშე დარჩნენ. **სწორედ ამიტომ ანადგურებს დასავლეთი გააფთრებით ხსენებასაც კი სახელმწიფო იდეოლოგიისა, რომელსაც შეუძლია ერის გამოჯანმრთელება და შეკავშირება.**

1985 წელს „უკან მომავალში“-ს პირველი ფილმის გამოშვება, ანუ მისი „იდეის“ გაჟონვა ჰოლივუდში, ადასტურებდა იმას, რომ აშშ-ის სპეცსამსახურებმა დაასრულეს მზადება მასშტაბური დივერსიისა სსრკ-ის დაშლის შესახებ და დარწმუნებულნი იყვნენ პროცესის შეუქცევადობაში.

ეს თავდაჯერებულობა ეფუძნებოდა არა მხოლოდ კადრების წარმატებით გადაბირებასა და ჩანერგვას ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობასა და კულტურის ინსტიტუტებში, სასურსათო და სამრეწველო საბოტაჟს, სიმართლის მსგავსი სიცრუის საინფორმაციო ნაკადის გაძლიერებას და სხვ., არამედ ცოდნის ფსიქოლოგიის სფეროში, რომელიც იძლეოდა ქვეყანაში ვითარების გაუარესების გარანტიას წარსულში „ოპერატიული“ ჩარევის შემდეგ.

**აშშ მსგავს ცდებს წარმატებით ატარებდა ბევრი ქვეყნის მოსახლეობაზე, აგრეთვე, თავის მოქალაქეებზე, რომლებმაც შედეგად გულწრფელად დაიჯერეს, თავიანთი ქვეყნის „გამარჯვება“ მეორე მსოფლიო ომში, მთვარეზე გაფრენა, ირწმუნეს სიტყვის თავისუფლებისა და კერძო კაპიტალის...**

უკვე 1985 წელს დასავლეთი, პრაქტიკულად, 100%-ით იყო მზად სსრკ-ის დასაშლელად, ხოლო 1989 წელს, მეორე ფილმის გამოსვლის მომენტში, დეტალურად იცოდა, როგორ მოხდებოდა ეს. დარჩენილი იყო ბოლო მიზანი — სსრკ-ის უმაღლესი პოსტი. **გორბაჩოვის** მოყვანის შემდეგ პროცესები დაჩქარდა.

„პლურალიზმითა“ და „საჯაროობით“ („გლასნოსტ“ — „სიტყვის თავისუფლების“ ადაპტირებული ვარიანტი) გამოწვეული გორბაჩოვის სამოქალაქო ანტაგონიზმი სწრაფად გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში და დასრულდა სახელმწიფო გადატრიალებითა და დედაქალაქის ცენტრში ელცინის მიერ ტანკებიდან გასროლით საკუთარი მოქალაქეების მიმართ და იმავე ელცინის მიერ კავკასიაში გაჩაღებული ომით.

**სახელმწიფოს ასეთ შეუქცევად დაცემას იწვევს მისი მოქალაქეების აზროვნებაზე ბოროტი განზრახვით ნეიროინფორმაციის ზემოქმედება.** მსგავსი რამ ხდებოდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის მთელ სივრცეზე. არანაირ სტიქიას არ შეუძლია გამოიწვიოს ასეთი მასშტაბური და ხანგრძლივი ნგრევა! თავისი წარსულის ძალადობრივი გზით „გადასახარშავად“ ფსიქოლოგიური ჩარევის ძალა რუსეთმა საკუთარ ტყავზე იწვნია და ეს ხდება დღესაც.

და **არაფერი შეიცვლება მტრების საქციელში, სანამ რუსეთი არ დაუბრუნდება თავის ისტორიას და არ გაათვითცნობიერებს, რომ სხვის წარსულში ქექვა გამოწვეულია მხოლოდ დასავლეთის სურვილით, თავისი საშინელი დანაშაულები გადააბრალოს მათ, ვინც ყველაფერს აკეთებდა ამ დანაშაულების თავიდან ასაცილებლად.**

მოძალადეებისა და მკვლელებისთვის ხელსაყრელია სიბნელე, თაღლითებისთვის — გულუბრყვილობა, ისევე, როგორც აშშ-ისთვის — გაუნათლებლობა.

**რუსეთმა მწვანე შუქი უნდა აუნთოს სიმართლეს (უწინარესად, თავის სახლში), რომლის მეშვეობითაც მსოფლიოს ყველა დამნაშავისთვის არაკომფორტული იქნება შავბნელი საქმეების კეთება.** ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ: დასავლეთის აგრესიის შედეგია არა მხოლოდ გადატრიალებებითა და სამოქალაქო ომებით გამოწვეული ურიცხვი მსხვერპლი იუგოსლავიაში, ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში, არამედ მის სინდისზეა დიდი სამამულო ომის მსხვერპლიც, მათ შორის სსრკ-ში განხორციელებული რეპრესიებიც, რომელსაც დასავლეთმა სახელი გადაარქვა და განზრახ უწოდა „სტალინური რეპრესიები“.

1936 წელს გერმანიამ და იაპონიამ გააფორმეს ანტიკომინტერნული პაქტი, რომელსაც 1937 წელს შეუერთდა იტალია, ფინეთი, რუმინეთი, თურქეთი, ბულგარეთი, ხორვატია, სლოვენია, ესპანეთი, უნგრეთი. სახელდობრ, ამ ალიანსის შექმნა მიიჩნია საბჭოეთის ხელმძღვანელობამ დასავლეთის საფინალო ნაბიჯად მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების გზაზე, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა სსრკ-ისა და სოციალიზმის განადგურება.

სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად და **მოსახლეობის მასშტაბურად დასაცავად მოსალოდნელი ფაშისტური აგრესიისგან, სტალინის მთავრობა იძულებული შეიქნა, დაეწყო ქვეყნის გაწმენდა მეხუთე კოლონისგან. ძალები არათანაბარი იყო — მთელი დასავლეთი ერთი ქვეყნის წინააღმდეგ, ამიტომ ნებისმიერი შეცდომა და მტრის შეუფასებლობა შეიძლებოდა საბჭოთა ხალხის ამოჟლეტით დასრულებულიყო. ეს ნიშნავს იმას, რომ 37 და 38 წლების რეპრესიებში დამნაშავეა არა სტალინი, არამედ ქვეყანას სახიფათოდ დამუქრებული დასავლეთი.**

„სტალინური რეპრესიები“ „ბოროტების იმპერია“ და სხვ., სახელმწიფოს გამანადგურებელი ამერიკული ფუნდამენტური ფალსიფიკაციაა.

**ნეირომოდიფიცირებულები ამის აღქმას ვერ შეძლებენ, არა იმიტომ, რომ ამის გაგება რთულია, არამედ იმიტომ, რომ გაცილებით რთულია, აღიარო სიმართლე შენს საშინელ შეცდომებზე.** რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობა ხომ მომხმარებელია ამა თუ იმ ხარისხით, ესე იგი მსხვერპლია ამერიკული წარმოების ინფორმაციული ინფექციისა.

**ყველაფერი ცუდი, რაც მათ ბოლო 30 წლის განმავლობაში შეიტყვეს თავიანთ ქვეყანაზე, მტრული გამონაგონი და მეცნიერული სიცრუეა.**

„საზოგადოებრივი აზრით“ ჩახშობილი სიმართლის შინაგანი ხმა ცდილობს რა ცნობიერებებში შეღწევას, ქმნის ნერვიულ დაძაბულობას, რომელიც გადაიზრდება პათოლოგიურ აგრესიაში საჯაროდ წარმოთქმული ნებისმიერი მართალი სიტყვის წინააღმდეგ.

აი ასე მუშაობს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი სისტემა, სიცრუისა და სიგიჟის ამერიკული სისტემა“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



**სახელმწიფოს ასეთ შეუქცევად დაცემას იწვევს მისი მოქალაქეების აზროვნებაზე ბოროტი განზრახვით ნეიროინფორმაციის ზემოქმედება**

# ამერიკელი პოლიტოლოგი: ან ნატო დაიშლება, ან მსოფლიოს მოეღება ბოლო!




**„ნატო მრავალი წლის წინათ უნდა დაშლილიყო“, — ამბობს ამერიკელი პოლიტოლოგი ერიკ ზიუსი პორტალ The Duran-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ნატო — ყველაზე დიდი საფრთხე მსოფლიოსთვის“.**

„ბრიტანულმა გაზეთმა „Dayli Mail“-მა 8 ნოემბერს განაცხადა: „ნატო ეუბნება ევროპას, რომ უნდა მოემზადოს „მასშტაბური მობილიზაციისთვის“. ალიანსის ხელმძღვანელები მოითხოვენ, ყველა გზა, ხიდი და სარკინიგზო მაგისტრალი მოწესრიგდეს და გაუმჯობესდეს. ეს საჭიროა იმისთვის, რომ სწრაფად მოხდეს ტანკებისა და მძიმე სატრანსპორტო საშუალებების მობილიზება“.

**სინამდვილეში ეს კეთდება რუსეთში შეჭრის მიზნით, მაგრამ გაზეთმა ეს ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს მიზანი მხოლოდ და მხოლოდ „რუსეთის აგრესიაზე“ პასუხია.**

სტატიაში შემდეგ წერია:

„ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** მოუწოდა ევროპას, განაახლოს ინფრასტრუქტურა, რადგან ალიანსი „ცივი ომის“ პერიოდიდან პირველად აპირებს თავისი სამეთაურო სტრუქტურის გადაწყობას. ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე სტოლტენბერგმა თქვა: „ნატოს სჭირდება განახლებული სამეთაურო სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს ძალების განლაგება საჭირო ადგილზე საჭირო დროს. ჩვენ, აგრეთვე, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყველა გზა და ხიდი კარგ მდგომარეობაშია და შევძლებთ სატრანსპორტო საშუალებების, ტანკებისა და მძიმე მოწყობილობების სწრაფად მობილიზებას. ნატოს თავისი მოთხოვნები აქვს სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მიმართ“.

ამრიგად, **ნატო არც კი მალავს, რომ დღესაც განაგრძობს ცივ ომს რუსეთის წინააღმდეგ.**

ალიანსი შეიქმნა „ევროპის დასაცავად საბჭოთა გავლენისგან“ და, შესაბამისად, უნდა დაშლილიყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მაგრამ ასე არ მოხდა. ამის ნაცვლად წინ წამოიწია დასავლელი ბიზნესმენების კორპორაციულმა ინტერესებმა და ახლა ცივი ომი კიდევ უფრო გაჩაღდა.

**ესკალაცია, რომელიც ხორციელდება ცრუ საბაბით, თითქოს საფრთხეს ქმნის „რუსული აგრესია“, აიძულებს რუსეთს, ანალოგიურად უპასუხოს და გაზარდოს თავისი სამხედრო ბიუჯეტი, აგრეთვე, გამართოს სამხედრო სწავლებები. თავის მხრივ, დასავლეთის ქვეყნები მოსკოვის საპასუხო ზომებს „რუსეთის საფრთხის“ გაძლიერებას უწოდებენ, თითქოს თვითონ ნატომ არ აიძულა რუსეთი, დაეწყო თავისი სამხედრო თავდაცვის გაძლიერება.**

სამხედრო მრეწველობის ისეთი ამერიკული კომპანიები, როგორებიც არის Lockheed Martin-ი და BAE, ძალიან არიან დამოკიდებულნი ცივი ომის ატმოსფეროს დაძაბვაზე. კონფლიქტებისა და ომის გაჩაღება მათთვის გამდიდრების შესანიშნავი შესაძლებლობაა. ამაში უოლ სტრიტიც აქტიურად მონაწილეობს და ამერიკელი მილიარდერების უმრავლესობას აქვს თავისი სამხედრო ინვესტიციები.

ეკონომიკური თეორია ყველა შესყიდვასა და გაყიდვას განიხილავს, როგორც „ეკონომიკურ ზრდას“. ეს ნიშნავს, რომ მასობრივი მკვლელობების ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვა იგივე „ეკონომიკური ზრდაა“, როგორც, მაგალითად, ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ამერიკელი ნეოლიბერალები ისევე უჭერენ მხარს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, როგორც ნეოკონსერვატორები. განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ ლიბერალები ამ საკითხს განიხილავენ არა საგარეო პოლიტიკის („დაპყრობა“), არამედ საშინაო პოლიტიკის („ეკონომიკური ზრდა“) კუთხით. ორივე პერსპექტივა არისტოკრატებისა და მილიარდერების ინტერესებს ემსახურება. ეს ნეოლიბერალურ-ნეოკონსერვატიული კონსენსუსი დასავლეთში სამხედრო კორპორაციებს უნარჩუნებს მოგებას. ეს არის ე.წ. ვაშინგტონური კონსენსუსი. **ჯერ კიდევ 1991 წელს, როცა სსრკ-ის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი იყო და საბჭოთა კავშირის დაშლა, ნათლად ჩანდა, ნატოში 16 წევრი ქვეყანა იყო. შემდეგ ათწლეულში, ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში, ნატომ აქტიურად დაიწყო გაფართოება და მიიერთა ქვეყნები, რომლებიც ადრე ან სსრკ-ის ნაწილი იყო, ან მისი მოკავშირე.**

საბჭოთა კავშირში გაერთიანებული იყო შემდეგი ქვეყნები: **რუსეთი, ბელორუსია, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდავეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი.** ნატომ ანტირუსულ ალიანსში გადაიბირა: ლიტვა (2004 წ.), ლატვია (2004 წ.) და ესტონეთი (2004 წ.), ახლა უკრაინისა და მოლდოვის გადაბირებას ცდილობს.

**დღეს ნატო, ფაქტობრივად, გადაიქცა ანტირუსულ სამხედრო ალიანსად. აშშ-ის პარტნიორ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობასაც რეგულარულად ურეცხავენ ტვინს, ანტირუსული ალიანსის გაფართოება „აგრესიად“ არ მიაჩნიათ,** რუსეთის ისეთ მეგობარ ქვეყნებზე თავდასხმაც კი, როგორიც არის ერაყი, ლიბია და სირია, სათვალავში არ შედის. **დასავლური მასმედია კი დუმს იმაზე, რომ აშშ სინამდვილეში ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსთვის.** რუსეთის ყოფილი 10 მოკავშირე ახლა ანტირუსულ ალიანსშია. ამასთანავე, ნატო რუსეთს „აგრესიაში“ ადანაშაულებს, არავინ ლაპარაკობს იმაზე, როგორი რეაქცია ექნებოდა აშშ-ს, თუ რუსეთი სათავეში ჩაუდგებოდა სამხედრო ალიანსს, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდნენ, მაგალითად, მექსიკა და კანადა, და ამ ქვეყნებს მოსთხოვდა, გაემაგრებინა ხიდები და ინფრასტრუქტურა სწრაფი სამხედრო მობილიზებისთვის.

როდის მოეღება ბოლო ნატოს არსებობას? რამდენი დრო დარჩა მესამე მსოფლიო ომამდე? ან ნატო დაიშლება (რაც მრავალი წლის წინათ უნდა მომხდარიყო), ან მსოფლიოს მოეღება ბოლო იმაზე გაცილებით ადრე, ვიდრე ჩვენ გვგონია“.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

სახელი მათი ლეგიონია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლონდონის მოდის კვირეულზე თურქმა დიზაინერმა დილარა ფინდიკოღლუმ წარმოადგინა თავისი კოლექცია „გაზაფხული-ზაფხული — 2018“, და ეს იყო ნამდვილი სატანისტური „შავი მესა“. ღონისძიება ოკულტური და სატანური სიმბოლიკის თანხლებით ჩატარდა ლონდონის წმ. ანდრია მოციქულის სახელობის ტაძარში და უკვე დაუფარავად შეაჯამა ყოველივე, რაც სინამდვილეში ხდება მოდის სამყაროში და არამხოლოდ მოდის სამყაროში, არამედ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.**

# შავი მესა: სატანისტური მოდის ჩვენება ტაძარში ლონდონის მოდის კვირეულზე

**ქრისტიანული ფასეულობებისა და ღირებულებების უარყოფით კაცობრიობა უფსქკრულისკენ მიემართება, ამას მოწმობს ორიოდე თვის წინათ ლონდონის ერთ-ერთ ტაძარში გამართული ე.წ. მოდის კვირეული, რომელსაც თავისუფლად შეიძლწბა ეწოდოს სატანიზმის ზეიმი.**

ლონდონის მოდის კვირეულზე თურქმა დიზაინერმა **დილარა ფინდიკოღლუმ** წარმოადგინა თავისი კოლექცია გაზაფხული-ზაფხული — 2018, და ეს იყო ნამდვილი სატანისტური „შავი მესა“. ღონისძიება ოკულტური და სატანური სიმბოლიკის თანხლებით ჩატარდა ლონდონის წმ. ანდრია მოციქულის სახელობის ტაძარში და უკვე დაუფარავად შეაჯამა ყოველივე, რაც სინამდვილეში ხდება მოდის სამყაროში და არამხოლოდ მოდის სამყაროში, არამედ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

მართალია, **დილარა ფინდიკოღლუ** „მოდის სამყაროში მეამბოხედ“ ითვლება, ის მაინც სრულიად შეესაბამება დარგის ფილოსოფიას. ის მეამბოხე არ არის, აკეთებს იმას, რასაც მისგან ელიან „ისინი“.

ამავე მიზეზით, ისეთი სახელგანთქმული პიროვნებები, როგორებიც არიან რიანა, ეფ-კი-ეი ტვიგსი და გრაიმსი ფინდიკოღლუს შექმნილ სამოსს ატარებენ.



**ეს მოდელი გამოწყობილია პატარძლის კაბაში, მის სახეზე კი გამოსახულია სიგილიუმი.**

სიგილიუმი — ეს არის სიმბოლო (ან რამდენიმე კონკრეტული სიმბოლოსა თუ გეომეტრიული ფიგურის კომბინაცია), რომელსაც აქვს მაგიური ძალა. სიგილიუმს სულების ან დემონების გამოსაწვევად და სამართავად იყენებდნენ მოგვები, ალქიმიკოსები და შუასაუკუნეების სხვა „მეცნიერები“. ყველაზე ცნობილი სიგილიუმები წარმოდგენილია მაგიურ და ალქიმიურ წიგნებში (ძირითადად — დემონოლოგიაში): „მეფე სოლომონის მცირე გასაღები“, „მოსეს მე-6 და მე-7 წიგნის ბეჭდები“, „შავი და თეთრი მაგიის სიგილიუმები“ და სხვ., ყველაზე ცნობილი სიგილიუმი კი არის პენტაგრამა.



**პოდიუმზე გამოდის ბრუკ ქენდი. ამ ღონისძიებისთვის ეკლესია ოკულტურ ტაძრად, უფრო სწორად, მასონურ ლოჟად გადააქციეს.**

ფონი — ეს, ძირითადად, მასონური სიმბოლოების ნარევია. ყოველ მხარეს განთავსებულია მასონური ორმაგი ბოძები. ბოძებს შორის არის ასო G გადმობრუნებული პენტაგრამით. მის ქვეშ, ჰექსაგრამაში ყოვლისმხედველი თვალია, მოთავსებული. იქვეა მასონური კვადრატი და კომპასი. ამ მასონურ ნაზავს ამთავრებს პოდიუმი, რომელიც ჭადრაკივით არის მოხატული. ეს კლასიკური მასონური სურათია.

ამ ძლიერ ოკულტურ კონტექსტში მოდელები ჩაცმულნი და მორთულნი იყვნენ უამრავი სიმბოლოთი. რა თქმა უნდა, ეს უნდა შეხამებოდა დღის მიმდინარე წესრიგს: ანდროგინულობა და გენდერული როლების აღრევა.




**ლუციფერის სიგილიუმი.**

განსაკუთრებული სიგილიუმი მოდელის შუბლზე მოგვაგონებს ლუციფერის სიგილიუმს. კულონი, რომელიც შეიცავს ლუციფერის სიგილიუმს (ასევე ცნობილია, როგორც სატანის ბეჭედი).

მოკლედ, ეს მოდელი არის „სატანის პატარძალი“.



**ამ მოდელს აცვია რიტუალური წითელი კაბა დიდი პენტაგრამით, რომელიც მის სახეზეა გამოსახული.**



**ეს მოდელი, რომელიც სატანის რქების წყვილით არის „დამშვენებული“, ტაძარში საზეიმოდ მოაბიჯებს.** გარდა ამისა, ამ მოდელის სახეზეც სიგილიუმია გამოსახული.



**ამ ბიჭ-ვამპირს სიგილიუმი გამოსახული აქვს შუბლზე. მის მოსასხამზე კი ვხედავთ დაცემულ ანგელოზს.**

დაცემული ანგელოზების სიმბოლო, უპირველეს ყოვლისა, ლუციფერზე მიანიშნებს.



**ვიოლეტ ჩაჩკი — ამერიკელი ტრანსვესტიტი დრაკონის წითელ მორთულობაში ... და ეშმაკის რქებით. და ეს ყველაფერი ხდება ეკლესიაში.**

მესას ასრულებენ რომის კათოლიკურ ეკლესიაში, ხოლო შავ მესას — სატანურში. სატანური შავი მესა გამოირჩევა ქრისტიანული ობიექტების შებილწვით სატანური მიზნით. ის ფაქტი, რომ მოდელები ეკლესიაში დასეირნობენ და ეშმაკის რქებსა და სიგილიუმებს ატარებენ, სწორედ შავი მესის კონცეფციაა.

ეს ჩვენება სახეა იმისა, თუ რას წარმოადგენს მოდის თანამედროვე ინდუსტრია. ლაპარაკია არა მხოლოდ „სამოსზე“ ან „მოდაზე“, არამედ სატანისტურ რიტუალურ ღონისძიებებზე, რომელსაც უკვე აღარ მალავენ. მოდების ამგვარი ჩვენება, რომელიც ეკლესიაში იმართება, წარმოადგენს სატანური აზროვნების ზეიმს.

**გაილექსნენ ყალბი მოძღვრები და თვითმარქვია ექსპერტები: სკოლაა დამნაშავე იმაში, რომ მოსწავლეები ამოვარდნენ ზნეობრიობის კალაპოტიდან, ოჯახი თუ საზოგადოება. თუ ხელისუფლება... სკოლა გაახსენდათ ახლა. ჯეჯელავებს მინისტრებად რომ ნიშნავდნენ, მაშინ დავიწყებული ჰქონდათ.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამათაც დედა უნდა ერქვათ?!

**აშშ-ის ლუიზიანის შტატში 24 წლის ამერიკელმა ქალმა ჰეიდი რაიოსმა ახალშობილი მამამისს ფეხებში მიუგდო.**

მამამ ახალშობილი საავადმყოფოში წაიყვანა. ექიმებმა გასინჯეს და დაადგინეს, რომ ბავშვს, რომელიც სამი კვირისა იყო, საფეთქლის ძვალი ჰქონდა გატეხილი.



დედამ რომელიც ირწმუნებოდა, რომ საყვარელთან ჩხუბისას ბავშვი შემთხვევით გაუვარდა ხელიდან, დაპატიმრებულია. მას ბრალი ედება ბავშვის მიმართ სასტიკად მოპყრობაში. რა სასჯელი ელის, არ იუწყებიან.

ამა წლის აგვისტოში ერთმა ჩინელმა გადაწყვიტა საკურიერო სამსახურის გამოყენებით ჩვილის თავშესაფარში ჩაბარება. მივიდა ფოსტაში პლასტიკატის პაკეტით, რომელშიც ბავშვი ჰყავდა მოთავსებული. კურიერი შეეცადა, გაერკვია, რა იყო პაკეტში, მაგრამ ქალმა აუკრძალა ამის გაკეთება. ფოსტის მუშაკმა პოლიცია გამოიძახა.

ახალშობილი სულ რამდენიმე დღის იყო. დედას ხუთი წლით პატიმრობა ემუქრება.

საქართველოში გავრცელებული საკუთარი დედების მიმართ უწმაწური გინება „ჩემი დედა...“ ამ დედებისთვის ალალ იყოს!

## აშშ-ში 83 წლის ფსიქოლოგს ბრალი დასდეს პაციენტი ქალის მიმართ ძალადობაში

**ესღა აკლდა ამერიკას! რა „მუმიების გაცოცხლება“ და რაღა დროს 83 წლის დონ ჟუანის სექსუალური ვნებანი...**

ფსიქოლოგი, 83 წლის **კლარკ ალენი** კონექტიკუტის შტატიდანაა, ქალაქ გლასტონბერიდან. ის ფსიქოლოგიურ სეანსებს შინ ატარებდა. დაზარალებულის თქმით, „სექსუალური ხასიათის თავდასხმა“ სწორედ ერთ-ერთი სეანსისის მიმდინარეობისას მოხდა.



28 ნოემბერს სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ბრალდებული შეიძლება გათავისუფლდეს 200 ათასი დოლარის გირაოს გადახდის შემთხვევაში.

ცნობილია, რომ ეს ქალბატონი ექიმ-ფსიქოლოგის დიდი ხნის პაციენტი გახლდათ.

## თემბორი ქალებს დაერია...

**17 ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკელმა მსახიობმა და კომიკოსმა ჯეფრი თემბორმა, რომელიც გახლავთ „ოქროს გლობუსის“ პრემიის ლაურეატი, ასევე, „ემმის“ ორი პრემიისა და აშშ-ს კინომსახიობთა პრემიის მფლობელი, ისეთი რამ აკადრა თავის კოლეგა თრეის ლისეტს, რომ ქალმა ასეთი დამოკიდებულება სექსუალურ ძალადობად აღიქვა. ინციდენტი სერიალ „სიცხადეს“ გადასაღებ მოედანზე მოხდა: ქალბატონის განცხადებით, თემბორმა მას რაღაც უწმაწურობა უთხრა. ერთხელ კუთხეშიც მიიმწყვდია და „სექსუალური ხასიათის თავდასხმა განახორციელა“.**



„მე კედლისკენ ზურგით ვიდექი, შიშველი ფეხები ტერფებზე მომაბჯინა ისე, რომ განძრევა არ შემეძლო და თავისი სხეულით წინსვლითი მოძრაობის განხორციელება დაიწყო“, — თქვა მან. როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა და კედელს მიყრდნობილ და ცალ ფეხზე მდგომ კოლეგას ტერფებზე ფეხები დააბიჯოს და რას ნიშნავს „წინსვლითი მოძრაობის“ განხორციელება, გამოძიების თავსატეხია.

ეტყობა, ეს კაცი, თემბორი, ისეა ატეხილი, რომ ველარ არჩევს, ვის ებღლარძუნება: ცოტა ხნის წინათ მას უჩივლა ტრანსგენდერმა ქალმა **ვან ზარნსმა,** რომელიც, ასევე, არის ერთ-ერთი შოუს მსახიობი.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებთან სექსით ერთობიან და ჩვენი თავსატეხი

**მასწავლებლის მოადგილე (ამერიკაში ასეთი თანამდებობაც ყოფილა) 23 წლის მადელინ მარქსი, რომელიც ოჰაიოში ცხოვრობს, ორ მოწაფესთან ორალური სექსით ერთობოდა.**



ეტყობა, აშშ-ის განათლების სისტემის სასკოლო პროგრამებში ასეთი რამ კლასგარეშე დატვირთვად არის შეტანილი, რათა ყმაწვილები ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად ყოველმხრივ მომზადებული იყვნენ.

ინდივიდუალურად იტვირთავდა თავს ეს ამძუვნებული დიაცი და ერთის ნაცვლად ორს „ამეცადინებდა“, ერთდროულად თუ ცალ-ცალკე, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

მნიშვნელოვანი არის ის, რომ მასწავლებლების მიერ სკოლის მოსწავლეების გახრწნის სულ უფრო მეტი ფაქტი გასაჯაროვდა და ააღელვა მშობლები.

ჩამოგითვლით უზნეობის გამოვლენის წლევანდელ შემთხვევებს, რომლებსაც ამერიკული პრესა აქვეყნებს.

მიაქციეთ ყურადღება: მთავარი მოქმედი პირები ახალგაზრდა ქალები არიან, რომლებსაც ბავშვების აღზრდა მიანდეს:

*** 22 წლის მასწავლებელი ქალის მოსწავლესთან სასიყვარულო კავშირი ამხილეს მოსწავლე ბიჭის მშობლებმა (ოკლაჰომა, აშშ);**

* 40 წლის მასწავლებელი ქალი ბიჭებს გამოცდაზე ჩაჭრით ემუქრებოდა, თუ ისინი მასთან დაწოლაზე უარს იტყოდნენ (კოლუმბია, აშშ);

*** 24 წლის ახალგაზრდა მასწავლებელთან სექსუალური ურთიერთობით ერთობოდა მისი ორი მოსწავლე, სანამ არ მობეზრდათ (ვისკონსონი, აშშ);**

* 23 წლის მასწავლებელი ქალი წინდახედული აღმოჩნდა და თავის ორ, თექვსმეტი წლის მოსწავლესთან სექსუალურ კავშირს სკოლის მიღმა ამყარებდა (ოჰაიო, აშშ);

*** სამაგიეროდ, 30 წლის ამძუვნებული მასწავლებელი, სახელად სიუზენი(ფლორიდა, აშშ); ინტიმურ ურთიერთობას თავის მოსწავლე ჟაკლინთან ორი თვის განმავლობაში საკლასო ოთახში ამყარებდა.**

**ეს — ფაქტები, რომლებიც გამჟღავნდა. ახლა კი რამდენიმე შემთხვევა, როცა ინტიმურ კავშირამდე საქმე არ მისულა, მაგრამ უფროსები ბავშვებს ამისკენ უბიძგებდნენ:**

28 წლის მასწავლებელმა ქალმა ტეხასიდან (აშშ) მერვეკლასელ მოსწავლეს გაუგზავნა სოლარიუმში გადაღებული თავისი ფოტოები და სთხოვა, დაეხატა პატივცემული მასწავლებლის ნიუ;

14 წლის ყმაწვილმა (კალიფორნია, აშშ) სოცქსელში გამოაქვეყნა ვიდეოფირი — ნახევრადშიშველი მასწავლებელი გამომწვევად პოზირებს მის (მოსწავლის) წინაშე და ალკოჰოლს წრუპავს. მასწავლებელი 32 წლისაა.

და თავისი ამერიკელი კოლეგების სიაში მეხუთე ბორბლად დამატებული: 41 წლის უილტშირელი (დიდი ბრიტანეთი) მასწავლებელი ქალი, რომელიც გაკვეთილის დროს ყველას თვალწინ ეალერსებოდა 17 წლის ბიჭს და ცდილობდა, ეკოცნა.

ცდილობდა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია.

რატომ? ამაზე პრესა დუმს.

იქაური პრესა დუმს, მაგრამ ქართული ალაპარაკდა, აქოთქოთდა, „ადებატდა“, „აშოუვდა“.







**„რაშოვდა და რანუნი“... გაილექსნენ ყალბი მოძღვრები და თვითმარქვია ექსპერტები: სკოლაა დამნაშავე იმაში, რომ მოსწავლეები ამოვარდნენ ზნეობრიობის კალაპოტიდან, ოჯახი თუ საზოგადოება.**

**თუ ხელისუფლება.**

იმათ კისერიც უტეხიათ! მე ჩვენს ტრაგედიაზე ვლაპარაკობ, რომელიც წინა კვირაში დატრიალდა თბილისში, ხორავას ქუჩაზე.

**სკოლა გაახსენდათ ახლა. ჯეჯელავებს მინისტრებად რომ ნიშნავდნენ, მაშინ დავიწყებული ჰქონდათ.** ფქვავს ტელეწისქვილი დაზეპირებულ სიტყვებს დაშტამპული და უხასიათო იმპორტული რეკომენდაციების ფქვილად: შეუბერავ და ფუუ — არაფერი დარჩება.

**განათლების სისტემა დაგმეს — საბჭოურიაო.**

**და ელოლიავებიან, ელაციცებიან ამ სისტემით უცხოეთში ნასწავლი რეფორმატორები ამერიკულ შტამპს, რომელიც ისევე, როგორც ფულის საბეჭდი დაზგა დოლარებს, ამრავლებს სკოლადამთავრებულ გონებაუმწიფრებს.**

აბა, გამოიცან, სამი სავარაუდო პასუხიდან რომელია სწორი?

მოახვედრე? — დაირტყი ატესტატი და გზა გახსნილი გაქვს — წადი და ახლა სხვას ასწავლე, იმასწავლებლე!

მასწავლებლობენ.

და ხრწნიან ბავშვებს.

**კოლეჯში დილას წასული ბავშვი შეიძლება საღამოს შინ არ დაბრუნდეს: ვიღაც მანიაკი მოსწავლე, სადისტი აღმზრდელი თუ ნებისმიერი გარეშე პირი შევარდება სკოლაში და დაცხრილავს ყველას, ვისაც მისწვდება.**

„ამერიკის ტრაგედია“ თავიდანაა დასაწერი. ვაგლახ, **თეოდორ დრაიზერისთანა** ავტორი არ ჩანს.

ვინ ასწავლის ბავშვებს, ვინ აღზრდის შთამომავლობას? გაქრა და უკვალოდ ჩაიწრიტა „რეფორმირებული“ სასკოლო პროგრამების საცერში დამსახურებული მასწავლებლების თაობა.

ღირსეულით ჩანაცვლების პროცესი გაჭიანურდა.

ამასობაში კი აქ, ჩვენთან, საქართველოს დედაქალაქის შუაგულში ბავშვები ხოცავენ ერთმანეთს — სადისტურად, დაუნდობლად.

ორი სიცოცხლე დაკარგა საქართველომ.

დაამუხრუჭეთ მატარებელი, რომელიც უფსკრულისკენ მიექანება!

**პუბლიკაციებში გამოყენებულია NEW YORK POST-ის მასალები**

წუთისოფლის მნიშვნელოვანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკანონოდ და უმიზნოდ არაფერი არც გაჩენილა, არც გაჩნდება, ჩვენი აზრი მაგ კანონებისა და მიზეზების ცოდნიდამ შედგება. მაგ კანონებისა და მიზეზების ცნობაზედ ტრიალებს მეცნიერებაც, სწავლა და განათლება... ჩვენი ჟურნალის მოვალეობა ის გახლავთ, რომ ის აღხსნილი და გამოკვლეული კანონები და მიზეზნი... გვაცნობოს“.**

# «ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს»

დასასრული. დასაწყისი იხ. №44 (420)

**შეუძლებელია, ადამიანთა ურთიერთობა დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო. სწორედ ამიტომ ამბობს ერის მამა: „ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს“.**

**ილია ჭავჭავაძემ წარმატებით გადალახა სიძნელეები და შეძლო თავისი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ ახალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანოდ გადაექცია. იგი მრავალ საშუალებას მიმართავდა აქტუალური თემების წინ წამოსაწევად. როგორც ჭეშმარიტი სამოციანელი, პუბლიცისტიკას ლიტერატურის ყველა ჟანრის, მეტიც, მეცნიერების ყველა დარგის ორგანულ ნაწილად თვლიდა.**

ჟურნალის ამოცანების განსაზღვრისას, „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაც პუბლიცისტიკის ამოცანად მიაჩნდა. ეს თვალსაზრისი ილიამ კიდევ უფრო გააღრმავა ფელეტონში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“.

„უკანონოდ და უმიზნოდ არაფერი არც გაჩენილა, არც გაჩნდება, — წერდა ის, — ჩვენი აზრი მაგ კანონებისა და მიზეზების ცოდნიდამ შედგება. მაგ კანონებისა და მიზეზების ცნობაზედ ტრიალებს მეცნიერებაც, სწავლა და განათლება... ჩვენი ჟურნალის მოვალეობა ის გახლავთ, რომ ის აღხსნილი და გამოკვლეული კანონები და მიზეზნი... გვაცნობოს“.

**„ილიას თვალსაზრისი, რომელიც რუსული რევოლუციური დემოკრატიზმის სათავეებიდან მოედინება, სწორი თვალსაზრისია, — მეცნიერული თეორია ამდიდრებს პუბლიცისტიკას, ხოლო პუბლიცისტიკა აცოცხლებს მეცნიერულ თეორიას.**

ახალგაზრდა რედაქტორი მოურიდებელი და შეუპოვარი იყო ყოველთვის, როცა საქმე ეხებოდა ჟურნალის იდეურ მიმართულებას. იგი დაუცხრომლად იბრძოდა იმისათვის, რომ ჟურნალს ჰქონოდა თავისი სახე. მაგალითად კმარა თუნდაც ის ფაქტი, რომ ილია არ მოერიდა ისეთ პატივსაცემ პირსაც კი, როგორიც იყო **სულხან ბარათაშვილი**, რომელმაც ჟურნალს თავისი „საქართველოს ისტორიის“ ხელნაწერი გადასცა და სხვა დახმარებაც აღუთქვა, მის ნაშრომს საკმაოდ მწვავე კრიტიკული შენიშვნა დაურთო.

ერთ-ერთ შენიშვნაში მკაცრად აკრიტიკებს, აგრეთვე, ზალცმანის შეხედულებას ბავშვის ზნეობრივი აღზრდის შესახებ.

კიდევ უფრო სასტიკია ილია თავისი მეგობრებისა და იდეური თანამებრძოლების მიმართ.

**„საქართველოს მოამბეში“ ნათლად გამოჩნდა თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამასთანავე, ეს ენციკლოპედიურობა ორგანულად შედუღებულია პრობლემათა მეცნიერულ გაშუქებასთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ფორმით, ისე შინაარსით „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა იდგა იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის მოწინავე პუბლიცისტიკის დონეზე, რომლის ისტორიასაც ამშვენებდნენ ვოლტერი და რუსო, დიდრო და ჰოლბახი, მარატი და სენ-ჟუსტი, ჰაინე და ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო... რადიშჩევი და ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, გოგოლი და გერცენი...** ეს მოკლე სიაც გვიჩვენებს, რომ გამოჩენილი მწერლები, ამასთანავე, დიდი პუბლიცისტებიც იყვნენ.

**ჟურნალმა მიზნად დაისახა საზოგადოების გონებრივი და ესთეტიკური განვითარება, მისი აღზრდა, ცხოვრების ნაკლოვანებათა გამოკვლევა და გამომზეურება, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრება — ეს იყო ქართული პუბლიცისტიკის ახალი შინაარსი, ახალი იდეები და მათ განხორციელებას ახალი ლიტერატურული საშუალებები, ახალი ფორმა ესაჭიროებოდა.**

...მკითხველი მოუმზადებელი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე სერიოზული წერილებისთვის, უფრო გასართობ მასალას ეტანებოდა. ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაასვა „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკას, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ **იაფი პოპულარობის მოსახვეჭად, ჩამორჩენილ მკითხველთან საპირფეროდ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტები მათ დონემდე არასოდეს დაშვებულან** (როგორც ამას „ცისკარი“ სჩადიოდა) **და ყოველთვის ცდილობდნენ, თვით მკითხველი აემაღლებინათ, მისი გონება და გემოვნება განევითარებიათ.**

მიზანს კი ჟურნალი აღწევდა აქტუალური თემატიკით.

**...ასე გგონია, ეს ადამიანები საკუთარი სისხლით წერდნენ. ამ სახით ვლინდება ჟურნალის პუბლიცისტიკის მებრძოლი სული, შემტევი იდეურობა და ღრმა პატრიოტიზმი. გონებაგაღვიძებულ მკითხველს ატყვევებდა აზრის სინათლე, ხატოვანი ენა, პროპაგანდისტის დაჯერებული მანერა. სწორედ ეს გვაძლევს საბუთს, ვთქვათ, რომ „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ შინაარსის ღრმა იდეურობა, არამედ მასთან ორგანულად შერწყმული ნოვატორული ფორმა, მაღალი პუბლიცისტური ოსტატობა“ (ალექსანდრე კალანდაძე, „გვაქვს საგანძური“, თბილისი, 1986).**

**როგორც ვიცით, ილია ყმის მიწიანად განთავისუფლებას მოითხოვდა; ცნობილია ისიც, რომ ამის გამო მას სიკვდილით ემუქრებოდნენ რეაქციონერი მემამულეები, ამიტომ ახალგაზრდა რედაქტორს თანამოაზრეთა შეიარაღებული ჯგუფი იცავდა.** მაგრამ მემამულეთა წრიდანაც კი ილიას თითო-ოროლა თანამგრძნობიც გამოსჩენია. „ბატონყმობის ფაქტიურ მასალებში“ აღდგენილია **რევაზ ვაჩნაძის** მგზნებარე სიტყვა თავად-აზნაურთა კრებაზე, იგი კატეგორიულად მოითხოვს ყმის მიწიანად განთავისუფლებას: თუ ხელისუფლება უარს იტყვის, ჩვენ, მემამულეებმა, უსასყიდლოდ დავურიგოთ ყმებს კუთვნილი მიწებიო.




ჩაგვრისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსითაა შთაგონებული ამ ჟურნალის მთელი პუბლიცისტიკა. ეს პათოსი უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის საპროგრამო წერილს „საქართველოს მოამბეზედ“.

ილია ჭავჭავაძის აღნიშნული სტატიის სოციოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი მაშინდელი სოციალური უსამართლობის უარყოფას წარმოადგენდა. ეს შეხედულებანი ხალხის სულისკვეთების გამოხატულება იყო. **ილია ჭავჭავაძე მკითხველს ჰპირდება: „ჩვენი „მოამბე“... დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცაო“. „ცხოვრების ჭუჭყში“ რედაქტორი, რა თქმა უნდა, სოციალურ უსამართლობას და, პირველ რიგში, ბატონყმობას გულისხმობდა.**

**იაფი პოპულარობის მოსახვეჭად, ჩამორჩენილ მკითხველთან საპირფეროდ «საქართველოს მოამბის» პუბლიცისტები მათ დონემდე არასოდეს დაშვებულან**

„საქართველოს მოამბემ“ დაგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, გრძნობით შეხედა გლეხის დაჩაგრულ ბედს და ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც“.

პუბლიცისტური ლირიკის შესანიშნავი მაგალითებია ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „მუშა“, „პოეტი“, „გუთნის დედა“... პუბლიცისტიზმის კვალი ატყვია „კაცია ადამიანს“, „გლახის ნაამბობს“ და ა.შ.

„საქართველოს მოამბემ“ ახალ მიმართულებას მისცა დასაბამი, ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხები აქ მჭიდროდ გადაეკვანძა ერთმანეთს და ოცნებისა და თეორიული განსჯის სფეროდან აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და პრაქტიკული მოქმედების სარბიელზე გამოვიდა.

**„საქართველოს მოამბე“, უწინარეს ყოვლისა, ფართო პატრიოტულ პროპაგანდას ეწეოდა, ამხელდა სოციალურ და ზნეობრივ სიმახინჯეს, სულიერ დაცემას, გულგატეხილობას, რადგან ღრმად სწამდა, რომ ხალხის ზნეობრივი გადაგვარება მტერს გაუადვილებდა მის დამონებასა და დაბეჩავებას.**

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტებმა გადაჭრით დასვეს ქართველი ხალხის ნაციონალური ბედ-იღბლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი. მათ არასოდეს საეჭვოდ არ გაუხდიათ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა. ისინი თავს ესხმოდნენ მხოლოდ ცარიზმს, რომელმაც ფიცშეკრული ქვეყანა კოლონიად გადააქცია.

1863 წლის ნოემბრის ნომერში ილია აღნიშნავდა: **„არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებდა, რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამცთუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, — თუმცა ზოგჯერ სცადა კიდეც, — იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენ“. ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდან გასასინჯი იყო“.**

1864 წლის იანვარში ჟურნალის ბედი თვით ილია ჭავჭავაძისთვისაც არ იყო ნათელი. იგი განაგრძობდა მასალების შეგროვებას, თანამშრომლებთან მიმოწერას, მკითხველთა მოზიდვას, მაგრამ აშკარა ხდებოდა, რომ პერსპექტივა უიმედო იყო.

ცნობილია, რომ ოლღა მხარში ამოუდგა ახალგაზრდა მეუღლეს და ისინი ერთად უძღვებოდნენ ჟურნალს. აგვისტომდე რედაქცია **ივანე მუხრანსკის** სახლში მუშაობდა, ხოლო, როცა რეაქციულმა ძალებმა „საქართველოს მოამბეს“ ბოიკოტი გამოუცხადეს, იგი ოლღა გურამიშვილის მამიდის — **სიდონია ზაქარიას ასულ სავარსამიძის** სახლში გადავიდა. ილიას „სახელმწიფო სამსახურში შესვლა“, „საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზი კი არა, სამწუხარო შედეგი იყო. ცხადია, ჟურნალის გამოცემის ოდნავი შესაძლებლობაც რომ ჰქონოდა, ილია სახელმწიფო სამსახურში არ შევიდოდა.

ილიას მოსწრებული გამოთქმა რომ გავიმეოროთ, ჟურნალს „კედელი დახვდა წინ“. შექმნილ წინაღობებს ილია ჭავჭავაძე დაუძლეველ დაბრკოლებად თვლის, რომელთანაც „ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. „დრონი მეფობენ“ — ნათქვამია. ჩვენც, ნებით თუ უნებლიეთ, გულზე ხელი უნდა დაგვეკრიფა“.

უეჭველია, „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მხედველობაში აქვს ის მიზეზები, რომელთაც ქვეყნის საერთო სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იწვევდა.

**„საქართველოს მოამბე“ საზოგადოებრივი ცხოვრების მოუმწიფებლობის შედეგად დაიხურა. „ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჟურნალი მარტო ერთის კაცის ნებით იბადება. არა, თვითონ ცხოვრებავე გვაჩვენებს ხოლმე იმის საჭიროებას. კაცი კი მხოლოდ მიხვდება ამ საჭიროებას და ჟურნალის გამოცემით პასუხს აძლევს. რაც ცხოვრება უფრო ძლიერია, უფრო ჯანიანია და ღონიერი, იმდენად მისი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი დიდნი არიან“, — აღნიშნავდა ილია.**

„საქართველოს მოამბემ“ მნიშვნელოვანი კვალი გაავლო ქართველი ხალხის ისტორიაში: წყვდიად ღამეში იგი შუქურასავით აენთო.

**«საქართველოს მოამბის» პუბლიცისტებმა გადაჭრით დასვეს ქართველი ხალხის ნაციონალური ბედ-იღბლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი. ...მათ არასოდეს საეჭვოდ არ გაუხდიათ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა. ისინი თავს ესხმოდნენ მხოლოდ ცარიზმს, რომელმაც ფიცშეკრული ქვეყანა კოლონიად გადააქცია**

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

**რომელიღაც ადამიანის სახიანი ურჩხული წამწაუწუმ ურტყამდა სისხლის დაკარგვითა და ტკივილებით სავსებით მისუსტებულ, უბედურ დაჭრილს. იგი მოითხოვდა, არ მიმეტოვებინა. სამწუხაროდ, ვერაფრით ვეხმარებოდი, მაგრამ დიდად ანუგეშებდა ის, რომ გვერდით ჰყავდა არსება, რომელიც თანაუგრძნობდა. ბოლოს, როდესაც იმდენად დაუძლურდა, რომ სიარული გაუჭირდა, მთელი ძალით დაუწყო ძახილი კნეინა ორბელიანს.**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის...»

**XVIII საუკუნეში განადგურებით დაემუქრა კახეთის მოსახლეობას. ლეკები უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ გარეშე მტრების მიერ ისედაც აწიოკებულ ქვეყანას. შამილის მარბიელი რაზმის მსხვერპლი აღმოჩნდა თავადის — დავით ჭავჭავაძის ოჯახი, რომელმაც დაღესტანში ტყვეობის უმძიმესი თვეები გამოიარა.**

**ვაგრძელებთ ანა დრანსეს მიერ მოთხრობილ ამბავს წიგნიდან „შამილის ტყვე ქალები“.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №42-44

## ძიძა

გზა ამხედრებულებმა გავაგრძელეთ. უწინდებურად კვლავ ჰაჯი-ქერიმს ვეჯექი უკან. მან ჟესტებით ამიხსნა, თუ როგორ ჩამეჭიდა მისთვის ხელი. ამან მიმახვედრა, რომ ჩვენ სწრაფად ვივლიდით. მართლაც, ცხენები ჩორთით მიუშვეს და ასე დიდხანს გაგრძელდა. ივანე წინ საკმაოდ დიდ მანძილზე მიაჭენებდა. შორს რაღაც საგანი შევნიშნეთ, რომელიც მიწას თანდათან გამოეყო. საგანი მოგვიახლოვდა და მალე გავარჩიეთ ადამიანის ფიგურა. ეს ლეკი მწყემსი აღმოჩნდა, ვისაც ძონძები სხეულს ძლივს უფარავდა. იგი ჰაჯი-ქერიმს მიუახლოვდა, რაღაც ბეჭედი აჩვენა, რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს და გაშორდნენ. არ ვიცოდი, მთიელთა შორის რა ავტორიტეტით სარგებლობდა ჩემი განმგებელი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მის ნაიბურ მედლებს, საფიქრებელია, რომ საკმაოდ წარჩინებული კაცი იყო. გზაზე, რაც მივარდნილ ადგილებში გადიოდა, ბევრ მღვიმეს ვხედავდი. ისინი კოცონებს გაენათებინა. ცეცხლს ირგვლივ მწყესები შემოსხდომოდნენ. ეს ამტკიცებდა, რომ ამ ადგილებში მშვიდობით შეიძლებოდა მგზავრობა და სულაც არ იყო მოსალოდნელი რუსთა თავდასხმა.

განთიადისას შესასვენებლად ჭაობიან ადგილზე გავჩერდით. მეპატრონემ განკარგულება გასცა, ცხენიდან გადმოვსულიყავი. ამ დროს გაოცებით შევნიშნე რამდენიმე ქართველი ქალი, რომელთაც მთიელები ჰყარაულობდნენ. ამ უკანასკნელთ ჭაობიდან ჯღდეთა ძირკვები დაეთრიათ, გროვად დაეხვავებინათ და წვავდნენ. ის ის იყო, გასართობად კოცონთან მისვლა დავაპირე, რომ ვიღაცის ალერსიანმა ხმამ გულთბილად წარმოთქვა ჩემი სახელი. იმ მხარეს მივიხედე, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა და, წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როდესაც ქართველ ქალთა შორის შევნიშნე საყვარელი კნეინა ორბელიანი. იგი მიწაზე დაფენილ რამდენიმე ნაბადზე იჯდა. მაშინვე მასთან მივირბინე. როდესაც შენიშნა, ფერმკრთალი და გამხდარი ვიყავი, მომეხვია; ცდილობდა გავეთბე.

— ოჰ, ქალბატონო! გუშინ რამდენი გეძებეთ...

— რა მოუვიდა ჩემს შვილს? — იკითხა მან.

— გიორგი სწორედ ტყეში შემოსვლის წინ დავინახე, მის შეუპოვარ ძიძას ეჭირა.

ამ ცნობამ საბრალო დედა ცოტათი დაამშვიდა. შემდეგ მოვუთხრე ჩემ მიერ გადატანილ ტანჯვა-წამებაზე. მალე ჩემს წასაყვანად ჰაჯი-ქერიმმა მოგვაკითხა.

— ეგ ფრანგი გენერლის ცოლია, — უთხრა მას კნეინამ, — მინდა ჩემთან დარჩეს.

გენერლის ცოლი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ კნეინას სურდა, ამით ჩემდამი ჰაჯი-ქერიმის პატივისცემა გამოეწვია.

— შენ კი თავად ვინღა ხარ, ასე რომ ლაპარაკობ? — იკითხა მან.

— მე კნეინა ბარბარე ორბელიანი ვარ.

— განა დიდ გამოსასყიდს მომცემენ მაგისათვის? — აგრძელებდა შეკითხვებს ჰაჯი-ქერიმი და თან ჩემზე უთითებდა, — წინააღმდეგ შემთხვევაში მე მას ჩემთან დავიტოვებ.

შემდეგ ქალბატონს ჩემთვის წართმეული წერილები უჩვენა:

— ეს ქაღალდის ფული ხომ არ არის, ასე უხვად რომაა რუსეთში? — შეეკითხა იგი.

— არა, ეს ფული არაა, — მიუგო კნეინამ.

— მაშ, რა არის?

— ნათესავების წერილებია.

— თვითონ ქალია თუ ქალწული?

— ის არის დედა.

— ბავშვები ჰყავს?

— ერთი შვილი ჰყავს.

— რუსია თუ ქართველი?

— არც რუსია და არც ქართველი. ფრანგის ქალია. მისი სამშობლო აქედან ძალიან, ძალიან შორს მდებარეობს.

ამით ჰაჯი-ქერიმმა თავისი შეკითხვები დაასრულა, მაგრამ, ჩვენგან რომ მიდიოდა, ჩემი წერილები ცეცხლში მოისროლა. უნდა გამოსცადო მთელი ჩვენი ტანჯვა-წვალება, რომ მიხვდე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილისათვის გულით საყვარელი ადამიანებისაგან მოწერილ ბარათებს. სწორედ ამიტომაც ჰაჯი-ქერიმის მოქმედებამ — თვალისდახამხამებაში რომ გაანადგურა ჩემი უძვირფასესი განძი, მეტისმეტად გამანაწყენა.

ეს კაცი მალე კვლავ დაბრუნდა, ჩოხა გაიხადა და კნეინა ორბელიანს მიუგდო დასაკემსავად. მისი მოქმედება არ მომეწონა და ქალბატონს სამოსი ხელიდან გამოვსტაცე. ჰაჯი-ქერიმი ამას სულაც არ გაუნაწყენებია. ჯიბიდან მშვიდად ამოაძვრინა რაღაც ფუტლარის მსგავსი, რომელშიც ნემსი და ძაფი ჰქონდა, და იგი კნეინას გადასცა. ჩემი განაწყენების მიუხედავად, კნეინა მაშინვე შეუდგა საქმიანობას. რამდენადაც შემეძლო, ხელს ვუწყობდი. ამ დროს მთიელებმა წინანდალში ნაძარცვი ჩაის სმა გააჩაღეს. არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსვლია, თუნდაც სიბრალულის გამო, ჩვენთვისაც შეეთავაზებინა ფინჯანი ჩაი.

**ერთი საათის შემდეგ კნეინა ჭავჭავაძის ბავშვების ძიძა — ალექსანდრა მოგვიახლოვდა. მისმა დანახვამ ყველა დაგვაშინა და აგვაფორიაქა, რადგან უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა: თავი სამ ადგილას გაეჩეხათ ხმლით და, ეტყობა, ხშირმა თმამ უშველა — სიკვდილისაგან დაიფარა. მთელი ზურგი გადატყავებული და დასისხლიანებული ჰქონდა; მარცხენა ხელი დასახიჩრებული, ხოლო ერთ-ერთი თითი, თითქმის მთლიანად მოკვეთილი, ხელის მტევანზე ძაფით მიმაგრებულივით ეკიდა.** ალარ ვიცოდით, რითი დავხმარებოდით ამ უბედურს — მთიელნი ხომ არაფერს გვაძლევდნენ. საბედნიეროდ, კნეინა ორბელიანს გადაენახა თავისი უბრალო ქვრივის კაბა. მან მყისვე მოახია მას სახელო და ალექსანდრას ხელი შეუხვია, მაგრამ რა უნდა გვეღონა თავზე არსებული იარების მოსარჩენად? ქალს თავზე სისხლი შეხმობოდა, ჩვენ კი უმწეონი ვიყავით, რაიმე გაგვეხერხებინა. ამიტომაც კნეინა მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ავადმყოფს თავი საკუთარი თავსაფრით შეუხვია.

**ერთი საათის შემდეგ კნეინა ჭავჭავაძის ბავშვების ძიძა — ალექსანდრა მოგვიახლოვდა. მისმა დანახვამ ყველა დაგვაშინა და აგვაფორიაქა, რადგან უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა: თავი სამ ადგილას გაეჩეხათ ხმლით და, ეტყობა, ხშირმა თმამ უშველა — სიკვდილისაგან დაიფარა. მთელი ზურგი გადატყავებული და დასისხლიანებული ჰქონდა; მარცხენა ხელი დასახიჩრებული, ხოლო ერთ-ერთი თითი, თითქმის მთლიანად მოკვეთილი, ხელის მტევანზე ძაფით მიმაგრებულივით ეკიდა**

ამასობაში ჩოხის წასაღებად ჰაჯი-ქერიმი მოვიდა. იგი, როგორც ჩანს, ნახელავით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ეს ჩვენ მხედველობიდან გამოგვეპარა, ვინაიდან მთელი ყურადღება დახეიბრებულ ძიძაზე გვქონდა გადატანილი...

დავიძარით. **ცხენზე მჯდარი კნეინა წინ მიდიოდა, მე და ალექსანდრა ფეხით უკან მივლასლასებდით, რომელიღაც ადამიანის სახიანი ურჩხული წამდაუწუმ ურტყამდა სისხლის დაკარგვითა და ტკივილებით სავსებით მისუსტებულ, უბედურ დაჭრილს.** იგი მოითხოვდა, არ მიმეტოვებინა. სამწუხაროდ, ვერაფრით ვეხმარებოდი, მაგრამ დიდად ანუგეშებდა ის, რომ გვერდით ჰყავდა არსება, რომელიც თანაუგრძნობდა. ბოლოს, როდესაც იმდენად მოუძლურდა, რომ სიარული გაუჭირდა, მთელი ძალით დაუწყო ძახილი კნეინა ორბელიანს შემდეგი სიტყვებით: დედი! დედი! მეც ავყევი. კნეინამ გაიგონა ჩემი ყვირილი და, მიუხედავად გამყოლის ძლიერი შეწინააღმდეგებისა, ცხენი შეაჩერა. დიდის ვაი-ვაგლახით მივლასლასდით მასთან და ჩვენი გამყოლის სისასტიკის შესახებ მოვახსენეთ. კნეინამ გარშემოჯარულ მთიელებს ამის შესახებ აუწყა, მაგრამ იმათ ჩვენი თხოვნა-მუდარა ყურად არ იღეს. საბოლოოდ ქალბატონმა მაინც აიძულა ისინი, დაჭრილი ცხენზე შეესვათ, მისთვის ხელი რომ არ შეეშალა ტალახს, რის გამოც იწყო ჩამორჩენა. ეს რომ მთიელებმა შენიშნეს, აიძულეს ცხენზე ძიძასთან ერთად დამჯდარიყო, მაგრამ ამ ქალს, მეტისმეტად სუსტად რომ გრძნობდა თავს, ცხენზე თავის შემაგრება უჭირდა და იძულებული იყო, კნეინას დაყრდნობოდა; ამასთან, იგი ზონზროხა ტანისა გახლდათ და კნეინამ იმდენი ძალა მიახარჯა ცხენზე მის შემაგრებას, რომ ბოლოს გული შეუღონდა. მაშინ მთიელებმა გადაწყვიტეს, რომელიმე მათგანს მისთვის ცხენი დაეთმო. გრძნობაზე მოსული კნეინა შეჯდა ახალ ცხენზე და გზა განაგრძო.

ამ დროს ივანეს ვეჯექი უკან. ალაგ-ალაგ გვხვდებოდნენ ჩვენს ბედში მყოფი ქართველი გლეხის ქალები. ჩვენსა და მათ შორის მხოლოდ ერთადერთი განსხვავება იყო — ისინი ფეხით მოდიოდნენ. შევედით რომელიღაც განუზომლად ვრცელი ტყის სიღრმეში. ამ ტყის მყუდროება, ალბათ, არასოდეს დარღვეულა. მიწას სქელი ხავსი მოსდებოდა, ხოლო ასწლოვან ხეებს თვალს ძლივს აუწვდენდი. აქა-იქ ტოტიდან ტოტზე დაფრთხიალებდნენ ცისფერ და წითელფრთიანი ჩიტები, სხვადასხვა მიმართულებით დარბოდნენ ხვლიკები. ისინი ხავსისაგან თავიანთი მწვანე შეფერილობით გამოირჩეოდნენ. ამ ტყისათვის თავისუფლად შეგვეძლოთ გეწოდებინათ უღრანი. ამ ტყეში ჯერჯერობით ბილიკიც არვის გაეკვალა.

**ნაკადულის პირას, რომელთანაც ის ის იყო მივედით, შევეყარეთ წინანდლიდან გატაცებულ ახალგაზრდა ქალიშვილს. მთიელებს მისი დედა გარდაცვლილი ჰგონებოდათ და ამიტომაც ხელი არ ეხლოთ. ქალიშვილთან იმყოფებოდა მისი ღრმად მოხუცებული ბებია და ერთ-ერთი ძმა, რომელსაც ხელში ეჭირა ლიდიასავით ოთხიოდე თვის გოგონა. პაწაწა უდედოდ და ურძეოდ დარჩენილიყო.**

მდინარის გადალახვისას, რაც არც ისე ადვილი საქმე გახლდათ, საცოდავი ალექსანდრას თანხლება არავინ ისურვა. მე, ჩემის მხრივ, ივანეს ვსთხოვე, დახმარებოდა საბრალოს, მაგრამ იმანაც უარი განაცხადა. მაშინ **ჩვენმა კეთილმა ანგელოზმა, კნეინა ორბელიანმა, ნება გამოსთხოვა მთიელებს, რათა დაჭრილი ქალი იმისთვის შემოესვათ ცხენზე. რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოედგინა, თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვებოდა ამას. ცხენმა იგრძნო, რომ მას სუსტი ხელი მართავდა და შუაგულ მდინარეში შედგა. კნეინა ამაოდ ჯახირობდა პირუტყვის დაძვრას. ბოლოს ივანე და მეორე მთიელი ცხენებიდან ჩამოხტნენ და ქალბატონი თავისი ცხენიანად ნაპირზე გაიყვანეს. მაგრამ, რა წამსაც ფეხი დაადგეს მიწას, ალექსანდრა იმ წამსვე უმოწყალოდ ჩამოაგდეს ცხენიდან.**

დასასრული შემდეგ ნომერში

**ცხენზე მჯდარი კნეინა წინ მიდიოდა, მე და ალექსანდრა ფეხით უკან მივლასლასებდით, რომელიღაც ადამიანის სახიანი ურჩხული წამდაუწუმ ურტყამდა სისხლის დაკარგვითა და ტკივილებით სავსებით მისუსტებულ, უბედურ დაჭრილს**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ უკრაინაში 365,7 მილიონი გრივნა ასობით ადამიანისთვის არის გათვალისწინებული, ერთი კაცის, პოროშენკოს, შესანახად 285,2 მილიონი გრივნის (11 მილიონი დოლარის) დახარჯვას გეგმავენ.**

# Riga. Roisvesty: რა ღირს პოროშენკო?

**უკრაინის ბიუჯეტს ყოველდღიურად 2,5 მილიონი გრივნა დაუჯდება უკრაინის პრეზიდენტის, პეტრე პოროშენკოს შენახვა.**
**ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება პრეზიდენტის საქმეების სახელმწიფო სამმართველოს იმ განაცხადის ანალიზით, რომელიც 2018 წლის ბიუჯეტში დასამტკიცებლად შეიტანეს. გაისად პეტრე პოროშენკოს შენახვა 2,3 მილიარდ გრივნას (88,5 მილიონ დოლლარს) მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის „მადა“ 5-ჯერ გაიზარდა. წინა ბიუჯეტში საამისოდ, „სულ რაღაც“, 453 მილიონი გრივნა (17,5 მილიონი დოლარი) იყო გათვალისწინებული.**



## პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯები

უკრაინაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეთა ხელფასებზე 365,7 მილიონი გრივნის დახარჯვას აპირებენ (14,065 მილიონი დოლარი). საყურადღებოა ისიც, რომ პოროშენკოს აპარატი 553-დან 638 საშტატო ერთეულამდე გაიზარდა. **და თუ ზემოთ მინიშნებული თანხა (365,7 მილიონი გრივნა) ასობით ადამიანისთვის არის გათვალისწინებული, ერთი კაცის, პოროშენკოს, შესანახად 285,2 მილიონი გრივნის (11 მილიონი დოლარის) დახარჯვას გეგმავენ.**

სახელმწიფო საწარმო „უკრაინის“ (პრეზიდენტის თვითმფრინავები) შესანახად 245,7 მილიონ გრივნას (9,5 მილიონ დოლარს) გაიღებენ, დამატებით 24,7 მილიონ გრივნას (950 ათას დოლარს) კი — მათ გასარემონტებლად.

**პოროშენკოს უცხოეთში ვიზიტები 81,6 მილიონი გრივნა (3,1 მილიონი დოლარი) დაუჯდებათ, ქვეყნის საზღვრებში მივლინებები — 8,2 მილიონი გრივნა (308 ათასი დოლარი) და კიდევ 14,1 მილიონი გრივნა (540 ათასი დოლარი) პრეზიდენტის აპარატის მოხელეთა მივლინებებს მოხმარდება, რადგან გაიზარდა ამ მოხელეთა მივლინებების რაოდენობა: თუ 2016 წელს საზღვარგარეთ 402 ადამიანმა იმოგზაურა, მომავალ წელს მათი რაოდენობა 612-ს მიაღწევს.**

**ფურშეტებზე, ყვავილებზე პრეზიდენტის აპარატი 13 მილიონ გრივნას (500 ათას დოლარს) დახარჯავს, ხოლო ყირიმში პრეზიდენტის მუდმივ წარმომადგენლებზე — 7,7 მილიონ გრივნას (296 ათას დოლარს). და ეს ხელფასები წყალში გადაყრილი ფულია.**

სახელმწიფო რეზიდენციებისა და ადმინისტრაციული შენობების შენახვაზე დამატებით დაიხარჯება 94,8 მილიონი გრივნა (3,65 მილიონი დოლარი).

რაც შეეხება პრეზიდენტის ავტოპარკს: დღეისთვის იგი 119 ელიტურ ავტომობილს ითვლის, მათი უმრავლესობა დაჯავშნილია; ბენზინისთვის კი დაიხარჯება 118,7 მილიონი გრივნა (4,5 მილიონი დოლარი).

## ერთი გამგზავრების ისტორია

ყოველწლიურად პოროშენკო უცხოეთში ათობით ვოიაჟს განახორციელებს, რომელთა უმრავლესობის (ყველასი თუ არა) შედეგი ნულის ტოლია. უკრაინის პრეზიდენტის ნიუ-იორკში ერთი მივლინების მაგალითზე დაახლოებით შეიძლება შევაფასოთ პრეზიდენტის ამალის უცხოეთში ხელგაშლილი ცხოვრების მასშტაბი. უკრაინის ოფიციალური დელეგაციაში, რომელიც თან ახლდა პრეზიდენტს 17-22 სექტემბერს აშშ-ში სამუშაო ვიზიტისას, ჩართული იყო 31 ადამიანი (პირადი დაცვის ჩაუთვლელად), მათ შორის უკრაინის ელჩი აშშ-ში — **ვალერი ჩალი**, გაეროში უკრაინის მუდმივი წარმომადგენელი — **ვლადიმერ ელჩენკო** და უკრაინის გენერალური კონსული ნიუ-იორკში — **იგორ სიბიგა.** ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ პრეზიდენტის ცოლი **მარინა პოროშენკო,** პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი **იგორ რაინინი,** უმაღლესი რადის პირველი ვიცესპიკერი **ირინა გერაშჩენკო,** მინისტრები: **პავლე კლიმკინი** და **ალექსანდრე დანილიუკი,** ასევე პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილე **კონსტანტინე ელისეევი,** პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი **ბორის ლოჟკინი,** უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი **ვიქტორ მუჟენკო** და ყირიმელი თათრების საქმეთა რწმუნებული **მუსტაფა ჯემილევი.**

თანმხლებ პირთა შორის იყვნენ: პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსი **იური ფედოროვი და** პრეზიდენტის აპარატის სხვა წარმომადგენლები; ასევე, პრესმდივანი **სვიატოსლავ ცეგოლკო,** პრესსამსახურის 8 წარმომადგენელი და სახელმწიფო საქმეთა მმართველობის სამი თანამშრომელი.

ამ „ამალის“ სამივლინებო ხარჯებმა 3,49 მილიონ გრივნას გადააჭარბა, ანუ 121,8 ათას დოლარს.

## იანუკოვიჩის პრეზიდენტობის პერიოდში უკრაინის მშპ-მ სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია

შესადარებლად უპრიანი იქნება ამ ხარჯების წინამორბედი პრეზიდენტების ხარჯებთან შედარება იმდროინდელი დოლარის კურსის გათვალისწინებით.

**ვიქტორ იანუკოვიჩი** უკრაინის პრეზიდენტი იყო 2010 წლის 25 თებერვლიდან 2014 წლის 22 თებერვლამდე. მისი შენახვა უკრაინის ბიუჯეტს შედარებით იაფი უჯდებოდა — 77 მილიონ 750 ათასი დოლარი. ხარჯების მთავარი მუხლი იგივე რეზიდენციები და ვერტმფრენებით მისი გატაცება იყო.

2011 წელს „კორესპონდენტმა“ ყველაზე ძვირი პრეზიდენტების რეიტინგი გამოაქვეყნა. იანუკოვიჩი მესამე ადგილზე აღმოჩნდა — აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის შემდეგ.

იანუკოვიჩი უარს არც უცხოეთში ვიზიტებზე ამბობდა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2010-2011 წლებში იგი 84-ჯერ ჩავიდა სხვადასხვა ქვეყანაში. **მისი მმართველობის პერიოდში უკრაინის მშპ-მ ამ ქვეყნის მაჩვენებლის რეკორდულ დონეს მიაღწია — 183 მილიარდ დოლარს, მაშინ, როცა პოროშენკოს მმართველობისას ეს მაჩვენებელი მხოლოდ 93 მილიარდი დოლარია.**

**ვიქტორ იუშჩენკომ** „ქვეყნის სამსახურში“ 5 წელიწადი გაატარა (2005 წლის 23 იანვრიდან, 2010 წლის 25 თებერვლამდე) და, როგორც გაირკვა, მისი პრეზიდენტობის პერიოდში გაწეული ხარჯები უკრაინის ისტორიაში უძვირესი აღმოჩნდა. იმხანად დოლარი დაახლოებით 5 გრივნის „წონისა“ იყო, პრეზიდენტის შენახვა ყოველწლიურად კი ბიუჯეტს 860 მილიონი გრივნა უჯდებოდა. 2009 წელს პრეზიდენტის შესანახი ხარჯები ერთი მესამედით გაიზარდა. მაშინ ეს ინფლაციითა და მინიმალური ხელფასების ზრდით გაამართლეს. ყველაზე ხშირად იუშჩენკოს იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ იგი თავის უცხოურ ვოიაჟებზე არნახულად დიდ თანხას ანიავებდა. 2006-2007 წლებში იუშჩენკო საზღვარგარეთ 13-ჯერ იყო, საგარეო საქმეთა მინისტრი — 37-ჯერ.

**ლეონიდ კუჩმას** აპარატისა და ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს საჭიროებისთვის (1994 წლის 19 ივლისი — 2005 წლის 23 იანვარი) დაიხარჯა 25,8 მილიონი გრივნა (დოლარის მაშინდელ კურსით, ეს თანხა 13,7 მილიონ დოლარს უდრიდა). პირადი „რეკორდი“ კუჩმამ 2004 წელს დაამყარა. მის შესანახად დაიხარჯა 524 მილიონი გრივნა, ანუ 98,8 მილიონი დოლარი.

უკრაინის პირველი პრეზიდენტი **ლეონიდ კრავჩუკი** ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1991 წლის 5 დეკემბრიდან 1994 წლის 19 ივლისამდე. 1993 წელს მის შესანახად გამოყვეს ზღაპრული თანხა — 1 მილიარდ 735 მილიონ 220 ათასი კარბოვანეცი წელიწადში. ეროვნული ვალუტა — გრივნა — უკრაინას ჯერ არ ჰქონდა. იმ დროს 1 დოლარს 500 კარბოვანეცად ყიდულობდნენ, მაშასადამე, დოლარის ეკვივალენტში კრავჩუკი სახელმწიფო ბიუჯეტს 3,5 მილიონი დოლარი უჯდებოდა ყოველწლიურად.



# აშშ იარაღით ვაჭრობს

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ აშშ-მა 2017 წელს სხვა ქვეყნებს უკვე მიჰყიდა 41,93 მილიარდი დოლარის იარაღი.**

„ეს ციფრი მეტყველებს, რომ კვლავაც დიდი მოთხოვნილებაა ამერიკულ სამხედრო პროდუქციასა და მომსახურებაზე, — ხაზგასმულია აღნიშნული უწყების განცხადებაში, — აშშ განახორციელებს თავის საგარეო-პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს ეროვნული უსაფრთხოების დარგში თავდაცვითი იარაღის გაყიდვით და სხვა ქვეყნების დასახმარებლად, აგრეთვე, მათი სამხედრო მოსამსახურეების სწავლების სფეროში“.

# ხორვატმა გენერალმა ჰააგის ტრიბუნალის სხდომაზე საწამლავი დალია

**ეს ტრაგიკული ინციდენტი გასული კვირის განმავლობაში განიხილებოდა ევროპული მედიის საინფორმაციო და ანალიტიკური პროგრამების გამოშვებებში.**



ხორვატმა გენერალმა, **სლობოდან პრალიაკმა**, ყოფილი იუგოსლავიის საკითხთან დაკავშირებით ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის სასამართლოს სხდომის მიმდინარეობისას თავი მოიკლა, როცა გაირკვა, რომ მას აპელაციაზე უარი უთხრეს და განაჩენი ძალაში დატოვეს.

2013 წელს მას 20 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი ყოფილ იუგოსლავიაში სამოქალაქო ომის დროს ჩადენილი დანაშაულის გამო.

იმედგადაწურულმა გენერალმა მოსამართლეს უთხრა: „მე საწამლავს ვსვამ“ და დალია კიდეც ყველას თვალწინ. სასამართლოს სხდომა შეწყვიტეს. დარბაზში ექიმები გამოიძახეს. სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც სული დალია.

გენერალი სლობოდან პრალიაკი ხორვატიაში პასუხისგებაში მიცემულ იმ ექვს პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერთაგან ერთ-ერთი იყო, რომელიც თავს დამნაშავედ არ მიიჩნევდა და თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად თვითონ გამოცხადდა სასამართლოში. ექვსივეს ბრალი ედებოდა კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენაში, კანონების დარღვევასა და ომის გაჩაღებაში.

ბრალდებამ დაამტკიცა, რომ ეს პირები 1991 წლის ნოემბრიდან 1994 წლის აპრილის ჩათვლით მონაწილეობდნენ დანაშაულებრივ ღონისძიებებში, რომლებიც ითვალისწინებდა ხორვატიის ტერიტორიაზე არახორვატი მოსახლეობის ლიკვიდაციას, უკანონო დაპატიმრებებს, კონფისკაციებსა და საკუთრების ხელყოფას, ნგრევასა და მკვლელობებს.

სერბეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი **რატკო მლადიჩი** კი ტრიბუნალმა დამნაშავედ ცნო ბოსნიაში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებში და მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

**მემორიალი გახდება ახალგაზრდებისთვის რაინდული აღზრდის კერა, რადგან დიად საფეხურებზე სვლა, მაგ., მე-12 ან 33-ე საფეხურზე, დიდგორის განცდის ჟამი მოგგვრის გმირულ განწყობას, მით უმეტეს, თუ დავამკვიდრებთ პრეზიდენტისა და პარლამენტარების ერთგულების ფიცის დადებას სწორედ აქ, აღმაშენებლის მემორიალთან.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს»

შეიძლება ვინმემ დაუჯერებლად მიიჩნიოს, მაგრამ ფაქტია, ვაზზე შევქმენი 58 გამოგონება ცრუ თანაავტორების გარეშე (38 დაპატენტებულია). 5 დანერგილი გამოგონებით საქართველომ 1980-90 წლებში მიიღო 2 მილიონი მანეთის ეკონომია, რისთვისაც დამაჯილდოვეს ოქროს მედლებითა და უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით. 16 წლისამ შევქმენი ვაზის რქების სამაგრები, რომლებსაც დღესაც წარმატებით იყენებენ მევენახეები.

განსაკუთრებულია ვენახების გაშენება მაღალ-დაბალი ფორმირებებით, ტრაქტორმა დაბალ რიგს რომ გადააბიჯოს და ერთი გავლით ორი რიგი დაამუშავოს, რაც საფუძველია იმისა, რომ ვაზის სამშობლოში – საქართველოში მევენახეობა განვითარდეს ახლებურად.

გამოვაქვეყნე 100-ზე მეტი ეროვნული მნიშვნელობის სტატია: „გაჩეხილი ვაზის ტირილი", „დაუნახაობისა და განუკითხაობის აპოგეა", „საუნის დონეზე გადაწყვეტილი სიახლეები", „იმუშავეთ, გლეხებო, ჭამეთ დეპუტატებო", **„ააა"**, „ღია შპარგალკა პრეზიდენტს", „ქვეწარმავლური სიავე მტერს ჩვენთვის დაუთესია"...

მეამეყება, რომ ვაზს მივუძღვენი **50 ლექსი.**

**ვაზი გამძლეა გვალვისა,
ეს მისი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის
ცხოვრების შინაარსია.**

კიდევ:

**შემწამლე, პაპავ, დროულად,
ჭრაქმა არ მახლოს ხელიო,
გულით თუ გვინდა, დაგვიდგეს
ბარაქიანი რთველიო.**

კიდევ:

**ვენახი კაცის დიდი ხიბლია,
საამაყო და ღვთისგან შობილი,
წმინდა, უკვდავი, როგორც ბიბლია,
სიყვარულისთვის წარმოშობილი.**

კიდევ:

**ლექსის აზარტში მაშინ შევდივარ,
როცა ღვინით ვარ გამხნევებული,
და მოსართველად ვენახს მივდივარ,
სადაც რითმაა დაგუბებული.**

აღსანიშნავია ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე მონოგრაფია „მევენახეობა ახლებურად". ასევე **ჭრაქთან ბრძოლის ჯერადობის შემცირების პრეპარატი**, რის დასაფინანსებლად, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, 40 ათასზე ახლოს არ მიკარებს „სტარტაპ საქართველო", რომლის უპირველესი მოვალეობა **სწორედ სიახლეების დანერგვაა**.

ურიგო არაა მონოგრაფიები „ვაზი ჩვენი სიამაყე" და „ხვალის ვენახი", სადაც აღნიშნულია მევენახეებისთვის აღორძინების გზები, **სოფლად** უსწრაფესად სიღარიბის დამარცხება იმ ოჯახებში, **რომლებშიც ყველაზე დიდი გაჭირვებაა**, სესხის ნატურით დაფარვის გადასახადით, თითო-ოროლა არაფრის მაქნისი სამინისტროს გაუქმების ხარჯზე კი დაცლილი სოფლების აღორძინება და სხვ.

გულს მიხარებს მეფეთა მეფის 36-წლიანი მოღვაწეობის აღსანიშნავად გმირთა მოედანზე აღმაშენებლის **36-საფეხურიანი** მემორიალის აღმართვის იდეაც **ოქროს** გვირგვინით (გვირგვინის ხარჯებს აანაზღაურებს ქვლივიძეების საგვარეულო), მეფობის წლების საფეხურების აღნიშვნით, დაწყებული 1089-ით და დამთავრებული 1125 წლით. სასიხარულოა, რომ ამ იდეას **პრესაში** გამოქვეყნებისთანავე მოჰყვა გამოხმაურება: **„თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის"**.

სათაურის შინაარსში თუ ღრმად ჩავიხედავთ, მემორიალი გახდება ახალგაზრდებისთვის რაინდული აღზრდის კერა, რადგან დიად საფეხურებზე სვლა, მაგ., მე-12 ან 33-ე საფეხურზე, დიდგორის განცდის ჟამი მოგგვრის გმირულ განწყობას, მით უმეტეს, თუ დავამკვიდრებთ პრეზიდენტისა და პარლამენტარების ერთგულების ფიცის დადებას სწორედ აქ, აღმაშენებლის მემორიალთან.

ჩემი გამოგონებები და იდეები ჩრდილშია, რადგან არ მყავს გავლენიანი მფარველი და, დარჩენილი ორი პარასკევი დატუქსული მოწაფესავით რომ არ ვიჯდე, გადავწყვიტე, განვახორციელო 50 წლისწინანდელი იდეა, რომელიც რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად გამიჩნდა — მიმეძღვნა 800-სტრიქონიანი ლექსი. **ამჟამად გამოვაქვეყნებ ამ 800 სტრიქონს შოთასთვის საკადრისი რითმითა და მარცვლით, თუ მკითხველი წინამდებარე შესავალში „წყალწაღებულ" სამიანს მაინც დამიწერს.**

ვაზი რომ ფიქრში გავსხალი და გამომქონდა წალამი,
ფიქრის გალექსვა მომწადდა, ხელში ავიღე კალამი,
ფიცხლად ლერწისგან დავწანი შოთასთვის ოქროს ალამი,
რითაც რომ მინდა გაახლო რვაასი სტროფით სალამი.

შენ, უკვდავ პოეზიისთვის მარგალიტების მქსოველო,
შეგესიტყვები თამამად, სახელოვანო ქართველო,
მამულიშვილო მხცოვანო, უკვდავო შოთა რუსთველო,
და აზრებს გაგიზიარებ, ოქროს რითმების მმართველო.

ვით ნორჩი ყლორტი ვაზისა ჩაეჭიდება მავთულსა,
ერი მისებრად ეკვრება „ვეფხისტყაოსანს" განთქმულსა,
მტერიც რომ ამას აკეთებს და აღიარებს ამ წნულსა,
ცოცხლად მიტომაც გიცქერით დღესაც ფიქრებში გართულსა.

შენი წიგნი კვლავ რომ გვმოძღვრავს და
რითმებიც ტკბილად გვათრობს,
ქართველების ადათ-წესებს ამიტომაც ბევრი ნატრობს.
გული ქველი კარგად ფეთქავს, უფრო მეტად მაშინ ხარობს,
როცა ისმენ – რუსთაველი პოეზიას წინამძღვარობს.

გულმოდგინედ, ცნობიერად პოემას რომ გავიხსენებ,
შენი ყოფნით ღმერთს მადლობას მუხლმოდრეკით მოვახსენებ
და მომავალს გზის სავალად ჩემგან თქმულსაც შევახსენებ:
კაცსა მუდამ სიამეს ჰგვრის, გზას თუ ტკბილად გაუხსენებ.

დაე, იყოს სამახსოვრო, რაცა ვთქვი ომახიანად:
ქვეყანა მედგრად წაიწევს და არასოდეს ზიანად,
თუ დავამკვიდრებთ მუდამჟამს კანონს და წესებს ფხიანად,
არ მართებულის მოსპობას და ქცევას ლაზათიანად.

ფლიდობა ჩვენ ვერ გვიშველის, ის მხოლოდ ერის წყლულია,
რადგან სუყველგან ეს სენი დამღუპველი და კრულია.
სჯობს, ამოვძირკვოთ ეს ჭირი, რაც ავის დასასრულია,
უსამართლობით, ზანტობით ხვალის დღე დაბურულია.

რა იქნებოდა, სანაცვლოდ გვეხილა სიხარულია,
მაგრამ ერისთვის უბირი მარადჟამს გაყინულია.
ვისი არსებაც, ბაასიც სიბოროტე და წყლულია,
მისი ბოგინი მიწაზე, დე, იყოს გარიყულია!

კაცის ერთგულის, კეთილის ხილვა დღემუდამ ძნელია,
რადგან ამქვეყნად მრავალი სიკეთის დამკარგველია,
საუბედუროდ ასეა, რაც მტრობის საფუძველია,
ეს დალოცვილი ქვეყანა ხომ ჩვენი მოსავლელია.

კვლავაც მინდა წარჩინებით წარიმართოს ლექსის წყობა,
რომ ფრიადზე ჩაგაბაროთ, რაა ჩემი აქ განწყობა.

მე სიმდიდრე არ მჭირდება, არც საჩინოდ გამოწყობა.
მსურს, დღეიდან განადგურდეს მტრობა, შური და „ჩაწყობა".

ფიქრსა სევდა რომ ედება, შენს წიგნს ვიღებ საგანძურსა,
ოქროს კალმით დაწერილსა, საკითხავად დასაშურსა,
კარს გავაღებ, სახლსა შევალ, მადლს მივაგებ ლუკმაპურსა,
მარანს გავალ, ჩამოვასხამ ერთ ხელადა ბუდეშურსა.

პირველ ჭიქას მარჯვედ ავწევ, ღმერთს დიდებას მოვახსენებ,
წინაპრებს რომ გავიხსენებ, გულსა ამით დავიმშვენებ,
შვილიშვილებს საამურად ლექსებს ტკბილად ვათქმევინებ,
დარდსაც ამით დავივიწყებ და სულითაც მოვისვენებ.

ცისკრად ახალს მოვიფიქრებ – ბნელეთსა შევხსნათ კარები,
ბურუსი ისე გავფანტოთ, რომ მოვიკრიბოთ აზრები
და აღვადგინოთ ძირძველი, მივიწყებული ტაძრები,
ერის და ბერის საგონლად ავახმიანოთ ზარები.

მაღალხმიანი რისხვითა ჩვენივე მომავლისთვისა.
დღეს საქართველო იცლება სხვა ქვეყნის სამოთხისთვისა,
სანაცვლოდ კიდევ ივსება მტრის გულის ქმედებისთვისა,
რამე ვიღონოთ, მგოსანო, სამშობლოს დიდებისთვისა.

გულსა ამომსკდა წადილი მამულის აღზევებისთვის,
განახლებულად რომ ვწიოთ ჭაპანი საქართველოსთვის,
ღვთიური არსით წარვმართოთ დღეს გეზი მომავლისათვის,
წალკოტის გვარად დაიწნას ხვალის დღე წუთისოფლისთვის.

ის სადღეგრძელო რად ვარგა, რომ დარჩეს აუწეველი,
ანდა ისეთი ის რთველი, ყურძენი დაუწურველი,
თუ კვლავაც ისე ვიქნებით დახმარებების მხვეწელი,
წყალის მღვრეველი დავჯაბნოთ, არ დავრჩეთ შემომხვეწელი.

ვაზის სამშობლოს ვუსურვებ, ედემის მსგავსად აყვავდეს,
და სამყაროში ყველასთან გამარჯვებული წავიდეს,
სიახლეებით ანაზდად ისეთ მწვერვალზე ავიდეს,
ვარსკვლავის დარი სახელით ქვეყნის გარეთაც გავიდეს.

გულს მიხარებს არე-მარე, იქით ქედი, აქეთ ველი,
მაღლა ღმერთი დიდებული, წინაპარი საკვირველი,
ყველა ნაღდი მეგობარი, მით უმეტეს ძველისძველი,
შენი წიგნი სანუკველი და ლექსები უშურველი.

მეაზრება კიდევ ისიც, ერსა ჭირი მოჰკლებოდეს,
მტრობა, შური, სიბოროტე ზღვის ქაფივით გაჰქრებოდეს
და სანაცვლოდ სიყვარული ძალგულოვნად მყარდებოდეს,
გულსახარად საქართველო ქართველებით მრავლდებოდეს.

მუზა უკვე ფიქრს შორდება, გამოწურვაც მიძნელდება,
მაგრამ ლექსის დედააზრი მაინც ჟინით მიგრძელდება:
თუ სამშობლოს გულისგული იდეებით გამდიდრდება,
მოკაზმული საქართველო ახალ გზნებით განახლდება!

მწადის, მუდამ ტურფა იყოს არემარე, გზა და კვალი,
ღირსეულად რომ იხადოს ყველა კაცმა თავის ვალი,
საკადრისად ფასდებოდეს გლეხი კაცი, მოსავალი,
რომ ფრიადზე განვითარდეს საქართველოს მომავალი.

სამშობლოსათვის ამაგი სული, გული და თვალია,
აქა შენს სიბრძნეს მოვიხმობ, სიბრძნითვე გარითმულია,
„უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია".
ესაა ჩვენი მიზანი და სიყვარულით თქმულია.

ეს ლექსი ჩემი ხოტბაა, გზნებით რომ მინდა აფრინდეს,
მისი წაკითხვა მკითხველსა სათნოებითა მოუნდეს,
მიჯობს, სიკეთე ვაკეთო, თუნდაც უკუღმა დაბრუნდეს,
ვიდრე ვიარო კარ-და-კარ, სიცოცხლე კიდე მიდუნდეს.

ხვალის ვენახის შენებით, უიმედობის დათმითა
ავდექ და ლექსი ავაწყე ენაწყლიანი რითმითა,
ისევ და ისევ ვენახზე თან შაირების გაკვრითა,
ხნოვანებაში შესულმა ჩემი ჭაღარა ამ თმითა.

ვენახს როცა მიადგება საფურჩქნავად კაცი, ქალი,
ვაზი მაშინ მარგალიტობს, რომ ეკვრება ჭიგოს პწკალი,
იქ მტევანი გვერდს ნამხარი და ფეშქაშად მსხვილ-მარცვალი,
წინ საჩინოდ რომ გიზგიზებს ოქროს რთველის ნაპერწკალი.

მევენახე ვარ ძირძველი, აქ უცნაური რა ხდება?
ვაზთან დარჩენა ვენახში შუაღამემდე მიხდება,
ვითა ალერსი ოჯახში ყოველდღიურად მწყურდება.
თუ კარგად რამე ვერა ვთქვი, არც არაფერი წახდება.

დღე და ღამეს გავასწორებ ჩემი ქვეყნის გულისათვის,
და არასდროს არ გადავდებ ერის საქმეს ხვალისათვის,
თუნდაც მქონდეს გულში სევდა, და ეს იყოს შვილისათვის,
მიჯობს, მარჯვედ დავიხარჯო მოსახდელი ვალისათვის.

რთველია ულამაზესი, გაჩაღებული მეზვრისა,
ქოხის წინ ისმის „ააა" გასუქებული ვაცისა,
მას ალამაზებს იერი მიჯნას მიბმული კვიცისა,
ასკეცად მიღირს, დავტოვო კვალი კეთილი კაცისა.

იქ, პარლამენტში ხანდახან მიტომ ფუჭია სესია,
მტრობა, შური და ქიშპობა პირველობისთვის წესია,
მაგრამ რა ვუყოთ, ხომ ვიცით, ჩვენს მიწა-წყალზე თესია,
ქვეწარმავლური სიავე მტერს ჩვენთვის დაუწესია.

საქართველოში არავის არ უნდა ავიწყდებოდეს:
„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს".
კაცი რომ ლაღად შრომობდეს და არა უძნელდებოდეს,
ერი ამაყად ცხოვრობდეს და ათინათით ტკბებოდეს,

შენს სიბრძნეს მოვიშველიებ, გულში რომ მინდა ადუღდეს,
„თქვა, ჩემო, შენი შორს მყოფი კრულია ვინცა დადუმდეს",
გვირჩიე რამე ისეთი, ერი არასდროს დადუნდეს,
გადახვეწილი თაობა კვლავ სამშობლოში დაბრუნდეს.

ღმერთი ნაბოძს შუაზე ჰყოფს, ღამე არის ძილის თარგი,
მეორე კი მზის სხივები ასპარეზად ძლიერ კარგი,
საშველი რომ გამოგვიჩნდეს, აღორძინდეს ყველა დარგი,
ნიადაგ სჯობს, აღარ იყოს არვის ნიჭი დანაკარგი.

წუხელ ღამით სიზმრად ვნახე ავთანდილი, ტარიელი,
გამეხარდა რომ ვიხილე, ცხადში დავრჩი ცარიელი,
ვისაც უნდა მტერი ექცეს, ვითა მკვდარი მორიელი,
ჩალად იღოს მტრის ნამუსი, კაცობა და საქციელი.

დედ-მამისათვის რომ იყავ ტურფა და ნაზი ყმაწვილი,
აკვნიდან მაშინ ისმოდა შენი საამო ჟივილი,
როდესაც გახდი მგოსანი, უკვდავი მამულიშვილი,
გულ-ბოროტებმა გაქციეს იმ ქვეყანაში ლტოლვილი.

მტერი იმკვალად გეხვია, ვით სკასა მუშა ფუტკარი,
ლექსი რომ საგალობელი ტკბილი მარცვლებით დაჰკარი,
ვგონებ, ამიტომ დასტოვე საქართველო და სახლ-კარი,
რადგან ყურს, ვფიქრობ, უთუოდ ურვა-ვარამი მოჰკარი.

არა ვისიმე წყენისთვის ან თუნდაც კამათისთვისა,
საქართველოში აზრების ჭკვიანად წყობისათვისა,
დედამიწაზე კი მარადიული სიცოცხლისთვისა,
და ბადაგი წიგნის „ვეფხისტყაოსნის" დაწერისთვისა.

„აჰა, ჟამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა",
დია მწადის რუსთაველო, შენი ფიცხლად გამოყოლა,
ერთად უკეთ დაიძლევა სამომავლო გზათა რბოლა,
და მიტომაც გაგიბედე ამა წყობით ლექსთ მოყოლა,

თანაც იყოს საწილადო, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის,
წინაპართა სადიდებლად, მოსახდელი ვალისათვის,
ხვალინდელი ვენახისთვის, მისი არსის გახსნისათვის,
რაინდების გულისხმისთვის და უჭკნობი ვაზისათვის!

**თამაზ ქვლივიძე**,
**საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი**
**ტელ.: 599-10-43-18**

# დასავლეთმა უკრაინა «გადააგდო»



**LB.ua -ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაქოვმა განაცხადა, რომ დასავლეთის სამყარომ ვულგარულად მოატყუა და „გადააგდო“ უკრაინა. მან ეს თქვა გორშენინის სახელობის ინსტიტუტის ეროვნულ საექსპერტო ფორუმზე.**

„ჩვენი პატივცემული პარტნიორები, მათ შორის ნატოდანაც, უნდა შემოვაბრუნოთ ბუდაპეშტის მემორანდუმისკენ, რომელიც უკრაინას ჰპირდებოდა ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას ბირთვული პოტენციალის დათმობის სანაცვლოდ... უკრაინა მოატყუეს. ეს სიმართლეა. ამასთანავე, მადლობელი ვართ დახმარების პროგრამებისთვის, მადლობა სანქციების გამოც. მაგრამ! უკრაინა „გადააგდეს“, — განაცხადა ავაქოვმა.

უფრო ადრე მან მინსკის მოლაპარაკებებს „მკვდრადშობილი“ უწოდა.

# ტრამპმა ტერეზა მეის შეახსენა ჯიჰადიზმის პარპაში დიდ ბრიტანეთში



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ტერეზა მეის სოციალურ ქსელში მიმართა: „ტერეზა მეი, ყურადღებას ჩემზე ნუ ამახვილებ, ყურადღება მიაპყარი დამანგრეველი, რადიკალური ისლამის ტერორიზმს, რომელიც მძვინვარებს გაერთიანებულ სამეფოში!“

28 ნოემბერს ტრამპმა თავის გვერდზე გადმოიტანა სამი „პოსტი“, რომლებიც ბრიტანეთის პოლიტიკური პარტია Britain First-ის ლიდერის, **ჯაიდა ფრანსენის,** გვერდზე იყო განთავსებული. ერთი კვირის წინათ აქტივისტი ანტიისლამისტური გამოსვლის ბრალდებით ბელფასტის ცენტრში დააკავეს.

ტრამპმა გამოაქვეყნა ვიდეორგოლები სახელწოდებით „ისლამისტების ბრბომ ბიჭი სახურავიდან გადმოაგდო და ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა“, „მუსლიმმა დაანგრია ღვთისმშობლის ქანდაკება“ და „მუსლიმმა მიგრანტმა ყავარჯნიანი მოზარდი სცემა“.

როცა დაუნინ-სთრითზე ეს შეიტყვეს, მეის პრესმდივანმა განაცხადა, რომ რადიკალებს საზოგადოების გახლეჩა სურთ, ბრიტანელები ერთსულოვანი არიან და გმობენ იმ რიტორიკას, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ღირებულებებს — ღირსებას, ტოლერანტობასა და პატივისცემას.

# ბრიტანეთის პოლიციამ გამოააშკარავა ნარკოკურიერი ბავშვების უდიდესი ქსელი



**დამნაშავეობასთან ბრძოლის ბრიტანეთის ეროვნულმა სააგენტომ განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებობს ნარკოტიკების გავრცელების განტოტვილი სისტემა, რომელშიც კურიერებად ბავშვებს გამოიყენებენ, — იუწყება The Independent.**

უწყების მონაცემებით, ინგლისსა და უელსში არსებობს 720 ე.წ. ხაზი, რომელთა მეშვეობით ნარკოტიკები დილერებიდან მომხმარებლებამდე აღწევს.

ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში ერთმანეთს დაუკავშირდნენ ისლამისტები, კონტრაბანდისტები და მაფიოზები. ამ სისტემაში ათასობით ბავშვი და მოზარდი, ინვალიდი და გონებრივი გადახრების მქონე ადამიანები არიან ჩართულნი. მათ გადააქვთ ნარკოტიკები დიდი ქალაქებიდან სოფლებსა და ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში.

ხშირად მცირეწლოვანი კურიერები ნარკოდამოკიდებულები ხდებიან და ამის გამო მზად არიან, ერთი დოზის სანაცვლოდ ან მოგონილი „ვალის“ გადაუხდელობის შიშით, გარისკონ სახიფათო დავალებების შესრულება, — ნათქვამია NCA-ს მოხსენებაში. დოკუმენტში მითითებულია, რომ ყველაზე მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც ამ დანაშაულებრივ ქსელში აღმოჩნდა ჩათრეული, 12 წლისა იყო.

უწყებაში აღნიშნეს, რომ დამნაშავეთა ჯგუფები კარგად არიან კონსპირირებულნი და ხშირად იცვლიან მუშაობის მეთოდებს. პოლიციელებთან არასასურველ შეხვედრებს თავს არიდებენ ნარკოტიკების მიწოდების მარშრუტების რეგულარულად შეცვლით, იყენებენ ტრანსპორტირების სხვადასხვა საშუალებას.

# CNN: ინციდენტი შავი ზღვის თავზე





**ორი კვირის წინათ რუსულმა ავიაგამანადგურებელმა Су-30-მა გზა გადაუჭრა ამერიკულ საპატრულო ნავების საწინააღმდეგო თვითმფრინავ P-8A-ს — „პოსეიდონს“, რომელიც შავი ზღვის თავზე დაფრინავდა.**

„ამერიკული საჰაერო ხომალდი მოქმედებდა საერთაშორისო საჰაერო სივრცეში და ისეთს არაფერს აკეთებდა, რასაც შეეძლო რუსეთის მხრიდან მსგავსი მოქმედების პროვოცირება“, — განაცხადა აშშ-ის სამხედრო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ვიცეპოლკოვნიკმა **მიშელ ბალდანზამ.**

მოხელე ქალბატონის თქმით, რუსული ავიაგამანადგურებელი ამერიკული „პოსეიდონის“ ფორსაჟის ნაკადში მოხვდა, გადაიხარა 15 გრადუსით და ძლიერი ტურბულენტობა განიცადა.

ბალდანზამ დასძინა, რომ Су-30-მა „პოსეიდონს,“ სულ რაღაც, 50 ფუტში ჩაუფრინა. ამასთანავე, ინციდენტის დროს ამერიკული თვითმფრინავის ტრანსპონდერი ჩართული იყო. „საშიშმა ქმედებამ შეიძლება სერიოზული ზარალი გამოიწვიოს და საფრთხე შეუქმნას ეკიპაჟების ყველა წევრის ჯანმრთელობას“.

**CNN** აღნიშნავს, რომ მსგავსი შემთხვევა წლეულს, ივნისშიც მოხდა. მაშინ, პენტაგონის მონაცემებით, რუსულმა Су-27-მა ხუთი ფუტის დაშორებით ჩაუფრინა ამერიკულ RC-135-ს. ინციდენტი ბალტიის ზღვის თავზე მოხდა.

# სირიაში უკვე სიმშვიდეა: გერმანელები ლტოლვილების დეპორტაციაზე ფიქრობენ



**მომავალი წლის ზაფხულში, როგორც ჩანს, გერმანია დაიწყებს სირიელი ლტოლვილების დეპორტაციას. ეს განაცხადეს გერმანიის რამდენიმე გავლენიანი პარტიის წარმომადგენლებმა.**

საქსონიის მიწის პოლიტიკოსებმა წამოაყენეს წინადადება, რომ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრების მომავალ კონფერენციაზე განხილულ იქნას აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

მათ მიერ წარდგენილ დოკუმენტებში ლაპარაკია, რომ მოცემულ მომენტში გერმანიის სპეცსამსახურები თათბირობენ სირიაში შექმნილი ვითარების უსაფრთხოების ახლებურად შეფასების საკითხზე; კერძოდ, რომ სირიაში არსებული სიტუაცია კვლავ შეფასდეს, როგორც უსაფრთხო. მაგრამ მინისტრები, რომლებიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენენ, ამ წინადადებას მხარს არ უჭერენ. ამ საკითხს 7 დეკემბერს პოლიტიკოსები ლაიფციგის კონფერენციაზე განიხილავენ.

გერმანიის ხელისუფლებამ სირიაში უსაფრთხო სიტუაციის საკითხი ბოლოს 2012 წელს შეაფასა. მას შემდეგ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები სრულად იქნენ განადგურებულნი. რუსეთისა და ირანის დახმარებით სამთავრობო ჯარებმა შეძლეს ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილის გათავისუფლება, მაგრამ დამასკოს წინააღმდეგ კვლავ იბრძვიან ამბოხებულების ჯგუფები ავტოკრატ **ბაშარ ასადის** დამხობის ლოზუნგით. ბერლინი ამჟამად შეიმუშავებს შემდგომი მოქმედების სტრატეგიას ბაშარ ასადთან თანამშრომლობის კუთხით და მოუწოდებს მას ოპოზიციასთან მოლაპარაკებისკენ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოიწონა, რომ საუდის არაბეთში გამართული შეხვედრის დროს ოპოზიციური ძალები შეთანხმდნენ ერთიანი დელეგაციის შექმნაზე, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დამასკოსთან მოლაპარაკებაში. ამ შეხვედრის გამართვა ჟენევაშია ნავარაუდევი.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894